სამშობლოს მარტო ღარიბები არ დაიცავენ A2

იუსტიციის სამინისტრომ კანონების გადახედვა დაიწყო A4

"ხალხის ჰირისჰირ" - ანკეტა A8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი ორშაბათი, 9 აგვისტო, 2004 წელი. №187 (736) ფასი 50 თეთრი

"მეორე აფხაზეთი"

"აქ ვცხოვრობ მერვე სართულზე და ახლა რას გვიპირებენ არ ვიცი," - ამბობს დევნილი ქალბატონი.

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

ზაზა ფაჩუაშვილი

სასტუმრო "ივერიის" რეკონსტრუქციასთან დაკავშირებულ მოვლენებს იქ მაცხოვრებელმა დევნილებმა "მეორე აფხაზეთი" უწოდეს და ამით ხაზი გაუსვეს იმ წინააღმდეგობას, რომელიც მათსა და ახალ ხელისუფლებას შორის წარმოიშვა. ძირითადი სადავო საკითხი გასახლების სანაცვლო კომპენსაციებია, რომელიც დევნილების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის ხელისუფლებას საკმარისი ჰგონია, დევნილებს კი უმნიშვნელოდ მიაჩნიათ.

ყველაფერი "ჭორით" დაიწყო, რომელიც შარშან წლის ბოლოს გავიგეთ, – უცხოელები სასტუმრო "ივერიას" გაკეთებას აპირებენ და დევნილები უნდა გაასახლონო. ეს ისეთი "ჭორი" აღმოჩნდა, რომელსაც იმთავითვე გამოაჩნდა ფაქტის თვისებები და პრესაში გაჩნდა დევნილების მხარდამჭერი ვრცელი წერილები. ავტორები გმობდნენ დევნილების გარეუბნებში გადასახლების გეგმას და ამას პირობების გაუარესებად მიიჩნევდნენ. ორიოდე თვეში ვნებათაღელვა, თითქოს, ჩაცხრა, მაგრამ საზოგადოებაში მაინც განიხილებოდა დევნილების გასახლების სხვადასხვა ვარიანტი.

გაგრძელება A3 გვერდზე

„იმათ რაღა თქვან, ვისაც ასეთი შესაძლებლობაც არ ეძლევა?"

ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი "ივერიის" დაცლაში ტრაგედიას ვერ ხედავს

მაკა ჭაიანი

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრ ეთერ ასტემიროვას "ივერიაში" შესახლებული ლტოლვილების სასტუმროდან გამოყვანის საკითხი არ აღიზიანებს. "ეს არის მათი პირობების გაუმჯობესების რეალური შესაძლებლობა, - ამბობს იგი, - ნეტა, ჩვენ, სასტუმრო "აჭარაში" შესახლებულებს, შემოგვთავაზებდნენ მსგავს რამეს". ეთერ ასტემიროვამ ქალაქის მერთან, პრემიერთან და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეებთან ერთად მოაწერა ხელი მიმართვას, რომელიც "ივერიაში" შესახლებულ დევნილებში პარასკევს გაავრცელეს.

- ბევრი ცუდად გამოეხმაურა იმას, რომ ამ მიმართვას მოვაწერე ხელი, მაგრამ სხვანაირად არ შეიძლებოდა. რეალობას თვალებში უნდა შევხედოთ. ჩვენ მაქსიმალურად დავიცავთ ჩვენი დევნილების უფლებებს, მაგრამ, უფლებების გარდა, მათ მოვალეობებიც აქვთ და მათი გაზიარებაც უნდა შეეძლოთ, - **ამბობს მინისტრი,** - საქართველოს სჭირდება, რომ ჩვენი დამარცხების სიმბოლო დედაქალაქის ცენტრში არ იდგეს. გამოჩნდა მძლავრი ინვესტორი, რომლის დახმარებითაც არა მარტო ამის გაკეთება მოხერხდება, არამედ დევნილების პირობებიც, მეტ-ნაკლებად, გაუმჯობესდება.

გაგრძელება A3 გვერდზე

ვირტუალური ომი

ნიკა იმნაიშვილი

გასულ კვირას საქართველოს გარშემო დატრიალებული მოვლენები და ატეხილი აჟიოტაჟი, როდესაც ჩვენი პატარა ქვეყანა კვლავ მსოფლიო (მით უმეტეს რუსული) მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა, თავისთავად (ემპირიულადაც) ძალზე საინტერესო მოვლენაა. პრაქტიკულ მნიშვნელობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია – იმდენად მნიშვნელოვანია იგი ქვეყნის მომავლის თვალსაზრისით.

საქართველოს ახალი ხელისუფლება თავისი მეთოდის ერთგულია. ბევრი ანალიტიკოსი ჯერ კიდევ გასული წლის მიწურულს წერდა, რომ მიხეილ სააკაშვილი "ბეწვის ხიდზე" სვლის ტაქტიკას არჩევს, რამაც მას წარმატება მოუტანა თავდაპირველად თბილისში, შემდეგ ბათუმში. სოხუმსა და ცხინვალთან დაკავშირებით "ბეწვის ხიდზე სვლა" გრძელდება და რაოდენ სახიფათოდაც არ უნდა მიაჩნდეთ იგი იმავე დამკვირვებლებს, - გამარჯვებულებს არ სჯიან: ჯერჯერობით ომი მხოლოდ საინფორმაციო სფეროში მიმდინარეობს. ხელისუფლება ახერხებს ამ ჩარჩოებში მის მოქცევას და რეალური საომარი მოქმედებების თავიდან აცილებას ისევ და ისევ "დანის პირზე სვლის" ტაქტიკით.

რუსებმა "თამაშის" ეს წესი მიიღეს კიდეც და თავადაც შესაბამისი მედიატექნოლოგიების გამოყენებას ცდილობენ. არადა, საყოველთაოდ ცნობილია, რომ თანამედროვე მსოფლიოში დიდი პოლიტიკა საინფორმაციო ტექნოლოგიების, პროპაგანდისტული დივერსიების, ვირტუალურ სივრცეში უმოწყალო, მაღალპროფესიული შეჯახებების გარეშე წარმოუდგენელიცაა.

ერთი ამერიკელი პოლიტოლოგი წერდა, რომ დღეს ესა თუ ის მოვლენა "არშემდგარად" ჩაითვლება თუ იგი არ "შედგა" მედიასივრცეში ანუ არ აისახა პლანეტის "საინფორმაციო ატმოსფეროში".

გაგრძელება A6 გვერდზე

გზა აფხაზეთისკენ

როკის გვირაბის გავლით კოკოითს "პერსონა ნონ გრატად" გამოცხადება ემუქრება

გოგა ოქროპირიძე

სპეციალურად "24 საათისთვის"

აურზაური არაფრის გამო - ასე შეიძლება შეფასდეს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიასა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეჟიმის მეთაურის ედუარდ კოკოითის შესაძლო შეხვედრის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი. როგორც ჩანს, ოფიციალური თბილისის ინიციატივა რეალობის წარმოჩენას უფრო ემსახურებოდა, ვიდრე რაიმე შეთანხმების მიღწევას. შეხვედრა ოსური მხარის უარის გამო გაურკვეველი ვადით გადაიდო. კოკოითი დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მისაღებად არც ამჯერად აღმოჩნდა მზად.

ედუარდ კოკოითი უკვე მერამდენედ ადასტურებს, რომ ის გარეშე ძალების გამხმოვანებელია და ნაბიჯებს იმ შემთხვევაში დგამს, როცა მიუთითებენ. მის უკან იმპერიული, მაგრამ საერთაშორისო ვალდებულებებით ფრთაშეკვეცილი რუსეთია. საკუთარ "პროტეჟეს" ის არც ამჯერად ტოვებს უყურადღებოდ და ოფიციალურ თბილისს მოლაპარაკებას თავად სთავაზობს. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვალერი ლოშჩინინი დიალოგისთვის მზადყოფნას გამოთქვამს და აცხადებს, რომ "ქართულმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაიყვანოს დამატებით შემოყვანილი ძალოვანი სტრუქტურების ნაწილები შერეული ძალების პასუხისმგებლობის ზონიდან". ლოშჩინინი იქვე დასძენს, რომ რუსეთი ვერ იქნება გულგრილი სამხრეთ ოსეთში მცხოვრები საკუთარი მოქალაქეების მიმართ (ასეთი კი კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ოსური მოსახლეობის დიდი უმრავლესობაა). საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანი იმასაც აღნიშნავს, რომ რუსეთი, ამავე დროს, პატივს სცემს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

გაგრძელება A2 გვერდზე

ეკონომიკა

მთავრობა ხვალ პარლამენტში ტრიუმფატორის პოზით შეაბიჯებს!

235 მილიონით გაზრდილი ხარჯები ყველაფერს არ გასწვდა და პარლამენტარებმა ჯერ ბიუჯეტის აქეთ-იქით "გადაქაჩვა" სცადეს, მერე კი მინისტრი ნოღაიდელი საყვედურებითაც აავსეს.

A4

უცხოეთი

„გამოცხადებული" ტერაქტების ქრონიკა

აპენინების ნახევარკუნძულს ნომერ პირველი ტერორისტის რისხვა ემუქრება.

A5

ცვალებადი ხერხებით - უცვლელი მიზნებისაკენ

ზუსტად 59 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ამერიკელებმა, პირველად კაცობრიობის ისტორიაში, ატომური ბომბი გამოიყენეს. ამ ფაქტმა მსოფლიოს კიდევ ერთხელ დაუდასტურა, რომ საგარეო პოლიტიკაში გზის გაკვლევის მთავარი საშუალება ძალის პრიმატია.

A5

სამართალი

ქუთაისელი მძღოლები გახშირებულმა ყაჩაღობამ ქუჩაში გამოიყვანა

ქუთაისის მერია მიკროავტობუსის მძღოლებს კანონიერ ქურდებთან ალიანსში ადანაშაულებს.

A7

ამინდი

	9/8	10/8
თბილისი	33	36
ქუთაისი	34	38
ბათუმი	33	36
სოხუმი	32	33
ფოთი	34	36
თელავი	32	34
ზუგდიდი	34	37
გორი	29	32
ახმეტა	31	34
ჭიათურა	33	37

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8500
ევრო	2.2307
გირვანქა სტერლ.	3.3779
რუბლი	0.0634

A2 ამბები A3 მთავარი თემა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 ანალიზი A7 სამართალი A8 ანკეტა

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 - B7 თვალსაზრისი B8 სხვადასხვა

პრეზიდენტი „ქართველი ხალხისთვის განკუთვნილი" ჯილდოთი დაბრუნდა

სამდღიანი არაოფიციალური ვიზიტის შემდეგ, მიხეილ სააკაშვილი ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნდა. სააკაშვილმა საქართველოში ამერიკის იურისტთა ასოციაციის მიერ მინიჭებული ჯილდო ჩამოიტანა, რომელიც მას ქვეყანაში სამართლიანობისათვის ბრძოლის, სამართლის დამკვიდრებისათვის, მოკლედ, როგორც ბოლოდროინდელი, ისე ადრინდელი საქმიანობისათვის მიენიჭა. მათ შორის, სასამართლო რეფორმის წარმატებით განხორციელების და კორუფციასთან ბრძოლის გამო.

მიხეილ სააკაშვილის თქმით, ეს ჯილდო არა მხოლოდ მისი, არამედ მთელი ქართველი ხალხის კუთვნილებაა, რომელიც უკეთესი მომავლისათვის იბრძოდა და იბრძვის. ჯილდო სააკაშვილს ასოციაციის პრეზიდენტმა დენის არჩერმა გადასცა, რომლისთვისაც სააკაშვილი მშვიდობიანად განხორციელებული რევოლუციის და, საერთოდ, თავისი მსოფლმხედველობისა და ლიდერობის გამო, ერთგვარ **"იდეალად არის ქცეული"**. ვიზიტის ბოლო დღეს სააკაშვილი ატლანტაში მაცხოვრებელ ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდა. მან ამერიკაში მცხოვრებ ქართველებს სამშობლოში დაბრუნებისკენ მოუწოდა. **„ჩემი ამოცანაა, აშშ-ში მცხოვრები ქართველები სამშობლოში დაბრუნდნენ. ზოგიერთი მათგანი ფიზიკურად უნდა დავაბრუნოთ, რათა თავიანთ ქვეყანას ემსახურონ და შესაბამისი სამუშაო ადგილები შევთავაზოთ, ხოლო სხვებს საქართველოს მოქალაქეობა მივანიჭოთ,"** - დაჰპირდა მიხეილ სააკაშვილი ქართული დიასპორის წარმომადგენლებს. საქართველოს პრეზიდენტის აზრით, ამერიკელი ქართველებისთვის ქართული პასპორტის გადაცემით სამშობლოსთან მათი სამართლებრივი კავშირი უნდა დავაბრუნოთ, რათა თავიანთ ქვეყანას ემსახურონ და შესაბამისი სამუშაო ადგილები შევთავაზოთ, ხოლო სხვებს საქართველოს მოქალაქეობა მივანიჭოთ" - განაცხადა სააკაშვილმა ჯორჯიის შტატის ქალაქ ატლანტაში ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან შეხვედრისას.

საქართველოს პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ამერიკელი ქართველებისთვის ქართული პასპორტის გადაცემით აღდგება მათი სამართლებრივი კავშირი სამშობლოსთან. "მნიშვნელოვანია, ქართული დიასპორის წარმომადგენლებს დაუბრუნდეს სიამაყის გრძნობა, რომელიც სამშობლოს წარმატებული განვითარებით იქნება განპირობებული", - აღნიშნა პრეზიდენტმა. შეგახსენებთ, რომ მიხეილ სააკაშვილი აშშ-ში არაოფიციალური ვიზიტით 4-8 აგვისტოს იმყოფებოდა. 7 აგვისტოს ატლანტაში (ჯორჯიის შტატი) იგი ადვოკატთა ამერიკული ასოციაციის პრემიით დააჯილდოეს, რომელიც ყოველწლიურად სხვადასხვა ქვეყნის ლიდერებს კანონის უზენაესობის დამკვიდრებისთვის გადაეცემათ. ***მედია-ნიუსი***

ქართულ პასპორტებს ამერიკელი ქართველებიც მიიღებენ

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ამერიკაში მცხოვრებ ქართველებს სამშობლოში დაბრუნებისკენ მოუწოდებს. "ჩემი ამოცანაა, აშშ-ში მცხოვრები ქართველები სამშობლოში დაბრუნდნენ. ზოგიერთი მათგანი ფიზიკურად უნდა დავაბრუნოთ, რათა თავიანთ ქვეყანას ემსახურონ და შესაბამისი სამუშაო ადგილები შევთავაზოთ, ხოლო სხვებს საქართველოს მოქალაქეობა მივანიჭოთ" - განაცხადა სააკაშვილმა ჯორჯიის შტატის ქალაქ ატლანტაში ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან შეხვედრისას.

საქართველოს პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ამერიკელი ქართველებისთვის ქართული პასპორტის გადაცემით აღდგება მათი სამართლებრივი კავშირი სამშობლოსთან. "მნიშვნელოვანია, ქართული დიასპორის წარმომადგენლებს დაუბრუნდეს სიამაყის გრძნობა, რომელიც სამშობლოს წარმატებული განვითარებით იქნება განპირობებული", - აღნიშნა პრეზიდენტმა. შეგახსენებთ, რომ მიხეილ სააკაშვილი აშშ-ში არაოფიციალური ვიზიტით 4-8 აგვისტოს იმყოფებოდა. 7 აგვისტოს ატლანტაში (ჯორჯიის შტატი) იგი ადვოკატთა ამერიკული ასოციაციის პრემიით დააჯილდოეს, რომელიც ყოველწლიურად სხვადასხვა ქვეყნის ლიდერებს კანონის უზენაესობის დამკვიდრებისთვის გადაეცემათ. ***მედია-ნიუსი***

გიორგი ბარამიძე მოსკოვში მიემგზავრება

საქართველოს თავდაცვის მინისტრი გიორგი ბარამიძე ცხრა აგვისტოს ოფიციალური ვიზიტით მოსკოვში გაემგზავრება. იგი შეხვდება რუსეთის ფედერაციის თავდაცვის უწყების ხელმძღვანელს სერგეი ივანოვს, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს იური ბალუევსკის, დუმის დსთ-ს ქვეყნების კომიტეტის თავმჯდომარეს ანდრეი კოკოშინს. ქართულ დელეგაციაში შედიან სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების საკითხში გიორგი ხაინდრავა და ცხინვალის რეგიონში ქართული სამშვიდობო ძალების წარმომადგენელი მიხეილ ქებაძე.

საუბრის ძირითადი თემა იქნება ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირება, საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანისა და იმ სამხედრო ობიექტების გადმოცემის საკითხი, რომლებიც ადრე რუსეთის სამხედრო ბაზებს ეკავათ.

მხარეები, სავარაუდოდ, ისაუბრებენ, აგრეთვე, ამ დღეებში რუსული სამხედრო თვითმფრინავის მიერ ცხინვალის რეგიონში საქართველოს საჰაერო საზღვრის დარღვევის შესახებ. დაგეგმილია გიორგი ბარამიძის შეხვედრა მასმედიის წარმომადგენლებთანაც. საქართველოს თავდაცვის მინისტრი მოსკოვიდან 11 აგვისტოს დაბრუნდება. ***მედია-ნიუსი***

კოკოითის ხელისუფლებამ საბრძოლო ვერტმფრენები შეიძინა

სამხრეთ ოსეთი მანამდე გააგრძელებს სამხედრო სწავლებებს ვერტმფრენების გამოყენებით, ვიდრე საქართველოს მხრიდან საფრთხე იარსებებს, - აცხადებს ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების ინფორმაციის კომიტეტის თავმჯდომარე ირინა გაგლოევა.

მისივე თქმით, ოსების შეიარაღებული ძალებისთვის სამი ვერტმფრენი უკვე შეძენილია. გაგლოევას არ დაუზუსტებია, რომელი ქვეყნიდან შეიძინეს ეს საფრენი საშუალებები. "ვერტმფრენები სამხრეთ ოსეთის შეიარაღებაში აქამდე არ ყოფილა. 6 აგვისტოს სამხედრო სწავლებები ჯავის რაიონში მათი გამოყენებით პირველად ჩატარდა", - განმარტავს გაგლოევა. ***მედია-ნიუსი***

პრეზენტაცია საბურამოში შედგა

მას შემდეგ, რაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პროექტი, "ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები", საიტზე მოათავსა და საქართველოს სკოლებს გადაუგზავნა განსახილველად, სამინისტროში 1700-მდე ოქმი მოვიდა. პედაგოგიურმა კოლექტივებმა საკუთარი შეფასებები და წინადადებები გამოაგზავნეს. ამას გარდა, პროექტი განიხილეს საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და, მიწოდებული შეფასებებისა და წინადადებების გათვალისწინებით, საკონსულტაციო საბჭომ პროექტის საბოლოო ვარიანტი შეადგინა, რომელიც დღეიდან საიტზეც განთავსდება.

სამინისტრომ პროექტის საბოლოო ვარიანტის პრეზენტაცია შაბათს საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში მოაწყო. **24 საათი**

დაადგინეს ხელფასის რაოდენობა

აჭარის უმაღლესი საბჭოს რიგით მესამე სხდომაზე გაუქმდა აბაშიძის დროინდელი უშიშროების საბჭო, სახალხო დამცველის თანამდებობა და გადაიდო ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს გაუქმება. სამაგიეროდ, დადგინდა დეპუტატთა ხელფასის რაოდენობა.

პირველად იყო კანონი, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის სიცოცხლის და ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევის უმაღლესი საბჭოს წევრისა და საბჭოს პარტიის მოხელის საპენსიო უზრუნველყოფას ითვალისწინებდა. ეს კანონი ეხებოდა მხოლოდ 2004 წელს დამტკიცებულ უმაღლესი საბჭოს წევრებს, მაგრამ მათივე თხოვნით შეტანილი იქნება ცვლილება და 1991 წლიდან მოყოლებული ყველა იმ პარლამენტარს, რომლებიც დღესაც მოღვაწეობენ, ხელფასის შესაბამისი პენსია დაენიშნებათ. ამ კანონის განხილვისას უმრავლესობის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ბეჟან გობაძემ საბჭოს თხოვნით მიმართა, რომ შექმნილიყო დროებითი საგამოძიებო კომისია, რომელიც 1991 წლიდან მოყოლებული დღემდე აჭარის მთავრობაში მოღვაწე ადამიანთა მუშაობის ყველა დეტალს შეისწავლიდა, რადგანაც მისი აზრით არიან ისეთებიც, ვინც არანაირ თანამდებობებზე არ უნდა დაინიშნონ და არც სახელმწიფოა ვალდებული ასეთი ადამიანები ხელფასით თუ პენსიით უზრუნველყოს. უმრავლესობა ამ აზრს დაეთანხმა და ალბათ მომავალ სხდომაზე იურიდიულად გააფორმებენ კიდეც.

სხდომაზე დეპუტატებმა საკუთარი ანაზღაურების შესახებაც იმსჯელეს და დაადგინეს, რომ რიგითი დეპუტატის ხელფასი 450 ლარი იქნება, საბჭოს თავჯდომარისა 600 ლარი, ხოლო თავჯდომარის მოადგილის 525 ლარი.

ამის შემდეგ სხდომამ უპრობლემოდ გააუქმა წინა რეჟიმის დროინდელი მართლწესრიგის დაცვის, კორუფციისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის უშიშროების საბჭო, კანონი სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) შესახებ და კანონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კრებების შესახებ.

ასე რომ, ამიერიდან უმაღლესი საბჭოს წევრებს ექნებათ ხელფასი, მერე პენსია და თუკი პენსიას და ხელფასს დაუგვიანებენ, მათ ინტერესებს თბილისის ომბუდსმენის ოფისიდან დაიცავენ.

თამარ ნაგერვაძე, "24 საათი აჭარა"

სამშობლოს მარტო დარიბები არ დაიცავენ

იაღლუნჯას სამხედრო პოლიგონზე გამართულ ბრიფინგზე მიხეილ მაჭავარიანმა საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია გაახმაურა. პრეზიდენტი პარლამენტში ინიციატივით შედის და საკანონმდებლო ორგანოს განსახილველად სთავაზობს სამხედრო სამსახურის შესახებ კანონში შესატან ცვლილებათა პროექტს. საზოგადოებისათვის საკმაოდ უცნობი პროექტის თაობაზე წინასწარვე ცნობილია, რომ ცვლილება 200-ლარიანი ბეგარის მოხსნას ითვალისწინებს. ეს ცალსახად ნიშნავს იმას, რომ საქართველოში ჯარის ავტორიტეტი გაიზრდება.

თავისთავად, ბეგარის არსებობა, თანაც საქართველოში, სადაც სამხედრო სამსახური არც ისე პრესტიჟულია, ნიშნავს იმას, რომ სამშობლოს დაცვა ევალება მოსახლეობის იმ კატეგორიას, რომელსაც 200 ლარის გადახდის საშუალებას არ გააჩნია. ბუნებრივია, სოციალურად დაუცველი ფენისგან დაკომპლექტებული შეიარაღებული ძალები ქვეყნის სამხედრო ძლიერებას დიდად ვერ წაადგება, ამ ქვეყნის ღირსებასა და თავმოყვარეობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

ერთი სიტყვით, ბეგარის გაუქმება პროგრესული მოვლენა იქნება როგორც შეირაღებული ძალების გაჯანსაღების და გაძლიერების თვალსაზრისით, ასევე იდეურადაც – სამშობლოს დაცვა ყველას მოვალეობა გახდება. და ეს იქნება ნებისმიერ მოწოდებასა და ლოზუნგზე, ნებისმიერ მოძრაობაზე უფრო ეფექტური საშუალება საიმისოდ, რომ ჯარი და სამხედრო სამსახური ჩვენში პრესტიჟული გახდეს.

თავისთავად, ბეგარის და ყოველგვარი შეღავათის მოხსნა (ახალი პროექტი ამასაც ითვალისწინებს) ავტომატურად ხსნის კორუფციის პრობლემას, ფულის კეთების საშუალებას გამორიცხავს. თანაც, ისიც ცხადია, რომ 200-ლარიანი ბეგარით გამდიდრებული თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი არავის უნახავს...

როგორც პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ გივი თარგამაძემ "24 საათს" განუცხადა, ცვლილებათა პროექტის მიხედვით, ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვის სამხედრო სავალდებულო სამსახური ერთ წლამდე მცირდება, ხოლო სტუდენტები ჯარში 6 თვეს იმსახურებენ. სამხედრო სამსახურის ვადის შემცირება, ბუნებრივია, გაზრდის შეირაღებული ძალების გამტარობას, გაიზრდება რეზერვისტთა რიცხვიც.

ადვილი შესაძლებელია, პროექტს ოპონენტებიც გამოუჩნდეთ და მათ განაცხადონ, რომ ერთი წელი ჯარისკაცის სრულყოფილად მომზადებისათვის საკმარისი დრო არ არის. პრობლემის გადაჭრის ეფექტურ საშუალებად შეიძლება მივიჩნიოთ იმავე მიხეილ მაჭავარიანის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომ მზადდება გეგმები საშუალო სკოლებში სამხედრო სწავლებასთან დაკავშირებით. თუ საშუალო სკოლაში მოსწავლე ჯეროვან სამხედრო აღზრდას და მომზადებას გაივლის, მაშინ მისთვის შეიარაღებულ ძალებში ერთი წლის სამსახური საკმარისი იქნება. გარდა ამისა, იცვლება სამხედრო სამსახურისადმი დამოკიდებულებაც, ანუ ეს ხელს შეუწყობს ჯარის პრესტიჟის ამაღლებას: ჩვენ ვიცხოვრებთ ქვეყანაში, სადაც მებრძოლის აღზრდა ჯერ კიდევ სკოლის ასაკიდან იწყება.

კანონი, რომლის მიხედვითაც ჯარში სამსახური ყველასთვის სავალდებულო იქნება, ბუნებრივია, გამოიწვევს კვოტის ზრდას. გივი თარგამაძის ინფორმაციით, დღეისთვის შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა ხუთი ათას კაცს აღწევს. ჯერჯერობით, ცვლილებათა პროექტით განსაზღვრული არ არის, რამდენით გაიზრდება კვოტა მომავალში, - დასძინა ჩვენთან საუბრისას თარგამაძემ. მიუხედავად ამისა, წინასწარვე ცხადია, რომ შეიარაღებული ძალების რიგებს ყველაზე ძლიერები შეავსებენ, დანარჩენები ალტერნატიულ სამსახურში ჩაებმებიან.

დღეს შეუძლებელია საუბარი სამხედრო სავალდებულო სამსახურის შესახებ კანონპროექტის სხვა მხარეზე, განსაკუთრებით კი - დეტალებზე. ისიც ბუნებრივია, რომ ამ წერილში დამოუკიდებელ ექსპერტთა კომენტარებს არ გთავაზობთ. ეს იმიტომ, რომ არც ერთი მათგანი არ იცნობს ცვლილებათა პროექტს, რომლის განხილვაც პარლამენტის რიგგარეშე სესიაზე უახლოეს დღეებშია დაგეგმილი. ამით იმის თქმა გვინდოდა, რომ რაგინდ კარგ ინიციატივასაც არ უნდა იჩენდეს ხელისუფლება, ყველანაირი თვალსაზრისით აუცილებელია, მის მიერ შემოთავაზებული კანონპროექტების განხილვა "ფართო საზოგადოებაში" თუ არა, სპეციალისტებმა, ექსპერტთა ვიწრო წრემ მაინც შეძლოს.

ვერიკო თევზაძე

გზა აფხაზეთისკენ

ოფიციალურ თბილისს კოკოითის რეჟიმთან სალაპარაკო და სავაჭრო არაფერი აქვს. მისი მთავარი ამოცანა ამ ეტაპზე მშვიდობის შენარჩუნებაა.

ВПЕРВЫЕ ПО-РУССКИ

რუსული დიპლომატიის ორმაგი სტანდარტები მეტად აბუნდოვანებს კონფლიქტის ზონაში შექმნილ სურათს. რეალობა კი ასეთია - ქართული მხარის მიერ კონტრაბანდული გზების გადაკეტვამ საფრთხე შეუქმნა კოკოითის სეპარატისტული რეჟიმის არსებობას, რასაც რუსეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტის გაღიზიანება მოჰყვა. ამიტომ მას ცდა არ დაუკლია, რომ კონფლიქტის ზონაში შეიარაღებული დაპირისპირება ხელახლა აგორებულიყო. რუსეთი მხოლოდ ამ გზით მოახერხებდა ოფიციალურ თბილისზე ზეწოლის ბერკეტის შენარჩუნებას.

ცამეტი წლის წინანდელი ისტორია ჯერჯერობით არ მეორდება და, რაც დრო გადის, ფართომასშტაბიანი შეიარაღებული დაპირისპირების პერსპექტივები მით უფრო მცირდება. კოკოითმა ბრძოლის დაწყება ჯერ კიდევ ივნისის დასაწყისში სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა. რუსეთიდან ბოევიკების შემოყვანა და ქართულ სამხედრო დანაყოფზე თავდასხმის ინსპირირება არ აღმოჩნდა საკმარისი საფუძველი სისხლისღვრის გასაჩაღებლად. აქ გადამწყვეტი როლი ქართული მხარის თავშეკავებამ და ადგილობრივი მოსახლეობის ნებამ ითამაშა. ბოლო წლებში აღდგენილმა ქართულ-ოსურმა ურთიერთობებმა, რაშიც მნიშვნელოვანი როლი ეკონომიკურმა ურთიერთობებმა შეასრულა, გამოცდას გაუძლო.

ოფიციალურ თბილისს სამიოდ თვის წინ სამხრეთ ოსეთის კონფლიქტთან მიმართებაში სამი სახის არჩევანი ჰქონდა. პირველი - წინა ხელისუფლების მსგავსად, შეგუებოდა შექმნილ რეალობას, მეორე - გამოეყენებინა სამხედრო ძალა (რაც, ფაქტობრივად, რუსეთთან ომში ჩათრევას გამოიწვევდა) და მესამე - მშვიდობიანი გზით ეტაპობრივად განეხორციელებინა რეგიონზე საკუთარი იურისდიქციის აღდგენა. საქართველოს ხელისუფლებამ ცალსახად აქცენტი ბოლო ვარიანტზე გააკეთა და კონტრაბანდის გადაკეტვით მნიშვნელოვანი წინაპირობა შექმნა სეპარატისტული რეჟიმის დასამხობად. კონფლიქტის დარეგულირების პროცესმა, უკვე შეიძლება ითქვას, რომ შეუქცევადი სახე მიიღო. მისი ხელახალი დაკონსერვების პერსპექტივა ამ ეტაპზე არარეალურია. რაც შეეხება ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებას, მოვლენების ამ კუთხით განვითარების შანსი სულ უფრო კლებულობს, რადგან მშვიდობის შესანარჩუნებლად ოფიციალური თბილისი მნიშვნელოვან ბერკეტებს ფლობს.

ამდენად, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, კონფლიქტის დარეგულირების ძირითადი ხაზი უკვე იკვეთება. ქართული მხარე რეგიონში პოზიციებს იძლიერებს, რაც ადგილობრივი სეპარატისტული რეჟიმის გადარჩენის შანსებს ამცირებს. კოკოითის ურაპატრიოტული მოწოდებები, რაც ნაკლებად შეესაბამება რეგიონში შექმნილ მძიმე სოციალურ ფონს, ადგილობრივ ოსურ მოსახლეობაში სულ უფრო ნაკლებ მხარდაჭერას პოულობს.

კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა დღითი დღე უარესდება. განსაკუთრებით მძიმე ვითარებაში აღმოჩნდნენ ოსური ანკლავები, რომლებიც განბაჟების გარეშე რუსეთიდან პირველადი მოხმარების საგნებსაც ვეღარ იღებენ. ამ ფონზე კვლავ აქტუალური ხდება ევროკომისიის მიერ რამდენიმე წლის წინ გამოყოფილი 2,5 მილიონი ევროს ათვისების და სხვადასხვა ეკონომიკური პროექტების ამოქმედების საკითხი, რაც ხელს შეუწყობს კონფლიქტის ზონაში სოციალური ფონის უკეთესობისაკენ შეცვლას.

ეკონომიკური ფაქტორების წინა პლანზე წამოწევას საბოლოო ჯამში როკის გვირაბის პრობლემის გადაჭრამდე მივყავართ. სამხრეთ ოსეთის, როგორც ცალკე რეგიონის (მისი სტატუსის განსაზღვრა მომავლის საქმეა), სრულფასოვანი არსებობა წარმოუდგენელია საკუთარი ფინანსების გარეშე. კონტრაბანდის გადაკეტვამ ადგილობრივი სეპარატისტული ხელისუფლება, ფაქტობრივად, სახსრების გარეშე დატოვა. ამ ეტაპზე კი რეგიონის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივა მხოლოდ ქართულ მხარესთან თანამშრომლობაში ჩანს. როკის გვირაბის ერთობლივი გაკონტროლება და საბაჟო გადასახადის მნიშვნელოვანი წილის ადგილზე დატოვება (პრეზიდენტი სააკაშვილი ცხინვალის ხელისუფლებას ამ შემოსავლის 50%-ს სთავაზობს) მხარის ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვან წინაპირობას შექმნის.

როკის გვირაბის ერთობლივი გაკონტროლების და ზოგადად რეგიონის ეკონომიკური განვითარების საკითხი ოსური მოსახლეობის დიდ ნაწილში აქტიურად განიხილება. ამ კონტექსტში ჩრდილოეთ ოსეთის ელექტრონულ მედიაში ბოლო ხანს მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა იტალიის ერთ-ერთი პროვინციის სამხრეთ ტიროლის მაგალითის განხილვას, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის ორ მესამედს ავსტრიელები შეადგენენ (ამ ავტონომიური წარმონაქმნის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი ერთ სულ მოსახლეზე სამჯერ აღემატება მეზობელი რეგიონების ანალოგიურ მაჩვენებლებს).

ოსური მოსახლეობის დიდი ნაწილისგან განსხვავებით, როკის გვირაბის ქართულ მხარესთან ერთად გაკონტროლება ერთნაირად მიუღებელია როგორც ადგილობრივი სეპარატისტული რეჟიმისთვის, ისე ოფიციალური მოსკოვისთვის. საქმე ისაა, რომ ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა ოფიციალურ თბილისს საზღვრის ოსური მონაკვეთის გაკონტროლების საშუალებას მისცემს, რაც უმთავრესი ნაბიჯი იქნება ცხინვალის რეგიონში მისი იურისდიქციის აღდგენის გზაზე. მოვლენების ამ კუთხით განვითარება დღის წესრიგში კოკოითის რეჟიმის შეცვლის აუცილებლობას აყენებს. რუსეთს კი ყველაზე მეტად ის აღშფოთებს, რომ სამხრეთ ოსეთში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის აღდგენა, შესაძლოა, მნიშვნელოვანი წინაპირობა აღმოჩნდეს აფხაზეთის დასაბრუნებლად. ოფიციალური მოსკოვი ასეთ პერსპექტივას სამხრეთ კავკასიაში საკუთარი გავლენის დაკარგვის კონტექსტში განიხილავს.

სამხრეთ ოსეთის პრობლემის ოფიციალური თბილისისთვის მისაღები ფორმით მოგვარებას საერთაშორისო ფონიც ხელს უწყობს. ეუთოს მისიის გააქტიურებას (იგი მოქმედების ზონის გაფართოებას როკის გვირაბამდე ითხოვს) ემატება თეთრი სახლის მხრიდან ღია ინტერესის გამოხატვა ცხინვალის რეგიონის მიმართ. ბოლო დროს ბუშის ადმინისტრაცია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საკითხს სამხრეთ ოსეთის პრობლემის დარეგულირებასთან კონტექსტში განიხილავს, რაც ქართულ მხარეს რუსეთის ფაქტორის გასანეიტრალებლად დამატებით ბერკეტს აძლევს.

ცხინვალის რეგიონის პრობლემის მოგვარების საკითხში ოფიციალური თბილისი კრემლთან საინფორმაციო ომშიც გარკვეულ წარმატებებს აღწევს. მედიის საშუალებებში გაჩნდა ტენდენცია, რომელიც კონფლიქტს ქართულ-ოსურის ნაცვლად ქართულ-რუსული დაპირისპირების კონტექსტში წარმოაჩენს. ასეთი ფონი კი ოფიციალურ მოსკოვს კონფლიქტში აშკარა ჩარევის საშუალებას უზღუდავს.

როგორც სიტუაციის ანალიზი ცხადყოფს, ოფიციალურ თბილისს კოკოითის რეჟიმთან სალაპარაკო და სავაჭრო არაფერი აქვს. მისი მთავარი ამოცანა ამ ეტაპზე მშვიდობის შენარჩუნებაა. საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, ჰუმანიტარული პროექტების განხორციელება და ოსურ მოსახლეობასთან მუშაობა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას რეგიონში საკუთარი იურისდიქციის ეტაპობრივი აღდგენის რეალურ შანსს აძლევს.

ორი სიტყვით

თბილისი. პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია, შესაძლოა, უახლოეს დღეებში აჭარას ეწვიოს. მასთან ერთად რეგიონში მინისტრების ჩასვლაც იგეგმება. საქართველოს მთავრობის წევრები ბათუმში, სავარაუდოდ, ორი კვირის განმავლობაში დარჩებიან და აჭარის მინისტრთა საბჭოს შენობაში მთავრობის სხდომებს გამართავენ. განიხილება ეკონომიკური საკითხები. თუმცა, როგორც მთავრობის აპარატის პრესსამსახურში აცხადებენ, პრემიერ-მინისტრის აჭარაში გამგზავრება საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ილია ჭავჭავაძის საზოგადოების თავმჯდომარე თამარ ჩხეიძე საქართველოს ხელისუფლების მიერ ცხინვალის რეგიონში გატარებულ პოლიტიკას არ იზიარებს და იქ სპეცოპერაციის ჩატარებას ურჩევს. "მიუხედავად ცალკეული ანტირუსული განცხადებებისა, რეალურ ნაბიჯს საქართველოს ხელისუფლება არ დგამს. მთავრობამ კონფლიქტის ზონიდან, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაიყვანოს რუსეთის ჯარი. რუსეთის ფაქტორის ნეიტრალიზების შემდეგ, უნდა ჩატარდეს სპეცოპერაცია იქ არსებული უკანონო რეჟიმის მოსაშორებლად," - მიაჩნია ჩხეიძეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო კატეგორიულად მოითხოვს რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობისაგან, ჩაატაროს გამოძიება რუსეთის მხრიდან ცხინვალის მიმართულებით სამხედრო თვითმფრინავის მიერ საჰაერო სივრცის დარღვევის ფაქტზე და დასაჯოს დამნაშავეები. აღნიშნულთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის შესაბამის უწყებას საპროტესტო ნოტა უკვე გაუგზავნა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარე, ბორის ჩოჩიევი თვლის, რომ მნიშვნელოვანია კონფლიქტის ზონაში არა ეუთოს დამკვირვებელთა რაოდენობის გაზრდა, არამედ მათ მიერ გატარებული კონკრეტული და ხარისხიანი ღონისძიებები.

როგორც ჩოჩიევმა განაცხადა, ეუთოს დამკვირვებლებმა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მონიტორინგი უნდა ჩაატარონ და ობიექტური ინფორმაცია გადასცენ.

"აქამდე ისინი არ აკეთებდნენ იმას, რაც უნდა ეკეთებინათ, უფრო დეზინფორმაციას ავრცელებდნენ, ვიდრე ობიექტურ ინფორმაციას. თუმცა, უკანასკნელ ხანებში მათი საქმიანობა ამ მიმართულებით საგრძნობლად გამოსწორდა", - აღნიშნა ჩოჩიევმა. ოფიციალური თბილისი კი მიესალმება ეუთო-ს მუდმივი საბჭოს გადაწყვეტილებას, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მისიის სამხედრო დამკვირვებელთა რაოდენობის ოთხიდან ექვს კაცამდე გაზრდის შესახებ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტობის ყველა კანდიდატი არძინბას გუნდის წევრია და მათ საქართველოსთვის იმაზე უარესის გაკეთება შეუძლიათ, ვიდრე დღეს ავადმყოფ არძინბას, - აცხადებს აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების უმაღლესი საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი და დასძენს, რომ თითოეული მათგანის პროგრამა მაქსიმუმი აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება და რუსეთის ფედერაციაში ასოცირებულ წევრად მიღებაა. ნადარეიშვილის აზრით, სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლების პრეზიდენტობის ყველა კანდიდატს რუსეთის ფედერაციის სახელისუფლებო წრეები ლობირებენ, თუმცა გამარჯვების ყველაზე რეალური შანსი ამჟამინდელ პრემიერ-მინისტრს რაულ ხაჯიმბასა და ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი შამბას აქვთ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაღუპვის საქმესთან დაკავშირებით პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხი კვლავ გაურკვეველია. როგორც ამ კომისიის შექმნის ერთ-ერთმა ინიციატორმა, პარლამენტარმა ზვიად ძიძიგურმა განაცხადა, ამ საკითხთან დაკავშირებით პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს იგი 9 აგვისტოს შეხვდება და შეეცდება საბოლოოდ გაარკვიოს, რატომ ფერხდება მისი ინიციატივის ხორცშესხმა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის პოლიციამ დააპატიმრა დანაშაულებრივი ჯგუფის ორი წევრი - სოფია კობახიძე და რევაზ შენგელაია, რომლებიც საქართველოში მცხოვრებ უცხოელებს ბინაზე იტყუებდნენ და ძარცვავდნენ. როგორც თბილისის პოლიციის სამმართველოში აცხადებენ, სოფია კობახიძემ დასაძინებელი საშუალება ჩაუყარა სასმელში ინდოეთის მოქალაქეს მუჰამედ ანეფიდს საკუთარ ოფისში, რის შემდეგ დაუკავშირდა თანამზრახველებს, რომლებმაც უცხოელს მოპარეს მობილური ტელეფონი, 300 ლარი, კომპიუტერები და ქსეროქსის აპარატი. პოლიცია ვარაუდობს, რომ ამ დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრებსაც დააკავებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სამართალდამცავებმა დააკავეს გორის რაიონში მცხოვრები, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის სოფელ ნიქოზში განლაგებული, თავდაცვის სამინისტროს სამშვიდობო ძალების ბატალიონის ზემდეგი 21 წლის დავით არევაძე, რომელმაც ავტომატიდან გასროლით ფეხში დაჭრა ამავე ბატალიონის რიგითი, 19 წლის ამირან კურტანიძე. ამოღებულია "აკს-74" სისტემის ავტომატი. **პრაიმ-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

"მეორე აფხაზეთი"

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ასე გაგრძელდა 6 აგვისტოს 14.00 საათამდე, ვიდრე თბილისის მერიაში ერთობლივ განცხადებას გააკეთებდნენ შემდეგი ოფიციალური პირები: ქალაქის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი, პრემიერი ბიძინა ბრეგაძე, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი ეთერ ასტემიროვა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თემურ მჟავია და აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ლონდერ ცაავა. განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ გადაწყვეტილია სასტუმრო "ივერიის" დაცლა და დევნილებისთვის თითო დაკავებულ ოთახში 7 ათასი დოლარის კომპენსაციის მიცემა.

ამ განცხადებიდან ორიოდე წუთში სასტუმრო "ივერიაში" სასწრაფოს მანქანები გამოიძახეს (დევნილების ნაწილს გულმა შეუტია, ზოგს წნევამ აუწია). რამდენიმე საათში კი "ივერიის" მაცხოვრებელთა წარმომადგენლობა მერიის შენობას მიადგა და იგივე ოფიციალურ პირებს შეხვდა. შეხვედრა დაძაბული გამოდგა. დევნილების უკმაყოფილებას ორი ძირითადი მიზეზი იწვევდა; პირველი - ოფიციალური განცხადების მოულოდნელობა და, ყოველგვარი წინასწარი განხილვის გარეშე, დევნილების ფაქტის წინაშე დაყენება და მეორე - კომპენსაციის სიმცირე.

მესამე მიზეზი იქვე წარმოშვა ბიძინა ბრეგაძის ნათქვამმა - საჭიროების შემთხვევაში, ხელისუფლების მიერ დევნილების მიმართ ძალისმიერი მეთოდების გამოყენების თაობაზე. ხმამაღალი საუბრის შემდეგ გადაწყდა, რომ მეორე დღეს, საღამოს 8 საათზე "ივერიაში" დევნილებთან მივიდოდა ზურაბ ჭიაბერაშვილი.

ვიდრე დევნილები დათქმულ დროს მოუთმენლად ელოდნენ და შეკითხვებს "აგროვებდნენ", დედაქალაქის ხელისუფლება ჟურნალისტებთან გარეუბნებში დადიოდა და 7-ათასდოლარიან ბინებს ეძებდა. ვარკეთილში, სადაც, არამყარი ნიადაგის გამო, მეტ-ნაკლებად ავარიულია ყველა კორპუსი, უნახავთ კიდეც ამ ფასად რამდენიმე ოთხოთახიანი ბინა. ამ ძიებასთან დაკავშირებით იმის თქმა შეიძლება, რომ გულმოდგინე კაცი უკეთეს ვარიანტსაც მიაგნებდა. ასე, მაგალითად, ჩემმა მეგობარმა ვარკეთილის მეოთხე მიკრორაიონში 5-ოთახიანი ბინა 5 ათას დოლარად იშოვა, მაგრამ იქ ცარიელი კედლებისა და ფარღალატა ფანჯრების მეტი არაფერია, - იატაკი, ჭერი, შპალერი და "კარ-აკოშკა" გასაკეთებელია და ამას ერთი ხუთი ათასი კიდევ სჭირდება. წყალი დილა-საღამოს ორ-ორი საათით მოდის და "ნაპორი" არ ჰყოფნის. ასეთ ბინაში ზამთარში მხოლოდ იმ შემთხვევაში არ გაიყინები, თუ "ლეჟანკას" "ფეჩთან" დადგამ და ყოველ ორ საათში შეუკეთებ რამდენიმე ნაჭერ შეშას, თუ გაქვს, რა თქმა უნდა.

ზურაბ ჭიაბერაშვილი: "ჩემი ინტერესია, სასტუმრო "ივერიას" დაუბრუნდეს სახე, მაგრამ თქვენი უფლებებიც არ უნდა შეილახოს.

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

ერთი სიტყვით, ქალაქის ხელმძღვანელობა დარწმუნდა, რომ ამ ფასად ბინებს იშოვიდა, მაგრამ ეს ფაქტი დევნილებს ვერ ახარა. საღამოს "ივერიაში" მისულ მერს ისეთი კითხვები დააყარეს, რომელზეც იმ მომენტისთვის პასუხის გაცემა შეუძლებელი იყო (მაგალითად, რა ეშველება იმ ოჯახებს, რომლებიც ერთ ოთახში ცხოვრობენ – 12 წლის მანძილზე შვილები გაიზარდნენ, დაქორწინდნენ და საკუთარი ოჯახები შექმნეს).

"დღეს ყველა კითხვაზე პასუხი არ მაქვს და არც შეიძლება მქონდეს, იმიტომ, რომ ეს საკითხი ერთი კაცის გადასაწყვეტი არ არის. ასე არ ხდება. ამიტომ, უნდა ვიმუშაოთ რამდენიმე დღეს ერთად. ინდივიდუალური გადაწყვეტილებები კი კომისიამ უნდა მიიღოს, – პასუხობდა ქალაქის მერი, რომელსაც, თითქმის, არავინ უსმენდა, - **ჩემი ინტერესია, სასტუმრო "ივერიას" დაუბრუნდეს სახე, მაგრამ თქვენი უფლებებიც არ უნდა შეილახოს. ამისათვის თქვენ მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოთ კომისიასთან.**

მე მოვედი ერთადერთი მიზნით, რომ დაიწყოს თქვენთან დიალოგი და"... – ცდილობდა ნორმალური საუბრის გაბმას მერი, მაგრამ, როცა მიხვდა, რომ არაფერი გამოვიდოდა, ჩაჯდა მანქანაში და წავიდა. ეს მოსვლაში არ გეთვლებაო, - გამოეკიდნენ მას დევნილი ქალბატონები.

დევნილთა განსაკუთრებული აღშფოთება მოვლენების გაუგებარმა განვითარებამაც გამოიწვია. დათქმულ დრომდე ორი საათით ადრე სასტუმროში მერიის აპარატიდან დარეკეს (ყოველ შემთხვევაში, ასე გაეცნო "ივერიის" მაცხოვრებელს კობა ჩოფლიანს უცნობი ტელეფონის მეორე მხრიდან), - დღეს მერი ვერ გესტუმრებათო. მერე კი ზურაბ ჭიაბერაშვილი "ივერიაში" ერთი საათით ადრე მივიდა. დევნილებმა ყოველივე ეს პროვოკაციად მონათლეს და მერს შესაბამისი მასპინძლობაც გაუწიეს.

მარტო დარჩენილმა დევნილებმა იმ საღამოსვე გადაწყვიტეს დევნილთა კომისიის შექმნა და საკუთარი უფლებებისათვის ბოლომდე ბრძოლა.

ᲓᲔᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘ

მოთხოვნები და ინიციატივები

სხვადასხვა მონაცემებით, სასტუმრო "ივერიაში" ცხოვრობს 305-დან 350-მდე ოჯახი და 800-დან 1150-მდე დევნილი. დევნილები მოითხოვენ, დაზუსტდეს ყველაფერი და ეს ცივილიზებულად მოხდეს. საქმე ისაა, რომ რამდენიმე დღის წინათ სასტუმროში ღამის ორ საათზე მისულან მერიის წარმომადგენლები, ჩამოუვლიათ ოთახები და გამოუკითხავთ, სად რამდენი ადამიანი ცხოვრობს.

ზაზა ფაჩუაშვილი

დევნილი დავით პაკელიანი:

"აქ მაცხოვრებელ დევნილებს არ მოგვეცა შესაძლებლობა, რომ გავსაუბრებოდით ინვესტორს ან ხელისუფლების წარმომადგენელს და მერიის ოფიციალურ განცხადებამდე მხოლოდ ჭორები გვესმოდა. ეს იყო ხელისუფლების ტაქტიკური შეცდომა და, როდესაც მერიამ ივერიიდან დევნილების გასახლების გადაწყვეტილების შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა, სასტუმროში დიდი აჟიოტაჟი ატყდა. რამდენიმე ადამიანს გულის შეტევა დაემართა და სასწრაფო დახმარება დასჭირდა. საქმე ისაა, რომ ერთ ოთახში 7000 დოლარი არანორმალურად მცირე კომპენსაციაა. თუ ინვესტორს 5-ვარსკვლავიანი სასტუმროს მშენებლობა სურს, ხოლო რეკონსტრუქციაში 15 მილიონს იხდის, ხალხისთვის ნორმალური კომპენსაციის გაცემა რატომ ენანება. ჩვენ ვითხოვთ თითო ოთახში 15 ათასი დოლარის კომპენსაციას.

სხვა პრობლემაცაა. ივერიაში არის 7-8 სასურსათო მაღაზია. მათი მფლობელები კარგავენ ყველაფერს – შემოსავალს, მაღაზიას. მე კი ვალში ვვარდები, ვინაიდან მაღაზია ახალი გაკეთებული მაქვს და ვალი ჯერ არ გამისტუმრებია. ესეც უნდა გაითვალისწინონ.

ვინც გულის შეტევას გადავურჩით, შევივკრიბეთ და მერიას მივადექით. შევხვდით ქალქის ხელმძღვანელობას, სადაც დევნილი ხელისუფლების უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეებიც იყვნენ. დაძაბული საუბარი შედგა. პრემიერმა გაახმოვანა აბსურდული აზრი იმის შესახებ, რომ თუ დევნილები შეთავაზებულ პირობებს არ დაეთანხმებიან, მაშინ ხელისუფლება ძალას გამოიყენებს. ასეთი განცხადება მეორე დიდი შეცდომაა.

"ივერიაში" უამრავი პრობლემაა. ზოგ ოთახში ორი, სამი ოჯახი ცხოვრობს. თუ ეს ყველაფერი არ გაითვალისწინეს და ყველა დევნილის მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს, მაშინ დაიწყება უმართავი პროცესები. სასტუმროში ჩაწერილია რამდენიმე ისეთი ადამიანი, რომელთაც აქვთ გაქირვებული, თუ დაკეტილი ბინები და აქ ცხოვრობენ, იმიტომ, რომ კომუნალური გადასახადებით ისარგებლონ. ისინი, შეიძლება, 7000-დოლარიან კომპენსაციას დასთანხმდნენ კიდეც, მაგრამ ასეთი, მაქსიმუმ, 1-2 პროცენტია, მეტი - არა. დანარჩენები ერთ აზრზე ვართ და ჩვენი უფლებებისათვის ბოლომდე ვიბრძოლებთ. ივერიიდან ფეხსაც არავინ მოიცვლის".

ვენერა ქაჩიბაია, დევნილი გაგრიდან:

"ხელისუფლების განცხადებამ გამოიწვია "ივერიაში" მცხოვრები დევნილების შოკი. ზოგს გულმა დაარტყა, ზოგს წნევამ აუწია. ქალბატონი ასტემიროვა და ბატონი მჟავია რომ აცხადებენ, - რეალური თანხააო, - ეს ტყუილია. ის ბრეგაძეც რომ ამბობს, - გლდანში ოროთახიანში ვცხოვრობო, - კი, ბატონო, მობრძანდეს და გამიცვალოს – მე მივცემ ჩემს კომპენსაციას 7 ათას დოლარს, იმან დამითმოს თავისი ბინა. გააკეთებს ამას? – არ გააკეთებს!

ჩვენი ხალხი უკვე იმ ჭკუაზეა, რომ ავიკრათ გუდა-ნაბადი, დავსხდეთ რუსეთის საელჩოსთან და მოვითხოვოთ რუსეთის მოქალაქეობა. მერე აფხაზეთში დავბრუნდებით და ამათი სახვეწარიც არაფერი გვექნება. იმიტომ, რომ მთავრობა ჩვენზე არ ზრუნავს. 7 ათასი დოლარი - მაშინ, როცა არაფერი გაგვაჩნია, არც სახლი, არც სკამი, არაფერია. მე აფხაზეთში მეტი კი არაფერი გამიკეთეს – სახლ-კარი დამატოვებინეს და ჩემი საცხოვრებელიდან გამომაგდეს. იგივეს მიკეთებენ ახლა თბილისშიც.

რევოლუციის დღეებში ავადმყოფი ლოგინიდან ავდექი და მიტინგებზე "მიშა", "მიშას" ვყვიროდი. რატომ ვყვიროდი? – იმიტომ ვყვიროდი, რომ შეგვპირდა, - პირველს რასაც გავაკეთებ, აფხაზეთს დავიბრუნებო. ეს არის"?!

ეთერ გულიკაშვილი, დევნილი სოხუმიდან:

"11 წელია, აქ ვცხოვრობთ და სასტუმროში მოსული არავინ გვინახავს. ახლა შენობის გათავისუფლება უნდათ. დავჭირდით და იმიტომ მოვიდნენ. გუშინ ვიყავით მერიაში. იქ გადაწყდა, რომ მერი სასტუმროში საღამოს 8 საათზე მოვიდოდა. მასთან ერთად მოვიდოდნენ პრესის და ტელევიზიის წარმომადგენლებიც. ეს არ უნდოდათ, ამიტომ ჯერ დაგვირეკეს, - დღეს არავინ მოვაო, - მერე კი ერთი საათით ადრე მოვიდნენ და მხოლოდ პირველი არხი მოიყვანეს, რომ, რაც თვითონ უნდათ, ის დადასტურებინონ.

ამიტომ, ჩვენ - დევნილები შევქმნით ჩვენს საკუთარ კომისიას, რომელშიც შევა ორ-ორი მაცხოვრებელი ყველა სართულიდან და გავარკვევთ, სად რამდენი ადამიანი ცხოვრობს, ვინ ვისი მომხრეა და მერე ამ ჩვენს დასკვნას გადავცემთ მთავრობას და ჟურნალისტებს.

აბა, ისე კი არა, მაგენმა რომ გააკეთეს - ღამის ორ საათზე გამოაგზავნეს ხალხი და დაგვიწყეს გამოკითხვა, - ოთახში რამდენი ცხოვრობთო".

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი ნინო თოდუა:

"სრულიად ვეთანხმებით იმ აზრს, რომ სასტუმრო "ივერიას" უნდა დაუბრუნდეს თავისი სახე და მზად ვართ, დავცალოთ შენობა, მაგრამ ეს დაკავშირებულია მთელ რიგ სოციალურ პრობლემებთან; 7 ათასი დოლარით კი დევნილი თავის სოციალურ მდგომარეობას ვერ გაიუმჯობესებს. პირიქით, მას უფრო მეტი პრობლემა შეექმნება.

7 ათას დოლარად გარეუბანში, მართლაც, შეიძლება ერთოთახიანის ყიდვა, მაგრამ რა აზრი აქვს, თუ ერთ ოთახში ისევ 7-8 სული იცხოვრებს. თანაც, მართო კედლებში ხომ არ არის საქმე? წასაღები ჩვენ არაფერი გვაქვს, შესაძენი კი გვექნება ყველაფერი, რაც ოჯახს ელემენტარულად სჭირდება. გამოდის, რომ ნორმალური პირობების შესაქმნელად ჩვენ ბინა უნდა ვიშოვოთ, მაქსიმუმ, 5 ათასი დოლარის ფასად. თავად განსაჯეთ, რამდენად რეალურია ეს. იმედი მაქვს, ხელისუფლება ამ ყველაფერს გაითვალისწინებს და კომპენსაციებს გაზრდის.

აქ დევნილები ქალაქის ცენტრში ცხოვრობენ, ბავშვები სკოლაში დაჰყავთ, მუშაობენ და, რაც მთავარია, მათ ყველა კომუნალურ გადასახადს სახელმწიფო უხდის. დევნილისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია".

„გვაქვს თქვენი მაღალმოქალაქეობრივი შეგნების იმედი"

თბილისის ხელისუფლება მძიმე ამოცანას შეეჭიდა

მაკა ჭაიანი

"ივერიაში" 897 დევნილია რეგისტრირებული. ეს დევნილების პირველი ნაკადია და მათ ძირითად ნაწილს გაგრიდან წამოსულები შეადგენენ. ბევრია გუდაუთელიც. არიან, ასევე, წამოსულები სოხუმის რაიონიდან, გულრიფშიდან და ოჩამჩირედან. ისინი დევნილები არიან და ამით, თითქოს, ყველაფერი ნათქვამია – მოვლენები, რომელიც მათ ირგვლივ ვითარდება, იძენს განსაკუთრებულ ელფერს და სულ სხვა სიბრტყეში გადაჰყავს რეალობა. ამ რეალობაში მყოფებს უპატიებელიც შეიძლება აპატიო, თვალიც მოუხუჭო იმაზე, რაზეც სხვას არ მოუხუჭავს, ყურიც მოუყრუო. არგუმენტი ასეთია – ისინი ყველაზე გაჭირვებული ადამიანები არიან, გაჭირვება კი რას არ ჩაგადენინებს. მართალია, თუმცა, ადგილობრივ გაჭირვებულებს ამას ადვილად ვერ დააჯერებ; მით უმეტეს მათ, ვინც ბევრ დევნილზე გაცილებით გაჭირვებულია. არგუმენტი მათთვისაც მოიძებნება – თქვენ ჭერი მაინც გაქვთ თავზე, ისინი კი ვისთან აღარ არიან შეკედლებულნი. ეს, როგორც წესი, ძირითადი არგუმენტია და ამ კონტექსტში თვალშისაცემად უცნაურია ის წინააღმდეგობა, რომელიც სასტუმრო "ივერიიდან" დევნილების გამოსახლების პირობებს შეხვდა.

7000 დოლარის ეკვივალენტი ღარებში. ეს ის თანხა გახლავთ, რომლის გაცემასაც "ივერიის" დღევანდელი მფლობელი სასტუმროს თითო ოთახზე აპირებს. დევნილებს ეს თანხა ეცოტავებათ, არადა, როგორც აღმოჩნდა, თავიდან ამდენზე არც ყოფილა საუბარი, ე.წ. კომპენსაციის ოდენობა ინვესტორთან ქალაქის ხელისუფალთა მოლაპარაკების შედეგად გაიზარდა. **"მეტად გაზრდაზე არც შეიძლება იყოს საუბარი,** - ამბობს თბილისის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი, - **თუ დევნილები ფიქრობენ, რომ ამ თანხით ბინებს ვერ შეიძენენ, ამაშიც მივეხმარებით. მარტო ორ დღეში მერიაში 120 ზარი დაფიქსირდა ბინების შეთავაზებით. ქალაქის გარეუბნებში ორ-სამ-ოთხოთახიანი ბინები შეგვიძლია შევთავაზოთ ამ ფასად. არჩევანი დევნილებზეა".** ასეთი ბინები, მართლაც, არსებობს და შაბათს ჟურნალისტებმა ისინი საკუთარი თვალით ვნახეთ. ვნახეთ, ცოტა არ იყოს, გაღიზიანებული გარეუბნელებიც – აქაურობას რომ გვიწუნებენ, - გარეუბანში რადგან ვცხოვრობთ, ხალხი არა ვართო?

ქალაქის ხელმძღვანელობაში, თბილისის ბიუჯეტის საშუალებით, დასახლებული თანხის გაზრდას გამორიცხავენ. სამაგიეროდ, აღნიშნავენ, თანხა ოთახების მიხედვით გაიცემა და მათ, ვისზეც ორი ოთახი მაინც იყო მიმაგრებული, 14 ათასი დოლარის ფასად, სასურველი ბინის ყიდვას სასურველ ადგილზეც უპრობლემოდ შეძლებს. საკუთარი ბინების ქონა დევნილებს სტატუსს არ შეუცვლის და შემწეობაც ჩვეულებრივ მიეცემათ. მართალია, სახელმწიფო, მათ ნაცვლად, კომუნალურ და ელექტროენერგიის გადასახადს არ გადაიხდის, მაგრამ ისინი, 11-ის მაგივრად, უკვე 14 ლარს მიიღებენ. **"ეს არ არის ცუდი პირობები,** - მიიჩნევს თბილისის პრემიერი ბიძინა ბრეგაძე, - **ინვესტორი "ივერიის" ადგილზე ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს აგებას აპირებს. ჩვენ, რა თქმა უნდა, გვინდა დევნილების მდგომრეობის გაუმჯობესება, მაგრამ ვერც იმაზე ვიტყვით უარს, რომ ქვეყნის დედაქალაქი გალამაზდეს".**

"12 წელიწადია, სასტუმრო "ივერიას" შენობა საქართველოს დამარცხების სიმბოლოდ დგას დედაქალაქის ცენტრში. ჩვენ კი გვინდა, რომ იგი ქვეყნის განახლების სიმბოლოდ ვაქციოთ", – განაცხადა თბილისის მერმა პარასკევს გამართულ პრესკონფერენციაზე. წესით, მათ, ვისთვისაც ეს დამარცხება ყველაზე მწარეა, ამას ხელი არ უნდა შეუშალონ.

„იმათ რაღა თქვან, ვისაც ასეთი შესაძლებლობაც არ ეძლევა?"

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

- დევნილები ამ აზრს არ ეთანხმებიან...

- მერწმუნეთ, ბევრი ეთანხმება; ან, როგორ შეიძლება, არ დაეთანხმონ, როცა ათ სულს ერთ ოთახში სძინავს, ახლა კი შესაძლებლობა ეძლევათ, იქონიონ საკუთარი ჭერი, საკუთარი ორი-სამი ოთახი, სადაც, რაღა თქმა უნდა, უკეთესად განთავსდებიან და, რომელსაც აფხაზეთის დაბრუნების შემდეგაც არავინ ჩამოართმევს? "ივერიაში" ცხოვრების მძიმე პირობებია. მართალია, ბევრმა აივნები შეფიცრა, ფარი გაიდიდა, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. ცალკე სამზარეულო მათ არ აქვთ და დიდი წილი, ისევე, როგორც მე, სააბაზანოში გამართული ქურით სარგებლობს. იქაურობა პატარა ქალაქივითაა. ყოველ სართულზე არიან ადამიანები, რომლებსაც ყოველდღიური საჭიროების ნივთები შემოქავთ და ყიდიან. იქაურებს, ფაქტობრივად, საყიდლებზე გარეთ გასვლაც არ უხდებათ. იქ იყიდება ყველაფერი, რაც კი შეიძლება დაგჭირდეს. გამორიცხული არ არის, ეს იყოს ერთ-ერთი მიზეზი, მათი მხრიდან წამოსული წინააღმდეგობისა – ამგვარი სამუშაოს დაკარგვის შიში. ამბობენ იმასაც, რომ ამ 12 წლის განმავლობაში ერთად ცხოვრებას მიეჩვივნენ; ჭირიც ერთი აქვთ, ლხინიც და დაშორება არ უნდათ, თუმცა, როცა თანხის გაზრდაზეა საუბარი, ერთად ცხოვრების პრეტენზია აღარ აქვთ. ამდენად, მე მგონი, ეს ყველაფერი უფრო ვაჭრობის საგანია მათი მხრიდან, ვიდრე რეალური არგუმენტები. თუმცა, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, მათი მესმის – როცა სახლ-კარს იძულებით გაკარგვინებენ, საცხოვრებლის კიდევ ერთი გამოცვლა, თუნდაც პირობების გაუმჯობესებით, შეიძლება, მტკივნეული იყოს.

- ძალიან ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ "ივერიაში" ოთახებია გაყიდული; რომ ისინი თავად დევნილებმა გაყიდეს; რომ ოთახების ნაწილი ქირავდება, იქ მიწერილ დევნილებს კი სხვა საცხოვრებელიც აქვთ და ა.შ. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ეს ყველა დევნილს შეეხება. თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ; იქნებ, სწორედ ეს არის დევნილების ნაწილის გაჯიუტების მიზეზი?

- ასეთი ამბები, ისევე, როგორც ამბები ცარიელ შენობებში "შემჭრელი ჯგუფების" არსებობის თაობაზე, რომელთაც კონკრეტული ხელმძრვანელები ჰყავთ და დიდ ფულსაც აკეთებენ, ჩემამდეც მოდის, მაგრამ არ მინდა, წინასწარ, ფაქტების გარეშე ვილაპარაკო. ერთის თქმა კი ახლავე შემიძლია – მიუხედავად იმისა, რომ ყოველი მეორე ჩემთან ბინის პრობლემის მოსაგვარებლად მოდის, თბილისის იქით ცხოვრებას არავინ თანხმდება. ჩვენ გვაქვს საშუალება, რიგიანად დავაბინაოთ 10 ოჯახი ბორჯომში. თვის ბოლოს გაეროს ლტოლვილთა კომისარიატი გვაბარებს რამდენიმე ბინას საგარეჯოში, სადაც ბაღის გაკეთების შესაძლებლობა, სხვა პირობები არსებობს, მაგრამ ვერ შევავსეთ იქაურობა. ცოტა ხნის წინათ ჩემთან მოვიდა ქალბატონი, რომელსაც ჰყავს ტუბერკულოზით დაავადებული მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი. განათლებული ქალბატონია, მასწავლებელი. მთხოვა ბინა. თბილისში არავითარი საშუალება არ გვაქვს-მეთქი, - და საგარეჯოსა და ბორჯომის ვარიანტები შევთავაზე. იცით, რა მითხრა? - მე-8 საავადმყოფოში გაუქმებული საპირფარეშოა და მომეხმარეთ, იქ ოთახი გავიკეთოო.

- რა მიზეზს ასახელებენ, როცა ამგვარ უარს გეუბნებიან?

- თბილისს ვერ დავტოვებო, - ამბობენ. თითქოს, არაფერი აკავებთ აქ; არ მუშაობენ, როგორც თავად ამბობენ, მაგრამ აქაურობის დათმობა, გაცილებით უკეთესი პირობების სანაცვლოდაც, არ უნდათ. ვერ გამოვრიცხავ, რომ აქ რაღაც სხვა მიზეზი იყოს. ჩემთან მოვიდა ახალგაზრდა, გვარად კოპალიანი, რომელმაც გამომიცხადა, რომ "ივერიაში" მისი გარდაცვლილი მშობლები ცხოვრობდნენ და მიწერის გაკეთება მთხოვა. აქამდე იგი არ გმოჩენილა, მიწერილიც სხვაგანაა, მაგრამ, როცა სასტუმროში შესახლებულებისთვის თანხის მიცემაზე დაიწყო საუბარი, გამოჩნდა. მისი მხრიდან ერთგვარი მუქარაც გაისმა, მაგრამ მის მოთხოვნას ჩვენ ვერც ერთ შემთხვევაში ვერ შევასრულებთ. ეს, უბრალოდ, არაკანონიერი იქნება. ამასთან, გვყავს ქალბატონი, გვარად პაკელიანი, რომელსაც "ივერიაში" გაუკეთდა მიწერა, მაგრამ კუთვნილ ოთახში შესვლა ვერ მოასწრო. მის ნაცვლად, იქ შესახლდა სხვა დევნილი, რომლის მორევაც ამ ასაკოვანმა ქალბატონმა ვერ მოახერხა. ამ საკითხს აუცილებლად განიხილავს კომისია. ვწუხვარ, მაგრამ, დევნილთა განსახლების მხრივ, ბევრი უსიამოვნო რამ ხდება. შეიძლება, უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ კომპაქტურად ჩასახლებულებს, კონკრეტულად "ივერიაში" მცხოვრებთ, კარგად გამიგეთ, გაუმართლათ. იმათ რაღა თქვან, ვისაც ასეთი შესაძლებლობაც არ ეძლევა – კერძო სექტორში ჩასახლებულებმა? მთელი ამ წლების განმავლობაში სახელმწიფო მათ არც ელექტროენერგიისა და არც კომუნალურ გადასახადს არ უხდიდა, არც ფულს ან საკუთარ ბინას სთავაზობს ვინმე. იმ 14 ლარის გარდა, რომელსაც სახელმწიფოსგან იღებენ, ერთადერთი ის კომპენსაცია ეკუთვნით, რომელსაც აფხაზეთში დაბრუნების შემდეგ ხელისუფლება სახლების რეაბილიტაციისთვის დაჰპირდა მათ.

ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲝᲠᲘ

"დევნილების ინტერესები არამც და არამც არ უნდა შეილახოს"!

ეს სიტყვები ეკუთვნის დავით შენგელიას, საერთაშორისო გადაზიდვების ფირმის - "სილქ როუდ ჯგუფის" ერთ-ერთ დამფუძნებელსა და დირექტორთა საბჭოს წევრს. ეს ის ფირმაა, რომელმაც რამდენიმე თვის წინათ შეიძინა სასტუმრო "ივერიის" აქციათა საკონტროლო პაკეტი და მის ადგილას პირველი ქართული ცათამბჯენის გაკეთებას აპირებს. ამისათვის კი აუცილებელია შენობის დევნილებისგან დაცლა. როგორც ფირმის წარმომადგენელი ამბობს, თუ შეთავაზებული პირობებით ხელისუფლება დევნილებს ვერ დაიყოლიებს, ფირმა საქმეს არ გააშწვავებს და აფხაზეთის დაბრუნებამდე ყველაფერს ისე დატოვებს, როგორც არის.

ზაზა ფაჩუაშვილი

დავით შენგელია: "სასტუმრო "ივერია" პრივატიზებულია 1995 წელს და იქიდან მოყოლებული მას ჰყავს თავისი პატრონები. ყველა, უკლებლივ, ქართველია. ჩვენ – "სილქ როუდ ჯგუფმა" ს/ს "სასტუმრო ივერიის" საკონტროლო პაკეტი შევიძინეთ წელს "კულტურისა და ხელოვნების მერაბ ბერძენიშვილის ფონდიდან". გვსურს, თბილისში ავაშენოთ 21-ე საუკუნის სასტუმრო – ცათამბჯენი. ჩვენ ვეასაუბრეთ პოტენციურ ინვესტორებს, რომელთა პირობაა სასტუმროში მცხოვრები დევნილების პრობლემის მოგვარება. სხვა პრობლემა არ არსებობს. შემდეგ ჩატარდება არქიტექტურული ტენდერი, მოხდება ბიზნეს-გეგმის შედგენა და, ერთი სიტყვით, დაიწყება მუშაობა. დიდი შანსია, მოხდეს სასტუმროს დაშლა და ახლის აშენება, თუმცა შესაძლებელია რეკონსტრუქციაც. წინასწარი ვარაუდით, ეს დაჯდება 50-60 მილიონი დოლარი".

- კომპენსაციის სახით, დევნილები ერთ ოთახში მიიღებენ 7 ათას დოლარს. დევნილები ამ თანხას უმნიშვნელოს უწოდებენ, ქალაქის ხელმძღვანელობა კი აცხადებს, რომ ეს ინვესტორის კეთილი ნებაა...

- კომპენსაციის გაცემა, მართლაც, ინვესტორის კეთილი ნებაა. ეს არის კერძო საკუთრება და, ფაქტობრივად, გამოდის, რომ ჩვენივე საკუთრების დაცლაში ვიხდით თანხას. იურიდიულად ამას არავითარი საფუძველი არ აქვს, მაგრამ გვესმის, რომ ეს არის ძალიან მწვავე პრობლემა და ამიტომ, ვცდილობთ, რაც შეიძლება უმტკივნეულოდ მოვაგვაროთ.

- კეთილი ნებაა, მაგრამ საკმარისია?

- ჯერ ერთი, მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ შეთავაზებული თანხა უკეთესი პირობების შექმნის საშუალებას ნამდვილად იძლევა და მეორეც - "ივერიის" გაკეთებას სიმბოლური დატვირთვაც აქვს. ეს იქნება პირველი ცათამბჯენი საქართველოში. ძალიან მიხარია, რომ ამ საქმეში თავისი წვლილი ჩვენს კომპანიასაც აქვს.

- დევნილებს სურთ ინვესტორთან უშუალო საუბარი

- სამწუხაროდ, ჩვენი ადმინისტრირება ამას არ ითვალისწინებს. ჩვენ შეგვიძლია პარტნიორის მოძიება, ინვესტიციების მოზიდვა, მაგრამ იმის რესურსი, რომ ამხელა სოციალური პრობლემების მქონე დევნილ მოსახლეობასთან ვიმუშაოთ, არ გვაქვს. ამიტომ, ძალიან მადლიერები ვართ პრემიერ-მინისტრისა, ბატონ ზურაბ ჟვანიასი, რომელმაც შექმნა სპეციალური კომისია ამ საკითხებთან დაკავშირებით. იმედი გვაქვს, რომ კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობს დედაქალაქის პრემიერი ბიძინა ბრეგაძე და რომელშიც შედიან დევნილი ხელისუფლების ხელმძღვანელები – თემურ მჟავია, ლონდერ ცაავა და სხვები, დევნილებთან საერთო ენას გამონახავენ.

- სასტუმროში ზოგს აქვს მაღაზია, რომელიც კრედიტით გააკეთეს და თანხა ჯერ არ ამოუღიათ. ისინი კარგავენ არამარტო მაღაზიას და შემოსავალს, არამედ ვალშიც ვარდებიან. როგორ გადაწყვეტთ მათი კომპენსაციის საკითხს?

- ჩვენი და ქალაქის ხელმძღვანელობის საერთო გადაწყვეტილებით, კომპენსაციების გაცემა საცხოვრებელი ოთახების მიხედვით მოხდება. ამიტომ, სხვა ფართობების მფლობელები დამატებით თანხებს ვერ მიიღებენ. ეს საკითხი განხილვასაც კი არ ექვემდებარება.

- დევნილები საკომპენსაციო თანხის გაზრდას - გაორმაგებას ითხოვენ. იქნებ გაითვალისწინოთ მათი მოთხოვნა?

- კომპენსაციებისთვის გამოყოფილია კონკრეტული თანხა, რასაც ჩვენი პროექტი, ეკონომიკური თვალსაზრისით, იტანს. მეტს, უბრალოდ, ვერ აიტანს. აქედან გამომდინარე, საკომპენსაციო თანხის გაზრდა ჩვენი მხრიდან გამორიცხულია. ამიტომ, დიდი იმედი გვაქვს კომისიისა, რომელმაც მაქსიმალურად სამართლიანად უნდა გადაანაწილოს საკომპენსაციო თანხა. 330 ოჯახზე გამოყოფილია 2,3 მილიონი დოლარი.

- კომისიამ რომ გთხოვოთ კომპენსაციის გაზრდა?

- კომპენსაციების გაზრდა გამორიცხულია. ამიტომ, თუ კომისია დევნილებთან საერთო ენას ვერ გამონახავს, მაშინ დარჩეს ყველაფერი ისე, როგორც არის აფხაზეთის დაბრუნებამდე. ამ პროექტს, მართლაც, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, მაგრამ ჩვენი ფირმის საქმიანობა ამით არც იწყება და არც მთავრდება. ჩვენ საერთაშორისო გადაზიდვებს ვაწარმოებთ.

- რა ვადაში უნდა გამოინახოს დევნილებთან საერთო ენა; ხომ არ შეიძლება მოლაპარაკებების წლობით გაგრძელება?

- რა თქმა უნდა - არა. 10 აგვისტოდან 20 აგვისტომდე განხორციელდება დევნილებთან გასახლების თაობაზე ხელშეკრულებების გაფორმება. ამ პერიოდში გამოჩნდება საერთო სურათი - თუ რამდენი ოჯახი დასთანხმდება ჩვენს პირობებს და რამდენი იქნება წინააღმდეგი, დაკონსერვდება თუ არა "ივერიის" რეაბილიტაციის საკითხი. თუმცა, ლოგიკის მიხედვით, დევნილების უმრავლესობა უნდა დაგვეთანხმოს.

- სხვა აქციონერები თუ გეთანხმებიან საკონტროლო პაკეტის მფლობელებს?

- ჩვენ ჩავატარეთ საერთო კრება და ნდობის მანდატი ყველა აქციონერისგან მივიღეთ. ეს ბუნებრივიცაა. ჩვენი პროექტის განხორციელების შემდეგ მათი შემოსავლები საგრძნობლად გაიზრდება.

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ

თამრიკო ჭოხონელიძე, მომღერალი: გერმანელმა ინვესტორმა, რომელიც 7 ათას დოლარს სთავაზობს ამ ადამიანებს, ჯერ თავად გამოსცადოს, როგორია 7-ათასდოლარიან ბინაში ცხოვრება. მე არც ვიცი, სად შეიძლება ამ თანხით ბინის შეძენა ან რამდენად არის ამგვარ ბინაში გადასვლა ადამიანებისთვის პირობების გაუმჯობესება.

ვახო გაბუნაშვილი, მუსიკოსი: შენობის ამ მდგომარეობაში ყოფნა სრულიად წარმოუდგენელია. ფასებზე ვერაფერს ვიტყვი, რადგან ვერ ვერკვევი. დევნილები ახლა სარგებლობენ იმით, რომ ასეთ შენობაში ცხოვრობენ და არ სურთ დაბალ ფასად შენობიდან გამოსვლა, მაგრამ მათ მდგომარეობაში მყოფი ხალხისგან ეს მო

ბრიტანელები კატასტროფული სისწრაფით კოტრდებიან

სოფო თბილელი

ამასთანავე, მოქალაქეების მიერ აღებული კრედიტების მოცულობა, სულ რაღაც, შვიდი წლის განმავლობაში გაორმაგდა და ტრილიონ ფუნტ სტერლინგს გადააჭარბა. ერთიც და მეორეც გაერთიანებული სამეფოსთვის რეკორდული რიცხვია. ყოველდღიური გაზეთის Guardian-ის ინფორმაციით, სპეციალისტები საპროცენტო განაკვეთების ზრდას და, შესაბამისად, გაკოტრების რიცხვის მატებასაც ელოდებიან.

მიმდინარე წლის ექვსი თვის მონაცემებით, ვაჭრობისა და წარმოების სამინისტროს მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ინგლისსა და უელსში 11214 ადამიანია, რომლებსაც კრედიტებით გადახდის საშუალება არა აქვთ. გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით, ეს მაჩვენებელი 29 პროცენტითაა გაზრდილი. ექსპერტების შეფასებით, 2004 წელს 40 ათასი ინდივიდუალური გაკოტრებაა მოსალოდნელი. ტიპურ ბრიტანულ "ბანკროტს" ანალიტიკოსები შემდეგნაირად განსაზღვრავენ: კონკრეტულმა ადამიანმა გირავნობით აიღო 50-100 ათასი ფუნტი სტერლინგის კრედიტი და კიდევ 50 ათასი გირავნობის გარეშე, 20-30 პროცენტით.

ექსპერტების შეფასებით, ასეთ სიტუაციებში ყველაზე მეტად ისინი იტანჯებიან, რომლებმაც ბანკს პირადი საჭიროებების გამო მიმართეს. ხოლო ისინი, ვინც თანხა ბიზნესის განვითარებისთვის ისესხა, როგორც წესი, შედარებით კარგ მდგომარეობაში არიან.

ოპეკს ნავთობმოპოვების გაზრდა კიდევ ძალუძს

თორნიკე შარაშენიძე

"ოპეკი უკვე დღეში 30 მილიონ ბარელს მოიპოვებს, რაც ორგანიზაციის ისტორიაში სარეკორდო მაჩვენებელია, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, ჩვენ კიდევ დღეში 1-1,5 მილიონი ბარელით გავზრდით ნავთობმოპოვებას," - ასეთი განცხადება გააკეთა ნავთობკარტელის პრეზიდენტმა პურნომო იუსგაინტოროომ.

ოპეკი ოფიციალურად 28 მილიონ ბარელს მოიპოვებს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ორგანიზაციის ზოგიერთი წევრი მალულად მისთვის დაწესებულ კვოტაზე მეტ "შავ ოქროს" აწარმოებს. ამგვარი პრაქტიკა დიდი ხანია დამკვიდრდა ოპეკის იმ წევრებში, რომელთათვისაც ნავთობი, პრაქტიკულად, ბიუჯეტის შევსების ერთადერთი წყაროა. ამიტომაც, კარტელის ნავთობმოპოვება დღეში 30 მილიონ ბარელზეა ასული.

ოპეკის პრეზიდენტის თქმით, ნავთობმოპოვების გაზრდა სექტემბერში მოხერხდება. ეს გარკვეულ შეღავათს მისცემს მსოფლიო ბაზარს. ხოლო, თუკი ასევე მოხერხდა ვითარების სტაბილიზაცია ერაყში, მაშინ "შავი ოქროს" ფასმა მნიშვნელოვნად უნდა დაიწიოს.

დღევანდელი ვითარება (ბარელი ნედლი ნავთობის ფასი 45 დოლარს უახლოვდება) საკმაოდ სერიოზულ საფრთხეს უქადის მსოფლიო ეკონომიკას. სპეციალისტთა შეფასებით, თუკი ფასმა დაბლა არ დაიწია, გლობალური ეკონომიკური ზრდა 0,5 პროცენტით შეფერხდება. არსებული ვითარება განსაკუთრებით იმ ქვეყნებს დააზარალებს, რომლებიც საწვავის იმპორტზე არიან დამოკიდებულნი. ასეთებიდან უპირველესად იაპონია უნდა დასახელდეს, რომელსაც საკუთარი ნავთობი საერთოდ არ გააჩნია.

ვითარება კვლავაც გაურკვეველია რუსეთში. "იუკოსის" ანგარიშებს ყადაღა ადევს, რაც ამ კომპანიის მუშაობას საფრთხეს უქადის. "იუკოსზე" რუსეთის მიერ ექსპორტირებული ნავთობის ერთი მეხუთედი (და მთელი მსოფლიოს ნავთობის 2 პროცენტი) მოდის და აქედან გამომდინარე, ამ კომპანიის გაჩერება არც კრემლს აძლევს ხელს. მაგრამ, სამაგიეროდ, კრემლისთვის ხელსაყრელია გაურკვევლობა და პანიკა "იუკოსის" გარშემო, რის შედეგადაც ნავთობი კიდევ უფრო ძვირდება. ხოლო სანამ ეს დაძაბულობა გრძელდება, კრემლი, ალბათ, შეეცდება "იუკოსი" თავის ერთგულ კომპანიებს ნაწილ-ნაწილ გადაულოცოს.

ორი სიტყვით

თბილისი. 2004 წლის პირველ ნახევარში ქვეყანაში 9,4 პროცენტით მეტი მთლიანი შიდა პროდუქტი შეიქმნა. წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების ღირებულებამ 4506,2 მლნ. ლარი შეადგინა. სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, წლის პირველ ნახევარში ზრდის მაღალი ტემპებია მრეწველობის, მშენებლობის, კავშირგაბმულობის და პერსონალური მომსახურების სფეროებში. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ახალ საგადასახადო კოდექსზე მუშაობას საქართველოს მთავრობა ამ კვირას დაასრულებს. ეკონომიკური განვითარების მინისტრის კახა ბენდუქიძის თქმით, დარჩენილია რამდენიმე საკითხი და ტექსტთან დაკავშირებული სტილისტური სამუშაო. პროექტზე მუშაობის დასრულების შემდეგ დაიწყება კოდექსის საჯარო განხილვა.

კოდექსის პროექტში გათვალისწინებულია საგადასახადო დავების არბიტრაჟის მეშვეობით გადაწყვეტის პროცედურა. კოდექსში არ იქნება გამონაკლისები, შეღავათებით დაბეგრილი პრიორიტეტული სფეროები და ბიზნესები. **ინტერ-პრესი**

მთავრობა ხვალ პარლამენტში ტრიუმფატორის პოზით შეაბიჯებს!

თუმცა, ნოღაიდელს ბევრ კითხვაზე მოუწევს პასუხის გაცემა

თამარ ხორბალაძე

ხვალ საქართველოს პარლამენტი ბიუჯეტის კორექტირების პროექტს განიხილავს. საზოგადოებამ უკვე კარგად იცის, რომ ეს პირველი შემთხვევაა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, როცა მთავრობა პარლამენტს არა ხარჯების შემცირებას, არამედ პირიქით - გაზრდას სთხოვს. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ მთავრობა პარლამენტში ტრიუმფატორის პოზით შემოაბიჯებს და დეპუტატების მიერ გამოთქმულ კრიტიკას საკმაოდ აგრესიულად შეეგებება.

მიუხედავად პარლამენტში არსებული დამთრგუნველი უმრავლესობისა და მიუხედავად ბიუჯეტის ხარჯების გაზრდისა, მთავრობას რომ პარლამენტში ყველა ტაშს არ დაუკრავს, ეს ცხადი გასულ კვირას გამართულ საკომიტეტო განხილვებზეც გახდა.

"უპრეცედენტო" ბიუჯეტის, ანუ - გადაჭარბებით შესრულებული ბიუჯეტის "პატრონ" ნოღაიდელს იმდენი საყვედურის მოსმენა მოუხდა პარლამენტში, რომ ნერვებმაც უმტყუნა და ელენე თევდორაძესთან სერიოზული შელაპარაკებაც მოუვიდა.

ნოღაიდელს უსაყვედურეს ციხეების არასათანადოდ დაფინანსებისთვის, საელჩოების და, ზოგადად, საქართველოს დიპკორპუსის მძიმე ფინანსური მდგომარეობისთვის, მიწისძვრით დაზარალებულთა სრულად დაუფინანსებლობისთვის, რეგიონებზე ფულის არათანაბრად გადანაწილებისთვის...

მოკლედ, როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს ტრადიციულად მწირი ბიუჯეტის თუნდაც 235 მილიონით გაზრდილი ხარჯები ყველაფერს არ გასწვდა და პარლამენტარებმა ჯერ მისი აქეთ-იქით გადაქაჩვა სცადეს და როცა არ გამოუვიდათ, მინისტრი ნოღაიდელი საყვედურებითაც აავსეს და დეპუტატთა ნაწილმა - მაგალითად, მაჟორიტარებმა, მემარჯვენე ოპოზიციამ და ზოგიერთმა სხვა დამოუკიდებლად ოპოზიციონერმა დეპუტატმა ბიუჯეტის ხარჯების გაზრდისთვის (!) ხმის მიცემაზე უარი განაცხადეს.

235 მილიონით გაზრდილი ხარჯები ყველაფერს არ გასწვდა და პარლამენტარებმა ჯერ ბიუჯეტის აქეთ-იქით "გადაქაჩვა" სცადეს მერე კი, მინისტრი ნოღაიდელი საყვედურებითაც აავსეს.

გოგიჩა ბუხაიძის ფოტო

ესეც უპრეცედენტო შემთხვევაა საქართველოს პარლამენტების და ბიუჯეტების ისტორიაში.

სხვათა შორის, საინტერესო იყო თავად სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენლის, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის რომან გოცირიძის პოზიცია 2004 წლის ბიუჯეტის პროექტის კორექტირებასთან დაკავშირებით:

"2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებების პროექტი რთულად შესასრულებელია, მაგრამ ჩვენ მას მხარს ვუჭერთ," - ამბობს გოცირიძე.

მისი თქმით, წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის განხილვა სასიამოვნოა, რადგან საქმე შემოსავლების გადაჭარბებით შესრულებას ეხება, თუმცა:

"მინდა აღვნიშნო, რომ უკანასკნელ ხანებში გაკეთებული განცხადებები, თითქოს ჩვენ სახელმწიფო ბიუჯეტში პროფიციტი გვქონდეს, გაუმართლებელია, რადგან პროფიციტი ქვეყანაში იმ შემთხვევაში იარსებებდა, თუ ბიუჯეტი დეფიციტური არ იქნებოდა," - განაცხადა გოცირიძემ.

მისი თქმით, ამჟამად შეიძლება ითქვას, რომ ბიუჯეტი არასწორად დაგეგმილი იყო და მისი ხელახალი კორექტირება ხორციელდება, რასაც პარლამენტი სრულ მხარდაჭერას უცხადებს.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი, რომელიც როგორც ჟურნალისტების, ისე ექსპერტების ყურადღების მიღმა დარჩა. გასულ კვირას პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე კომიტეტის წევრებს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის შედეგები უნდა განეხილათ, თუმცა ეს საკითხი დღის წესრიგიდან ამოიღეს.

როგორც კომიტეტის თავმჯდომარემ რომან გოცირიძემ განაცხადა, საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის შედეგების ანგარიში პარლამენტში "დაიკარგა" და კომიტეტში მხოლოდ 6 აგვისტოს დარიგდა. შესაბამისად, დეპუტატებმა მისი გაცნობა ვერ მოასწრეს.

ფინანსთა მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის თქმით, ამ საკითხის მომავალში განხილვას უკვე აზრი აღარ აქვს, რადგან 6 თვის შედეგებს სხვა თვეების შედეგებიც დაემატება.

სხვათა შორის, ეს ფაქტი საკმაოდ საინტერესოა იმ ფონზე, როცა "24 საათის" და ეკონომიკური პოლიტიკისა და ანალიზის ცენტრის ერთობლივი საბიუჯეტო მონიტორინგის თანახმად, 2004 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულებასთან, განსაკუთრებით კი - ხარჯების შესრულებასთან დაკავშირებით გარკვეული კითხვები არსებობს, რომლებზეც პასუხის გაცემა სწორედ საბიუჯეტო ხარჯების გაზრდის წინ იყო საჭირო, თუმცა, რატომღაც, პარლამენტში ამ საკითხის განხილვა უმტკივნეულოდ დათმეს. შეგახსენებთ - პარლამენტში შესული შედეგების თანახმად, 6 თვის ბიუჯეტის შემოსავლები 14 პროცენტით გადაჭარბებითაა შესრულებული და 614 მლნ 458 ათას ლარს შეადგენს.

სხვათა შორის, საინტერესოა ისიც, რომ "24 საათის" საბიუჯეტო მონიტორინგის მონაცემებით, დაახლოებით 25 მილიონი ლარით არის გარღვეული ივლისის თვის მონაცემები, რასაც ნოღაიდელი უარყოფს და რასთან დაკავშირებითაც პარლამენტში რამდენიმე შეკითხვა უკვე დაისვა, თუმცა ამას სერიოზული მსჯელობა ასევე არ მოჰყოლია.

აქედან გამომდინარე, პრემიერი ზურაბ ჟვანია და მინისტრი ნოღაიდელი, როგორც უკვე ვთქვით, პარლამენტში ტაშისცემასთან ერთად ბევრ კითხვასაც მიიღებენ, თუმცა ალბათ, სასწაული მაინც არ მოხდება და გადაჭარბებით შესრულებულ ბიუჯეტში ხარჯების გაზრდასთან დაკავშირებულ ცვლილებებს ხმების დიდი უმრავლესობით დაამტკიცებენ.

იუსტიციის სამინისტრო კანონების გადახედვა დაიწყო

სოფო თბილელი

იუსტიციის სამინისტრო, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის მიზნით, გასულ თვეს დაწყებული მრგვალი მაგიდების სერიას კვლავ აგრძელებს. ამჯერად, განხილვის თემას "გაკოტრების შესახებ" კანონი წარმოადგენს.

იუსტიციის სამინისტროში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ექსპერტთა მონაწილეობით, საქართველოში 1996 წელს მიღებულ "გაკოტრების შესახებ" კანონში ძირეული შესწორებებისა და ცვლილებების შესახებ მსჯელობა დაიწყო (მასში ბოლო ცვლილება 2002 წელს შევიდა). კანონის ეფექტური მოქმედების მიზნით, ევროპელი ექსპერტების რეკომენდაციებსაც გაითვალისწინებენ.

ამ საკითხთან დაკავშირებით, პირველი გაცნობითი შეხვედრა უკვე გაიმართა. კანონის დახვეწისადმი მიძღვნილ განხილვაში მონაწილეობა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის გაკოტრების კანონმდებლობის ექსპერტმა მაჰეშ უტამჩამდანმა მიიღო და სპეციალური მოხსენებაც წაიკითხა. უტამჩამდანის თქმით, მისი მიზანია საქართველოს დაეხმაროს გაკოტრების შესახებ კანონის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანაში.

"გაკოტრების შესახებ კანონში" ცვლილებების განხორციელების აუცილებლობას, იუსტიციის სამინისტროში ბიზნესის განვითარებისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მხარდაჭერით ხსნიან და იქვე აცხადებენ, რომ საქართველოს მთავრობა მზადაა, მოქმედ კანონმდებლობაში სერიოზული ცვლილებები შეიტანოს. მათივე მტკიცებით, რადგან გაკოტრების კანონმდებლობის ეფექტიანი მუშაობა ქვეყანაში ბიზნესის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, კანონი არც ძალიან მკაცრი უნდა იყოს და არც ძალიან ლოიალური. როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, "გაკოტრების შესახებ" კანონში იმ სახის შესწორებები შევა, რომელიც იმ კომპანიებს, რომლებსაც განვითარების პოტენციალი გააჩნიათ, რეაბილიტაციის საშუალებას მისცემს, ხოლო მათ, რომელთაც ამგვარი პოტენციალი არ გააჩნიათ, კანონი ლიკვიდაციის უმოკლეს ვადებს განუსაზღვრავს.

კანონი ორ მთავარ მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს: ერთი, უნდა იყოს გამჭვირვალე და მეორე, რეაბილიტაციის ან გაკოტრების პროცედურა არ უნდა იყოს დროში გაწელილი. იუსტიციის სამინისტროს მტკიცებით, აუცილებელია, რომ კანონში ზუსტად იყოს განსაზღვრული გასაკოტრებელი საწარმოსა თუ კომპანიის ლიკვიდაციის მექანიზმების რიგითობა.

ჯერჯერობით, დაზუსტებული არ არის, მოქმედ კანონში ცვლილებები შევა თუ ახალ კანონს მოამზადებენ. იუსტიციის სამინისტროში არ გამორიცხავენ, რომ, შესაძლოა, საჭირო გახდეს ახალი კანონპროექტის შემუშავება.

განცხადება წინადადებების მიღებაზე (RFP)

გარემოსდაცვითი ინვესტირების პროგრამის ფარგლებში კავკასიის რეგიონალური ბიომრავალფეროვნების პროექტის თემაზე

კომპანია "ბი-პი"-ს მიერ ოპერირებული ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა (BTC Co.) და სამხრეთ კავკასიური გაზსადენისთვის (SCP)

ოპერატორი - კომპანია BP

გამოშვების თარიღი: **2004 წლის 26 ივლისი, ორშაბათი**

წინადადებების მიღების ბოლო დღე და საათი: **10 სექტემბერი, პარასკევი, გაერთიანებული სამეფოს (UK) ადგილობრივი დროით 17:00 სთ.**

"ბი-პი", როგორც "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის" (BTC) და "სამხრეთ კავკასიური გაზსადენის კომპანიის" (SCP) ოპერატორი და მათი სახელით მოქმედი ორგანიზაცია, აცხადებს კონკურსს განაცხადების მიღებაზე შესაბამისი ორგანიზაციებიდან, რომელთაც დაევალებათ პროექტის შედგენა და განხორციელება გარემოსდაცვითი ინვესტირების პროგრამის (EIP) ფარგლებში BTC-ის და SCP-ის მიერ განსაზღვრულ ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე.

გარემოსდაცვითი ინვესტირების პროგრამა მთელი რიგი სხვადასხვა თემებისგან შედგება, რომლებიც პროექტში მონაწილე ერთნულ და საერთაშორისო მხარეებთან კონსულტაციების შედეგად განისაზღვრა.

წინადადებების მიღება ცხადდება ექსკლუზიურად იმ პროექტებზე, რომლებიც EIP-ის პრიორიტეტულ თემას, **კავკასიის რეგიონალურ ბიომრავალფეროვნების პროექტს,** ეძღვნება. აღნიშნული თემის ამოცანაა რეგიონალური ბიომრავალფეროვნების პროექტის შედგენა და განხორციელება აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის ჩართვით, რათა გატარებულ იქნას ბიომრავალფეროვნების ხელშეწყობისა და კონსერვაციისკენ მიმართული ღონისძიებები. პროექტით გათვალისწინებულ უნდა იქნას რეგიონში ბიომრავალფეროვნების წინაშე მდგარი საფრთხის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და ინსტიტუციონალური წყაროები და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის შესაძლებლობები. პროექტი უნდა წარიმართოს ეროვნული ბიომრავალფეროვნების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმების ფარგლებში, ასევე იმ საერთაშორისო კონვენციების ჩარჩოებში, რომელთა ხელმომწერ მხარეებად აღნიშნული ქვეყნების მთავრობები გვევლინებიან.

განმცხადებლებს უნდა შეეძლოთ აზერბაიჯანში, საქართველოსა და თურქეთში მუშაობა საკუთარი სტრუქტურების ან სხვა შესრულებელი პარტნიორების მეშვეობით, უნდა შეეძლოთ თანხების მიღება BTC-დან და SCP-დან, ანგარიშ-ფაქტურებისა და ქვითრების გაცემა და უნდა იყვნენ რეგისტრირებულნი როგორც გადამხდელი შესაბამის საგადასახადო ორგანოში. მათ მოეთხოვებათ ყველა შესაბამისი ადგილობრივი იურიდიული, სამოქალაქო და ფისკალური წესების დაცვა.

წინადადებები EIP-ს აღნიშნულ თემაზე მიიღება წინადადებების მიღების განცხადების (RFP) დოკუმენტის მეშვეობით. RFP-ი მიზნად ისახავს განმცხადებლებისთვის ინსტრუქციებისა და განმარტებების მიცემას.

წინადადებების მიღების განცხადების - RFP -ის დოკუმენტაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე:
www.caspiandevelopmentandexport.com

სამკურნალო გაერთიანება "ლიგა"

სექსოპათოლოგიის კლინიკა

ტელ: 32 21 21

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გაუმჯობესება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა ქრონიკული დაავადებების ფონზე.

თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ.83/11

SWISS AGENCY FOR DEVELOPMENT AND COOPERATION SDC COORDINATION OFFICE FOR THE SOUTH CAUCASUS

შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს წარმომადგენლობა სამხრეთ კავკასიაში იწვევს ახალგაზრდა სახელმწიფო მოხელეებს სასწავლო კურსზე "ადამიანის უფლებები და ჰუმანიტარული სამართალი".

კურსი ჩატარდება 2004 წლის 25 სექტემბრიდან 9 ოქტომბრამდე ერევანში ჟენევის "საერთაშორისო ურთიერთობების სწავლების ინსტიტუტის" მიერ. სწავლებაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან 6 კანდიდატი შეირჩევა. განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა 2004 წლის 23 აგვისტო. განაცხადის ფორმები და დამატებითი ინფორმაცია განთავსებულია ვებ-საიტზე: *http://www.gfsis.org/cabir*

ასევე შეგიძლიათ მიმართოთ შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს წარმომადგენლობას თბილისში. მისამართი: რადიანის ქუჩა 12 (გამსახურდიას ძეგლთან, ყოფილი ბარნოვის მეოთხე ჩიხი). ტელ.:25-36-82/83. ელ-ფოსტა: tbilisi@sdc.net

„გამოცხადებული" ტერაქტების ქრონიკა

აპენინის ნახევარკუნძულზე გამოჩენილი კოლუმბიელი მწერლის გაბრიელ გარსია მარკესის ცნობილი ნაწარმოების მსგავსი სიუჟეტი ვითარდება. იტალიას "ალ ქაიდას" ქსელთან მჭიდროდ დაკავშირებული ტერორისტები "შურისძიების" თარიღს უწესებენ. მათი სიტყვით, იტალიისათვის შუამდინარეთიდან ჯარების გამოყვანისათვის მიცემული ვადა თითქმის ამოიწურა. თუ ბერლუსკონის მთავრობა ტერორისტების ულტიმატუმს არ დათანხმდება, რადიკალ ისლამისტთა თქმით, ქვეყანას ტერაქტების სერია არ ასცდება. რამდენად სერიოზული აღმოჩნდება მათი მუქარა, მომავალი გვიჩვენებს. თუმცა, იტალიაში სიტუაცია დღითი დღე პანიკურ ხასიათს იღებს. მოსახლეობა დარწმუნებული არ არის, რომ მათი მთავრობა შეძლებს, "ალ ქაიდას" თავდასხმა თავიდან აიცილოს.

აპენინების ნახევარკუნძულს ნომერ პირველი ტერორისტის რისხვა ემუქრება.

იტალიაში მოსალოდნელი ტერაქტების თარიღი ახლოვდება. სპეცსამსახურები ირწმუნებიან, რომ მათთვის ცნობილია, თუ როდის განახორციელებს "ალ ქაიდა" თავდასხმას: ტერორისტული აქტების ყველაზე სახიფათო პერიოდი 14-19 აგვისტო და 5-15 სექტემბერია. მართალია, არანაირი კონკრეტული ცნობები ტერორისტთა განზრახვების შესახებ სპეცსამსახურებს არ აქვთ, მაგრამ, როგორც უქმეებზე იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯუზეპე პიზანიმ აღნიშნა, ტერორისტთა ბოლოდროინდელ განცხადებებს ხელისუფლება სრული სერიოზულობით ეკიდება. სახელდება სავარაუდო სამიზნე ღონისძიებებიც – ცნობილია, რომ რომის პაპი იოანე-პავლე II 5 სექტემბერს ლორეტოში გამგზავრებას გეგმავს, ხოლო 15 სექტემბერს ქალაქ ბარიში იტალიის პრემიერ-მინისტრის სილვიო ბერლუსკონის ვიზიტია დაგეგმილი. სპეციალისტთა განცხადებით, ტერორისტთა თავდასხმა სწორედ ამ ორი ღონისძიების დროს შეიძლება განხორციელდეს.

ხელისუფლება რომ მართლაც სრული პასუხისმგებლობით მიუდგა ტერორისტული დაჯგუფება "აბუ ჰაფს ალ მასრის ბრიგადების" განცხადებას, ეჭვს არ ტოვებს. როგორც საინფორმაციო სააგენტო "უტრო.რუ" აღნიშნავს, მას შემდეგ, რაც ტერაქტების მუქარა მთელ ქვეყანაში გავრცელდა, იტალიის ერთ-ერთი ქალაქის მერმა ზომების მიღება საკუთარი ძალებით სცადა. მისი განკარგულებით, მუსლიმებს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში თავსაბურავებით გამოჩენა აუკრძალეს. ქალაქის თავის განკარგულებაში ნათქვამია, რომ ქალაქის მცხოვრებლები ყოველთვის სახეშეუბურავები უნდა დადიოდნენ, არც ერთ მოქალაქეს სახის დამალვის უფლება არ აქვს.

შეგახსენებთ, 1 აგვისტოს ტერორისტებმა იტალიის ხელისუფლებისაგან 15 დღეში ერაყიდან ჯარების გამოყვანა მოითხოვეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაჯგუფება ტერაქტების სერიის განხორციელებით იმუქრებოდა არა მარტო აპენინებზე, არამედ მთელ მსოფლიოში იტალიის მოქალაქეებზე ნადირობის დაწყებას გეგმავდა. თუმცა, როგორც თავად ექსტრემისტები აცხადებენ, არც ამით დაკმაყოფილდებიან. მუქარა გაისმა ერაყის პრემიერ-მინისტრის აიად ალავისა და სხვა, ამერიკელებისადმი ლოიალურად განწყობილი ჩინოვნიკების მიმართ.

შაბათს, დაჯგუფება "აბუ ჰაფს ალ მასრის ბრიგადების" წარმომადგენელმა განცხადება გააკეთა, რომ რომში და იტალიის სხვა ქალაქებში მყოფი ორგანიზაციის უჯრედები 15 აგვისტოს შემდეგ მზად არიან მოქმედების დასაწყებად. "ჩვენ მიერ მოცემული დრო, რომლის განმავლობაშიც ჯარი უნდა გამოგეყვანათ, თითქმის გავიდა. ჩვენი უჯრედები რომსა და იტალიის სხვა ქალაქებში მზად არიან, თავიანთი მისია შეასრულონ ამ თარიღის, მიმდინარე თვის 15 რიცხვის დადგომის შემდეგ. თქვენ საკუთარ ოჯახებშიც ვერ იგრძნობთ თავს უსაფრთხოდ. ისინი თავდასხმის სამიზნე იქნება, - სამიზნეები კი უკვე განსაზღვრულია", - ნათქვამია აღნიშნული დაჯგუფების ინტერნეტ-გვერდზე განთავსებულ მიმართვაში.

საგულისხმოა, რომ იტალიის მიმართ ტერორისტთა მუქარა პირველი არ არის. გასულ კვირას ამავე დაჯგუფების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ პირადად იტალიის პრემიერ-მინისტრ სილვიო ბერლუსკონისაც გაუსწორდებოდნენ. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამ ორგანიზაციამ, აბუ მუსაბ ალ ზარქავის ხელმძღვანელობით, აიღო პასუხისმგებლობა 11 მარტის მადრიდის ტერაქტზე.

შეძლებენ თუ არა ტერორისტები თავიანთი მიზნის მიღწევას, ძნელი სათქმელია. ჯერჯერობით, ბერლუსკონის ხელისუფლების გადაწყვეტილება ურყევია – იტალია მოკავშირეებს ბრძოლაში არ მიატოვებს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მსგავსი მუქარების გავლენით უკვე რამდენიმე ქვეყნის სამხედრო შენაერთმა დატოვა ერაყი. მათ შორის ყველაზე მრავალრიცხოვან ესპანურ შენაერთს კოალიციის რიგები 11 მარტის მადრიდის ტერაქტმა და მის შედეგად ჩამოყალიბებულმა საზოგადოებრივმა განწყობამ დაატოვებინა.

ცვალებადი ხერხებით - უცვლელი მიზნებისაკენ

ლაშა გიორგიძე

ზუსტად 59 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ამერიკელებმა, პირველად კაცობრიობის ისტორიაში, ატომური ბომბი გამოიყენეს. 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს ჰიროსიმასა და ნაგასაკიში ჩამოგდებულმა ბირთვულმა იარაღმა მთლიანად გაანადგურა იაპონიის ორივე ქალაქი, ხოლო მსოფლიოს კიდევ ერთხელ დაუდასტურა, რომ საგარეო პოლიტიკაში გზის გაკვლევის მთავარი საშუალება ძალის პრიმატია. მაშინ, როდესაც კაცობრიობას ექვსწლიანი დამქანცველი ომის შემდეგ უნდა დაესვენა, დაიწყო ახალი ერა, სადაც ატომურმა იარაღმა დიდ ქვეყნებს შორის ურთიერთობების ფორმები თითქმის მთლიანად განსაზღვრა და ძალთა ბალანსის დამყარების უნივერსალურ საშუალებად მოგვევლინა.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, თუკი საზოგადოებაში გაბატონებული იყო წარმოდგენა - მოლაპარაკების მაგიდასთან, დიალოგისა და საერთაშორისო სამართლის უზენაესობის პრინციპის მეშვეობით მშვიდობის მიღწევის შესახებ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამის მსგავს იდეას ჩასახვის საშუალებაც არ მისცემია. საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში იდეალიზმისა თუ უტოპიზმის უმაღლეს მწვერვალებად აღიარებული "ბრიან-კელოგის პაქტი" თუ "სტიმსონის დოქტრინა", რომლებიც ომის მეშვეობით საერთაშორისო წინააღმდეგობის დაძლევას გმობდნენ და ძალის ნებისმიერი გამოყენებით შეძენილი ტერიტორიების დიპლომატიურ ცნობაზე უარს აცხადებდნენ, წარსულს სამუდამოდ ჩაბარდა.

"ეს უდიდესი მოვლენაა კაცობრიობის ისტორიაში" - განაცხადა აშშ-ს მაშინდელმა პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა, როდესაც ჰიროსიმაში ატომური ბომბის "წარმატების" შესახებ მოახსენეს. მან ეს განცხადება არა იმ ასიათასობით ადგილზევე დაღუპული ადამიანის გამო გააკეთა, რომლებიც მასობრივი განადგურების იარაღს შეეწირნენ, არამედ იმ დაუფარავი სიხარულით, რომ ეს იარაღი აშშ-ს მსოფლიოში ერთადერთ ზესახელმწიფოდ აქცევდა.

ასე გამოიყურებოდა ჰიროსიმა ზუსტად 59 წლის წინ.

9 აგვისტოს პოტსდამის კონფერენციაზე ჰარი ტრუმენმა აუდიტორიას განუცხადა: "მსოფლიო შენიშნავდა, რომ პირველი ატომური ბომბი ჩამოვარდა ჰიროსიმაში, სამხედრო ბაზაზე. ეს მოხდა იმისათვის, რათა პირველივე შეტევით, შეძლებისდაგვარად თავიდან აგვეცილებინა უბრალო მოქალაქეების სიკვდილი." ტრუმენი ყოველთვის ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ ჰიროსიმასა და ნაგასაკის ატომური იარაღის სამიზნეებად შერჩევას ხელი ამ ქალაქების სამხედრო დანიშნულებამ შეუწყო. გარდა ამისა, გათვალისწინებული იქნა სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორებიც: იარაღის გამოყენების ადგილი უნდა ყოფილიყო კონკრეტული მნიშვნელობის, ადამიანებით დასახლებული ტერიტორია, რომლის დიამეტრიც სამ მილზე მეტი იქნებოდა, ხოლო მის გამოყენებას ფსიქოლოგიური ზემოქმედება უნდა მოეხდინა, უპირველეს ყოვლისა, იაპონიაზე, რათა იგი უპირობოდ დანებებულიყო და საერთაშორისო საზოგადოებას მისი მნიშვნელობა და აშშ-ს სამხედრო ძლიერების უპირატესობა ეღიარებინა.

მართლაც, ატომური იარაღის გამოყენების შემდეგ, მთელმა მსოფლიომ აღიარა მისი დამანგრეველი ენერგიის მნიშვნელობა, ხოლო აშშ-მ ამ გზით ყველას აუწყა, რომ საკუთარი მიზნების მისაღწევად იგი უყოყმანოდ გაანადგურებდა უამრავ ქალსა და კაცს, ბავშვსა და მოხუცს. გარდა ამისა, ვაშინგტონი დარწმუნებული იყო, რომ თავისი "ატომური დიპლომატიით" ომისშემდგომ პერიოდში ზესახელმწიფოს პოზიციას გაიმყარებდა.

პოტსდამის კონფერენციაზე ჰარი ტრუმენის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ სურდათ თავიდან აეცილებინათ უბრალო მოქალაქეების სიკდილი, მიღებული შედეგების შემდეგ, მაინცდამაინც დამაჯერებლად არ უნდა ჟღერდეს. ჰიროსიმას ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო საბჭოს მონაცემებით, 1945 წლის დეკემბრამდე 140 ათასი ადამიანი დაიღუპა, საიდანაც სამხედრო მოსამსახურე მხოლოდ 20 ათასი იყო, ხოლო 1950 წლისათვის, რადიაციის შედეგად, მსხვერპლთა რაოდენობამ 200 ათასს მიაღწია. რაც შეეხება ნაგასაკის, დაღუპულთა რაოდენობამ 70 ათასი შეადგინა, რომელთაგან 150 - სამხედრო მოსამსახურე იყო. ამ შემაძრწუნებელი რიცხვების მიუხედავად, აშშ-ს უკვე ყოფილმა პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა 1965 წელს ერთერთ შეხვედრაზე განაცხადა: "საჭიროების შემთხვევაში, მე ყოველგვარი ჭოჭმანის გარეშე კიდევ ერთ ატომურ ბომბს ჩამოვაგდებდი." აღბათ, მსოფლიოს გაუმართლა, რომ მას ამის უფლებამოსილება იმ დროისთვის უკვე აღარ გააჩნდა.

საერთაშორისო საზოგადოებამ დაგმო ვაშინგტონის გადაწყვეტილება და მოქმედება, თუმცა უამრავი პოლემიკის მიუხედავად, არ შექმნილა ერთიანი აზრი ვაშინგტონის საგარეო პოლიტიკის შესახებ. მეორე მსოფლიო ომიდან დაწყებული და ერაყის ომით დამთავრებული, ძნელია მას ცალმხრივად დადებითი ან უარყოფითი ეწოდოს. ერთი რამ ცხადია, ყველა შემთხვევაში, თეთრი სახლის მოქმედება ქვეყნის ინტერესებს განუხრელად ემსახურება. სწორედ ამიტომ, გუშინდელი მტრები მეგობრებად იქცევიან ხოლმე, ხოლო ადრინდელი მოკავშირეები - მოწინააღმდეგეებად. ქვეყანას, რომელმაც პირველმა და უკანასკნელმა გამოიყენა ატომური იარაღი, თითქოს არ უნდა ჰქონდეს მორალური უფლება, სხვებს ასეთი იარაღის განვითარება აუკრძალოს, თუმცა ნუ დაგვავიწყდება, რომ პოლიტიკაში უმაღლესი მორალი საკუთარი ქვეყნის ინტერესებია.

ერიდეთ ცხოველებს!

საფრანგეთის ქალაქ ფიუვოში (ბუშ-დიუ-რონის დეპარტამენტი) ხარების შოუ "ხმა და სინათლეს" მორიგი წარმოდგენის დროს, ხარებმა, რომლებიც სპექტაკლში მონაწილეობას იღებდნენ, მოულოდნელად დამცავი ბარიერი გაარღვიეს და მაყურებლებს თავს დაესხნენ.

სააგენტო "ფრანს პრესი" იუწყება, რომ ინციდენტის შედეგად, სხვადასხვა სახის ტრავმა 10-მა ადამიანმა მიიღო, რომელთაგან ორი უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იმყოფება. დაზარალებულები მარსელის საავადმყოფოში მოათავსეს და მომხდარის თაობაზე გამოძიება მიმდინარეობს.

ცხოველთა მხრიდან მოულოდნელი აგრესიის გამოვლინების შემთხვევები არცთუ ისე იშვიათია. მაგალითად, ერთი წლის წინ ჩიმკენტში (სამხრეთ ყაზახეთი) განრისხებულმა ხარმა 8 ადამიანი დააზიანა. განსაკუთრებით მძიმე დაზიანებები 5 წლის გოგონამ მიიღო, რომელიც ხარმა რქებით საკმაოდ მაღლა აისროლა.

იაპონიაში ყვავების მხრიდან ხალხზე თავდასხმის ფაქტები ძალზე გახშირებულია, ხოლო ავსტრალიაში დედაქალაქის ხელმძღვანელობამ ქალაქის მოსახლეობას მოუწოდა, მორიდებოდნენ მშიერ კენგურუებს (!), რომლებიც ადამიანებსა და შინაურ ცხოველებს სულ უფრო ხშირად ესხმოდნენ თავს.

ინდოეთში კი ქვეყნის მთავრობამ მაიმუნებს ნამდვილი ომი გამოუცხადა. ქალაქ დელიში აგრესიულად განწყობილი მაიმუნების მთელი ჯოგი სამთავრობო შენობების კომპლექსში დაბინავდა. ცოტა ხნის წინ მათ ერთ-ერთ მაღალჩინოსანს პირდაპირ თავის კაბინეტში შეუტიეს. მტრულად განწყობილი ცხოველები ანადგურებენ ოფისებს, იტაცებენ საიდუმლო დოკუმენტებს და გლეჯენ სატელეფონო კაბელებს იმ შენობებში, სადაც თავდაცვის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო და საგარეო საქმეთა სამინისტროა განთავსებული.

მუქარის სიგნალებს ტერორისტული ორგანიზაციები უკვე დანიასაც უგზავნიან

დანიაში ტერორისტული აქტების განხორციელების მუქარით რამდენიმე რადიკალური ერაყული დაჯგუფება გამოვიდა. დანიის საინფორმაციო სააგენტოს "რიტსაუს ბიუროს" ცნობებით, უცნობმა დაჯგუფებამ "აბუ ბაქრ ას სადიკის ბრიგადა" ინტერნეტის საშუალებით ოფიციალური კოპენჰაგენისგან ერაყიდან დანიური კონტინგენტის გაყვანა მოითხოვა, რომელშიც 500 ადამიანი ირიცხება. უარის შემთხვევაში ტერორისტული დაჯგუფების მუქარა სისრულეში იქნება მოყვანილი კამიკაძეების ან მანქანაში დამონტაჟებული ასაფეთქებელი მოწყობილობების მეშვეობით.

ტერორისტების მუქარაზე დანიის ხელისუფლების მხრიდან, ჯერჯერობით, არანაირი კომენტარი არ გაკეთებულა. როგორც ცნობილია, დანიას ერაყში სამხედრო კოალიციის სხვა წევრებთან ერთად ხელი აქვს მოწერილი ერთობლივ განცხადებაზე, სადაც ნათქვამია, რომ კოალიციური ძალები, ტერორისტების მუქარის მიუხედავად, დასახულ მიზანზე უარს მაინც არ იტყვიან.

ერაყის თემა ავსტრალიის მთავრობის კრიტიკის საფუძველი ხდება

რამდენიმე ყოფილმა ავსტრალიელმა დიპლომატმა და სამხედრო პირმა ქვეყნის მთავრობა დაადანაშაულა იმაში, რომ მან ერაყის ომის მიზეზების შესახებ მოსახლეობას არასწორი ინფორმაცია მიაწოდა.

ღია წერილში, რომელსაც 43 კაცი აწერს ხელს, ნათქვამია, რომ გადაწყვეტილება, ერაყში ავსტრალიური კონტინგენტის გაგზავნის თაობაზე, არასწორი შეფასებებისა და სიცრუის საფუძველზე იქნა მიღებული. ამასთან, როგორც წერილის ავტორები ამტკიცებენ, ომში ავსტრალიელთა მონაწილეობის გამო სავსებით მოსალოდნელია, რომ ქვეყანა ტერორისტების სამიზნედ იქცეს.

ხელისუფლება აღიარებს, რომ სადაზვერვო მონაცემებში გარკვეული უზუსტობები ნამდვილად იყო. თუმცა, იქვე აღნიშნავს, რომ დაზვერვას იმ დროისათვის ხელთ არსებული ინფორმაცია განგებ არ დაუმახინჯებია.

ჯერ კიდევ აპრილში, ანალოგიური კრიტიკული განცხადებები დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის მისამართითაც გაკეთდა. ამჯერად, კრიტიკა ყოფილი ბრიტანელი დიპლომატების მხრიდან მოდიოდა, რომლებიც აცხადებდნენ, რომ ბლერმა უდიდესი შეცდომა დაუშვა, როდესაც ერაყთან მიმართებაში აშშ-ს გაუმართლებელ კამპანიას დაუჭირა მხარი.

ავსტრალიის ხელისუფლების კრიტიკოსთა შორის შეიარაღებული ძალებისა და სამთავრობო დეპარტამენტების ყოფილი ხელმძღვანელები და დაზვერვისა და საგარეო უწყების ცნობილი წარმომადგენლები არიან. ისინი კანბერას მხრიდან ვაშინგტონთან "შეთანხმებულობის პოლიტიკის" შეწყვეტას მოითხოვენ და ქვეყნის მთავრობას უფრო გაწონასწორებული მიდგომისაკენ მოუწოდებენ.

"ჩვენ გვაშფოთებს ის, რომ ავსტრალიამ, ამერიკის მთავრობის შეცდომითი შეფასებებისა და სიცრუის საფუძველზე, ერთობლივ ანტიერაყულ კამპანიაში მიიღო მონაწილეობა", - ნათქვამია ღია წერილში. წერილის ავტორები დაუშვებლად მიიჩნევენ იმ ფაქტს, რომ სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობა ამ ომის ნამდვილ მიზეზად არ იქნა დასახელებული.

ავსტრალიის პრემიერ-მინისტრი ჯონ ჰოვარდი მიიჩნევს, რომ ამგვარი არგუმენტები არა მარტო "მოძველებული სიახლეა", არამედ "ფაქტების დამახინჯებაც" გახლავთ. თუმცა, ოპოზიციური ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ წერილი უპრეცედენტო ხასიათისაა.

ავსტრალია ერაყში მიმდინარე საომარი კამპანიის დროს აშშ-ს ერთ-ერთი მთავარი მოკავშირე იყო. ომში დაახლოებით 2 ათასი ავსტრალიელი იღებდა მონაწილეობას. დღეისათვის, კი ერაყში მხოლოდ 850 ავსტრალიელი სამხედრო მოსამსახურე იმყოფება.

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
JOINT-STOCK COMPANY

ახალი ტექნოლოგიების ბანკი

"საქართველოს ბანკმა" ივლისში რეკორდულ შედეგებს მიაღწია

"საქართველოს ბანკისათვის" მიმდინარე წლის ივლისი რეკორდული მაჩვენებლებით აღინიშნა. ბანკის სისტემაში განხორციელებული ყველა ოპერაციის შედეგად შემოსავლის სახით დაფიქსირებულ იქნა 1 მილიონ ლარზე მეტი, რაც განვლილ თვეებთან შედარებით რეკორდული მაჩვენებელია.

ივლისის შედეგების მიხედვით მზარდი აქტიურობა აღინიშნა ფულადი გადარიცხვებისა და გზავნილების, სხვადასხვა სახის დოკუმენტური ოპერაციებისა და გაცემული კრედიტების, ასევე ყველა სხვა სახის საბანკო მომსახურების მხრივ.

"მიმდინარე წლის და განსაკუთრებით კი ივლისის თვეში დაფიქსირებული შედეგები ადასტურებს, რომ ბანკი სწორი სტრატეგიული გეგმის მიხედვით ვითარდება, რაც გამოიხატება მოსახლეობის მხრიდან "საქართველოს ბანკისადმი" მზარდი ნდობით, მომსახურების მაღალი ხარისხითა და სერვისის მრავალფეროვნებით",- ამბობს "საქართველოს ბანკის" სტრატეგიის დეპარტამენტის დირექტორი მიხეილ გომართელი.

ივლისში დაფიქსირებული შედეგების მიხედვით მომხმარებლის აქტიურობა შეინიშნებოდა "საქართველოს ბანკის" მთელ სისტემაში როგორც დედაქალაქში, ისე ყველა რეგიონში, რაც კარგად ორგანიზებული ფილიალების ქსელით,მომსახურების მაღალი ხარისხითა და სწორად წარმართული მარკეტინგული ღონისძიებებით იქნა განპირობებული.

"საქართველოს ბანკის" მიერ კლიენტებისათვის შეთავაზებულ ყველა სახის საბანკო მომსახურებაზე გაიზარდა მოთხოვნილება. ივლისში ფულადი გზავნილებიდან შემოსული შემოსავლების ხვედრითმა წილმა 34.5% შეადგინა. ასევე რეკორდული იყო პლასტიკური ბარათების მომსახურებიდან შემოსული შემოსავლები ხვედრითი წილით 11.7%. მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა გადარიცხვითი, საკასო, საკონვერსიო ოპერაციებიდან. გაიზარდა მოთხოვნილება სამგზავრო და საბანკო ჩეკებზეც.

"საქართველოს ბანკი", მისი მენეჯმენტის მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით ეტაპობრივად განაგითარებს ყველა იმ ახალ ტექნოლოგიას თუ ლოჯისტიკურ მიმართულებებს,რომლებიც დღეისათვის ინერგება და მომავალშიც დაინერგება მსოფლიოს წამყვანი ბანკების მიერ, რაც ასევე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მთლიანად ქართული საბანკო ბაზრის განვითარებისათვის.

სიახლეებია დაგეგმილი კორპორატიული კლიენტურის მომსახურების,მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის, ასევე კერძო პირების დაკრედიტების მხრივ. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საერთაშორისო საბანკო ურთიერთობებსაც, რომლის წარმატებული განვითარებაც უკვე აღინიშნა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ "საქართველოს ბანკისთვის" მინიჭებული ჯილდოთი, რომლის მიხედვითაც პირველად ქართული საბანკო სფეროს ისტორიაში "საქართველოს ბანკი" ვაჭრობის დაფინანსების მხრივ 2003 წლის ევროპის საუკეთესო საბანკო დაწესებულებად დასახელდა.

ძირითადი ტენდენცია

ვირტუალური ომი

ᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მაშასადამე, მოსკოვმა ეს გამოწვევა მიიღო და ამას მეტყველებს სწორედ მისი ბოლოდროინდელი ტაქტიკა: დაწყებული პუტინის "ჰუმანიტარული დახმარების" ახალგორში შეტანის "მედია-დემონსტრაციით" – დამთავრებული ანდრეი კოკოშინის პროვოკაციული ვიზიტით სამხრეთ ოსეთში.

სხვათა შორის, გენერალი ნაბზდოროვის კონფლიქტის ზონიდან გაწვევა მოსკოვმა იმიტომაც გადაწყვიტა, რომ მისი სწორხაზოვანი, სალდაფონური, ბრიყვული დემარშები კრემლს "მედია-ომში" გამარჯვების შანსს აღარ უტოვებდა. ამჟამად, როგორც ჩანს, რუსულ გენერალიტეტში ოდნავ უფრო "გონებამახვილს" ეძებენ, რაც საერთო "ბნელ მასაში" არც ისე იოლი საქმე იქნება.

მაგრამ იმავე ომში ქართული მხრიდან არანაკლებ მძიმე შეცდომა იყო კონფლიქტის ზონაში ისეთი ძლიერი მოწინააღმდეგის შემოვება, როგორიც ანდრეი კოკოშინია. რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს "დსთ"-ს საქმეთა თავმჯდომარე ძალიან ჭკვიანი და ეშმაკი მოლვაწეა. უფრო მეტიც – იგი პუტინის გარემოცვის ერთ-ერთი უძლიერესი ფიგურაა და მისი "მოვლინება" საქართველოსთან ვირტუალური ომის კონკრეტული შეტაკების მოსაგებად, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რა მნიშვნელობას ანიჭებენ მოსკოვში ამ ომსა და მასში საბოლოო გამარჯვებას.

ანდრეი კოკოშინი, რა თქმა უნდა, სწორედ იმ პროვოკაციის მოსაწყობად ჩამოვიდა, რაც ნიჭიერად განახორციელა – მას ჭირდებოდა სროლის პროვოცირება და იმ ფაქტის დადასტურება, რომ ქართულმა ფორმირებებმა ცეცხლი გაუხსნეს რუსეთის საპარლამენტო დელეგაციას.

აქ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ოსების პროვოცირებული იყო თუ არა სროლა – მთავარია, "მედია-ომში" დაფიქსირდა რუსეთისათვის სასურველი ფაქტი.

ხოლო იმაზე, რომ ყოველივე კოკოშინს წინასწარ ჰქონდა გათვლილი, მეტყველებს მისი ჩამოსვლა თბილისში. რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, კოკოშინი ჯერ თბილისში რომ არ ჩამოსულიყო, - პროვოკაცია ნაკლებ ეფექტური იქნებოდა. ოღონდ მას უეჭველად სჭირდებოდა იმის დაფიქსირება, რომ ჯერ თბილისში ჩავიდა, "კეთილი ნება გამოამჟღავნა", საქართველოს ხელისუფლების თანხმობით (!) გაემგზავრა სამხრეთ ოსეთში, სადაც ქართულმა ფორმირებებმა მას ცეცხლი გაუხსნეს.

ამით ერთდროულად ორი, რუსეთისათვის სასურველი რეალობა დაფიქსირა საინფორმაციო სივრცეში: რომ ოფიციალური თბილისი ან ვერ აკონტროლებს საკუთარ ფორმირებებს, ან (მეორე) საქართველოს ხელისუფლებასთან მშვიდობიან დიალოგს აზრი არა აქვს, რაკი მოლაპარაკებისთანავე, ქართული მხარე ცეცხლს უხსნის მისივე თანხმობით(!) სამხრეთ ოსეთში ჩასულ "შუამავალს".

ანუ, კოკოშინის გაიძვერულმა მანევრმა (თბილისიდან-ცხინვალში) საქართველოს ხელისუფლებას წაართვა ის არგუმენტი, რომ "ანდრეი კოკოშინი საქართველოს ხელისუფლების თანხმობის გარეშე ჩავიდა ცხინვალის რეგიონში და პასუხისმგებლობაც, ინციდენტისათვის, მას უნდა დაეკისროს".

თბილისს თავიდანვე რომ უარი თქვა, რასაკვირველია კოკოშინი როკის გვირაბის გავლით იქ მაინც ჩავიდოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში მის მიერ ოსტატურად განხორციელებული პროვოკაციის "მარგი ქმედება" გაცილებით ნაკლები იქნებოდა, რაკი საქართველოს ხელისუფლებას შეეძლებოდა ეთქვა, რომ სტუმარი დაუკითხავად ჩავიდა კონფლიქტის ზონაში.

ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ქართული ფორმირებები თბილისიდან ჩასულ კოკოშინს ცეცხლს არ გაუხსნიდნენ, მაშინ იგი (მიაქციეთ ყურადღება, - რუსი ჟურნალისტების მთელი არმია წაიყვანა შემოვლით გზაზე ქართული ფორმირებების საინსპექციოდ), მათ დაახლოებით ისევე მოექცეოდა, როგორც მოიქცა გენერალი ნაბზდოროვი ერედვსა და ტყვიავში, სადაც ხმამაღლა, მთელი რუსეთისა და მსოფლიოს დასანახად გამოლანძღა ქართველი სამხედროები "სამხრეთ ოსეთში უკანონოდ ყოფნის" გამო. ეს უკანასკნელნი კი მხრებაწურულნი ისმენდნენ მის "დამუნათებას".

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ანდრეი კოკოშინის სამხრეთ ოსეთში გამგზავრების სანქცირება ქართული მხარის უმძიმესი შეცდომა იყო. პირიქით, რაკი მისი ვიზიტის პროვოკაციული მიზანი იმთავითვე ცხადი უნდა ყოფილიყო, დაბეჯითებით უნდა ერჩიათ, ვითარების დაძაბვის გამო იქ გამგზავრებაზე უარი ეთქვა. თუ მაინც გაემგზავრებოდა, მაშინ (ვიმეორებ) ქართულ მხარეს, გარდაუვალი პროვოკაციის შედეგთა განეიტრალების საშუალება დარჩებოდა - კოკოშინის მოქმედების არასანქციონირებულობით.

რასაკვირველია, მედია –სივრცეში არანაკლებ ბობოქარი რეაქცია მოჰყვა პრეზიდენტ სააკაშვილის სენსაციურ განცხადებას აფხაზეთის აკვატორიასთან დაკავშირებით. რუსებმა იგი უმალვე აიტაცეს და კოსმიური მასშტაბის ისტერიაც მოაწყვეს.

დასავლეთში ამ განცხადებას განსაკუთრებული აჟიოტაჟი არ მოჰყოლია (მოჰყვებოდა მხოლოდ კონკრეტულ მოქმედებას, - თუ ვთქვათ, ღმერთმა დაგვიფაროს, მართლა გავუხსნით ცეცხლს აფხაზეთში თუნდაც უკანონოდ მიმავალ მშვიდობიან ტურისტებს, - რასაც სააკაშვილი, რა თქმა უნდა, არ აპირებს).

მეორე მხრივ, განცხადებამ გამოიღო სავსებით კონკრეტული შედეგი: წელს აფხაზეთში ათჯერ ნაკლები დამსვენებელია რუსეთიდან, ვიდრე შარშან. კომიკურ შთაბეჭდილებას ტოვებს რუსული ტელეარხების რეპორტაჟი "სოჭი-სოხუმის" ტურისტული კატარღის მოძრაობის შესახებ. კატარღა მთლიანად ცარიელი იყო და მხოლოდ ერთი ტელეოპერატორი ჩამოჰყვა.

მართლაც და, "ექსტრემალური ტურიზმის" მოყვარულთა გარდა, ვინ წავა ოჯახთან ერთად დასასვენებლად – სამხედრო-საზღვაო ძალების სარაკეტო ხომალდების ექსკორტირებით?

ამ ერთმა განცხადებამ მოკლა ტურისტული სეზონი აფხაზეთში არა მხოლოდ წელს, არამედ კარგა ხნის პერსპექტივაშიც. არადა, ტურიზმი სეპარატისტული რეჟიმის ერთადერთი იმედია.

ზოგიერთს მიაჩნია, რომ ამით "რუსეთში საქართველოს მომხრე ძალებიც დავაფრთხეთ". თუმცა ისიც საკითხავია, რა უფრო ხელსაყრელია ქვეყნისთვის: რუსეთში ვითომდაც არსებული, მითიური "პროქართული ლობის" ძიება, თუ საკურორტო სეზონის რეალურად ჩაშლა. სხვა ფორმით გაკეთებულ განცხადებას კი ასეთი გრანდიოზული მედიაეფექტი არ ექნებოდა და შესაბამის შედეგსაც ნაკლებად გამოიღებდა.

ამავდროულად, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში ატეხილმა ისტერიამ დაადასტურა, რომ მიხეილ სააკაშვილმა ბევრ რუს თუ "ნაცმენ ძდერჟავნიკს" ედუარდ შევარდნაძე მოანატრა. მაგალითად, კომიკური იყო ვიქტორ ალქსნისის განცხადება (იგი შევარდნაძეს ჯერ კიდევ 1990 წლის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობიდან ებრძვის, როცა სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან გადადგა): "კანონიერი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე იგორ ივანოვმა რატომ დაამხო და მიხეილ სააკაშვილი (რუსეთისათვის მასზე ბევრად უარესი) შეგვყარაო".

პრეზიდენტის ამერიკაში ვიზიტმა კი ისიც დაადასტურა, რომ ამერიკელები მზად არიან თამაშის ეს წესები მიიღონ და მხარიც დაგვიჭირონ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ხელისუფლება კვლავაც შეძლებს დაიცვას წონასწორობა "დანის პირზე სიარულისას" ანუ ზღვარს არ გადავა. ასეთი ზღვარი იქნებოდა, ისევ და ისევ, რეალურად ცეცხლის გახსნა მშვიდობიანი ტურისტებისათვის, რასაც საქართველოს ხელისუფლება, (ყველაფრით ჩანს), სინამდვილეში არ აპირებს.

რასაკვირველია, მედიამები აუცილებლად მოითხოვს ცინიზმის გარკვეულ დოზას, მაგრამ სხვაგვარად ამ ომის წარმოება შეუძლებელია. დღეს მსოფლიოს (მათ შორის, უპირველესად დასავლეთს) არა რომანტიკოსები, არამედ უმოწყალო ცინიკოსები მართავენ. სწორედ ამ ყაიდის პოლიტიკოსებმა (კლინტონმა და ბლეერმა თავის დროზე) შეცვალეს რეიგანისა და ტეტჩერის "რომანტიკულად იდეოლოგიზირებული" გენერაციის წამომადგენლები.

ამჟამინდელ ახალ თაობასთან კი მხოლოდ მათ ენაზე შეიძლება საუბარი. ოდენ "ცრემლებისა" არა მხოლოდ მოსკოვს, არამედ ვაშინგტონსაც არ სჯერა. ამიტომაც, ეკოლოგიური მოსაზრებებით ნავთობსადენის მშენებლობის დროებითი შეწყვეტა სავსებით მიზანშეწონილი და მკაფიოდ ჩამოყალიბებული მესიჯი იყო აგრეთვე დასავლეთისათვის, რომელსაც, შესაძლოა, სულაც არ ეპიტნავებოდეს სტატუს-კვოს დარღვევა და საქართველოში გაყინული კონფლიქტების გაღვივება, რაკი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, პრაგმატული მოსაზრებებით, კიდევ უფრო ნაკლებად უჩუყებს გულს, ვიდრე რუსეთს.

სწორედ ჩვენ უნდა (დიახაც) ვაიძულოთ მიიღოს საქართველოს პოზიცია: "ევრაზიული დერეფნის" უსაფრთხოებას არა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სტატუს-კვოს შენარჩუნება (რასაც რუსეთი სთავაზობს) არამედ სწორედ ამ სტატუს-კვოს დარღვევა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა უზრუნველყოფს სტრატეგიული თვალსაზრისით.

წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ამას ვერ მოვახერხებთ, დასავლეთის "ანალიტიკურ ლაბორატორიებში" (ამგვარი ლაბორატორიები კი იქაც არსებობენ) საბოლოოდ გაიმარჯვებს ალტერნატიული პოზიცია, რომლის თანახმადაც, დასავლეთისათვის მიზანშეწონილია, საქართველო და სამხრეთ კავკასია მართოს არა უშუალოდ, არამედ რუსეთის ხელით და მოსკოვთან გეოპოლიტიკური დათმობებით (ანუ სამხრეთ კავკასიაში მისი გეოპოლიტიკური პრეროგატივის აღიარებით) უზრუნველყოს კასპიის ზღვის ენერგომემცველთა დასავლეთში ტრანსპორტირების მაგისტრალთა უსაფრთხოება.

ამდენად, თუ არ ვიაქტიურებთ, ამგვარი კომპრომისი (ანუ კომპრომისი ჩვენს ხარჯზე!) დასავლეთსა და რუსეთს შორის გამორიცხული ნამდვილად არ არის.

ხოლო ვისაც კონფრონტაცია აშინებს, მან უნდა იგულისხმოს, რომ ასეთ შემთხვევაში, მათთვის სჯობდა ეცხოვრათ ისევ ედუარდ შევარდნაძის "უძრაობის ხანაში".

რას ჰქვია გაშინებს? ელემენტარული ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ მიშა სააკაშვილი ხელისუფლებაში სიმშვიდის დაპირებით სულაც არ მოსულა. მისი ძირითადი მესიჯი იყო სწორედაც უძრაობის დარღვევა. თუ არ მოგვწონს, მაშინ იმავე უძრაობაში უნდა გვეცხოვრა, რომელშიც 23 ნოემბრამდე ვცხოვრობდით, ვინაიდან ხსენებული უძრაობის და სტატუს-კვოს შენარჩუნება, სინამდვილეში, ყველა გეოპოლიტიკურ მოთამაშეს ხელს აძლევდა, - საქართველოს გარდა, რომელსაც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრობლემა აქვს გადასაწყვეტი.

თანაც, ამ პრობლემას, მანამდე ჩამოყალიბებული თამაშის წესთა დარღვევის, ერთგვარი (ამ აზრით) "მართვადი დესტაბილიზაციის" გარეშე ვერ გადაწყვეტ. ხოლო რამდენად მიზანშეწონილია ამგვარი პოლიტიკა (გეოპოლიტიკური დესტაბილიზაცია-სტრატეგიული პრობლემის გადასაწყვეტად) – სულ სხვა საკითხია და ექსპერტულ დონეზე განსასჯელი არ არის. თუნდაც იმიტომ, რომ პრეზიდენტს, რასაკვირველია, ჩვენზე მეტი ინფორმაცია აქვს და პოლიტოლოგთა ჭკუის სწავლებას არ საჭიროებს.

მიშა სააკაშვილი შევარდნაძე არ არის და თავს (არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ თავის ხელისუფლებას და მის სტრუქტურებს) არავის "გაადარდუბალებინებს".

ვახო ბესელიას ფოტო

ამგვარ საკითხებს ხშირად უკანა რიცხვით ეფინება ნათელი. იმ აზრით, რომ "გამარჯვებულებს არ ასამართლებენ" და პირიქით.

ყოველ შემთხვევაში, დღემდე უკლებლივ ყველა სამკვდრო-სასიცოცხლო კრიზისის დროს, მიხეილ სააკაშვილი ოსტატურად ახერხებდა დანის პირზე სვლას, მის კოკას დღემდე ყოველთვის მოჰქონდა წყალი და 23 ნოემბრიდან (ესეც ხომ უდავო ფაქტია), დესტაბილიზაციის მისეულ მოდელს (ანუ, იმავე "კოკას"), უამრავი საფრთხის მიუხედავად, არც ერთი წვეთი სისხლი არ მოჰყოლია.

აქ არის კიდევ ერთი, ძალზე საინტერესო და ნიშანდობლივი მომენტი: პრეზიდენტის მკვეთრ განცხადებასთან დაკავშირებით საზოგადოებაში უკვე ისმის ყრუ გმინვა: "რატომ აკეთებს პრეზიდენტი ამგვარ რადიკალურ განცხადებებს?!".

თანაც, ამ პრეტენზიას მას სწორედ ის ხალხი უყენებს, ვინც ანალოგიურად "ჭმუნავდა" ჯერ ზვიად გამსახურდიას, შემდეგ ედუარდ შევარდნაძის (მათივე დეფინიციით) "პროვოკაციულ-კონფრონტაციული" პოლიტიკის გამო რუსეთის მიმართ. გახსოვთ, ალბათ, მაშინაც ისმოდა ანალოგიური კითხვები მკვეთრ განცხადებებთან და "ანტირუსულ რიტორიკასთან" დაკავშირებით.

არადა, რაკი ზედიზედ სამი პრეზიდენტი (აბსოლუტურად განსხვავებული, თავიანთი პიროვნული და, ბოლოს და ბოლოს, ფსიქოლოგიური წყობით) ერთსა და იმავე სტილს ამჟღავნებს რუსეთთან ურთიერთობაში, - იძულებული ვხდებით დავასკვნათ, რომ რუსეთთან ურთიერთობის ეს ტონი და შესაბამისი "პოლიტიკური ხაზი" იმ ქვეყანასთან საქართველოს ურთიერთობის თვით ლოგიკიდან გამომდინარეობს. ანუ იმ პოლიტიკური პარადიგმის "შემადგენელია", რაც ობიექტურად ჩამოყალიბდა 1998 წლიდან. მის ჩამოყალიბებაში ქართული სოციუმის ბევრმა სუბიექტმა მიიღო მონაწილეობა (მათ შორის, შესაბამისი ცნობიერი შემადგენლების შემუშავების თვალსაზრისითაც) და აქ სამი პრეზიდენტის პიროვნული თვისებები აბსოლუტურად არაფერ შუაშია.

პოლიტიკური ხაზისა და ურთიერთობათა ლოგიკის შესაცვლელად თვით ხსენებული პარადიგმის შეცვლაა საჭირო, მაგრამ ამის გაგება არაფრის დიდებით არ სურს იმ ხალხს, ვინც ჯერ კიდევ ზვიად გამსახურდიას, შემდეგ ედუარდ შევარდნაძის (მმართველობის ბოლო პერიოდში) და ახლა უკვე მიხეილ სააკაშვილის მკვეთრი განცხადებების გამო "ოხრავს და გოდებს" - თანაც, საკუთარი ინტელექტუალური აღმატებულობის ნიშნით: "რატომ აკეთებს პრეზიდენტი ასეთ მკვეთრ განცხადებებს?"

იგივე ოხვრა გვესმის 1991 წლიდან, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, ის პარადიგმა, საიდანაც სამივე პრეზიდენტის უცვლელი პოლიტიკური ხაზი და რუსეთთან დამოკიდებულების ლოგიკა გამომდინარეობს, იმავე "მჭმუნვარე" ხალხის შექმნილია თავის დროზე და, ამდენად, გაუგებარია, ვისთან აქვთ პრეტენზია?

ყოველ შემთხვევაში, ამის გამო (!) დღევანდელ პრეზიდენტთან ისევე არ შეიძლება ჰქონდეთ არანაირი პრეტენზია, როგორც მის წინამორბედებთან.

"თბილისის გარნიზონი"

ამრიგად, საქართველოს პრეზიდენტის უცვლელი მესიჯი (უცვლელი არა მხოლოდ 23 ნოემბრიდან, არამედ მთელი წინარე პერიოდის განმავლობაშიც), რომლის არსი ქვეყნის სტრატეგიულ პრობლემათა გადასაწყვეტად უმოწყალო, პერმანენტულ ბრძოლაში მდგომარეობს, აუცილებლად გააწბილებს მშვიდი ცხოვრებისა და "ბაირამობის" მოსურნეთ, რომლებიც საქართველოში ტრადიციულად ბევრნი არიან, მაგრამ, საკუთარ ინტერესებს ხშირად ვერც აცნობიერებენ, თორემ "შევარდნაძის უძრავი ჭაობის" დაშლას ისინი მხარს არ დაუჭერდნენ.

საბედნიეროდ, ვერ მიხვდნენ, რომ სააკაშვილის ფრაზა ("შევარდნაძის ბაირამობა დამთავრდა") არა მხოლოდ კორუმპირებულ ჩინოსნებს ეხებოდა, არამედ გულისხმობდა, მაგალითად, იმასაც, რომ სურს თუ არა, ყველას მოუწევს ჯარში სამსახური; თავის შვილიკოსაც ვერავინ დაუმალავს არმიას ასიოდე ლარის გადახდით; საჭიროებისა და აუცილებლობის შემთხვევაში, ყველა იბრძოლებს და აღარ განმეორდება ის მარაზმი, როცა, აფხაზეთის ომის დროს ერთნი იბრძოდნენ, - სხვები კი ადრიატიკის სანაპიროებს ეცნობოდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჭკვიანი და მტკიცე ხელისუფლება იმ პოლიციელს გაუგზავნის სახლში (კანონის აღსრულების მოთხოვნით), რომლის შვილიც იბრძვის და ღვრის სისხლს თავისი ქვეყნისათვის. მასთან კი არ გაჭრის ის, რაც შევარდნაძის დროს ჭრიდა.

ამ პროცესში სხვა პრობლემების გამწვავებაც გარდაუვალია. მაგალითად, შევარდნაძის ეპოქაში ცოტა არ იყოს უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ ნატოსაკენ მსწრაფი ქვეყნის დედაქალაქში დღემდე არსებობს რუსეთის სამხედრო ბაზა!

დიახ, დიახ, ნურავინ გაიკვირვებს. მიბრძანდით ვაკე-საბურთალოს გადასასვლელზე, დადექით იპოდრომის მხარეს და ყურადღებით დააკვირდით მოპირდაპირე შენობას.

ერთი შეხედვით, ეს არის "საქართველოში რუსეთის ჯარების შტაბის" ნახევრად ცარიელი ნაგებობა. მაგრამ თავს ნუ მოიტყუებთ ვიზუალური შთაბეჭდილებით. რამდენიმე კვირის წინ, რუსეთის ინტერნეტ-პორტალზე "გაზეტა-რუ" გამოქვეყნდა ცნობა, რომლის თანახმად, რუსეთის შეიარაღებულ ძალთა გენერალურმა შტაბმა მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება, არ გაიყვანოს საქართველოს დედაქალაქიდან რუსეთის ჯარების "თბილისის გარნიზონი" (!!!).

გამაოგნებელია და უცხოელს რომ ეუბნები, არც სჯერა – ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში დღემდე დგას რუსეთის ჯართა "თბილისის გარნიზონი." ფორმალურად მას ეწოდება "საქართველოში რუსეთის შეიარაღებულ ძალთა შტაბის დაცვა", მაგრამ, როგორც ვხედავთ, რუსეთის გენერალური შტაბი ოფიციალურად უწოდებს მას "თბილისის გარნიზონს."

ახლა ესეც ვიკითხოთ, რას წარმოადგენს თბილისის გარნიზონი? "ნეზავისიმაია გაზეტას" სამხედრო დამატების ცნობით, ეს არის 1500 კბილებამდე შეიარაღებული სამხედრო მოსამსახურე.

ნურც იმას დავივიწყებთ, რომ რუსეთის სამხედრო სპეცსამსახურებს, რასაკვირველია, არ შეუწყვეტიათ კავშირი ყოფილი "ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის" ათეულობით ათას სამხედრო მოსამსახურესთან, ვინც კვლავ თბილისში ცხოვრობს და ოფიციალურად არც ერთ სამხედრო შენაერთში არ ირიცხება.

კი მაგრამ, ამის გათვალისწინებით, რომელ ნატოში შესვლაზე საუბრობდა ჩვენი წინა ხელისუფლება? ან რატომ კეთდებოდა აქცენტი მხოლოდ ბათუმისა და ახალქალაქის სამხედრო ბაზებზე მაშინ, როდესაც თვით ქვეყნის დედაქალაქშიც კი არსებობს რუსეთის სრულფასოვანი ბაზა - ათასობით სამხედრო მოსამსახურით, ყაზარმებით, სამხედრო ტექნიკით და ასე შემდეგ.

მაშასადამე (აქედან გამომდინარე), რაკი რუსეთის შეიარაღებულ ძალებს თბილისში ჰყავთ გარნიზონი, აქედან გამომდინარე, არსებობს თბილისის რუსული კომენდატურა და ჩვენი დამოუკიდებელი ქვეყნის დედაქალაქს ჰყავს რუსი კომენდანტიც კი! სხვაგვარად (ვისაც ელემენტარული სამხედრო საქმე უსწავლია, დამეთანხმება) სამხედრო გარნიზონისა და კომენდატურის არსებობას აზრი არა აქვს.

ლიტვა, ლატვია და ესტონეთი რომ ნატოსა და ევროკავშირში მიიღეს, - ვილნიუსში, რიგაში, ტალინში არანაირი რუსული გარნიზონები აღარ იდგა და რუსი კომენდანტები აღარ ჰყავდათ.

მოდით, ექსპერიმენტის სახით ვცადოთ და ოფიციალურად მოვითხოვოთ ამ ვითომდაც (ისევ და ისევ ერთი შეხედვით) არაფრის მაქნისი "შტაბის" თბილისიდან გატანა.

გარწმუნებთ, სერგეი ივანოვისაგან მივიღებთ ისეთივე პასუხს, როგორც ბათუმისა და ახალქალაქის ბაზებთან დაკავშირებით, რაკი ივანოვმა შესანიშნავად უწყის, რომ სანამ "თბილისის გარნიზონი" არსებობს, - საქართველოს ნებისმიერი ხელისუფლება დენთის კასრზე ზის, ხოლო ასეთი ქვეყნისძნატოში გაწევრების სურვილი ტკბილ სიზმრად და მხიარულ ანეკდოტად აღიქმება თუნდაც იმავე დასავლეთში.

ხელისუფლების გადარდუბალება

"თბილისის გარნიზონის" საკითხი მხოლოდ ერთია არსებულ პრობლემათაგან და იმის საილუსტრაციოდ დავჭირდა, თუ რა დონისა და სირთულის ამოცანების გადაწყვეტა მოუწევს ხელისუფლებას თავის პროექტის განსახორციელებლად.

აქვე ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ამჟამინდელ ხელისუფლებას ყველაყველა და თანმიმდევრულობას ვერ დაუკარგავ.

როგორც ჩანს, სტრატეგიულ სახელმწიფოებრივ პრობლემათა გადასაწყვეტად ამ პროექტის ავტორებს აუცილებლად მიაჩნიათ ქმედითი ხელისუფლების სისტემის ჩამოყალიბება და შესაბამისი მიმართულებით მტკიცედ მოქმედებენ კიდეც.

ამ მხრივ, მეტად ნიშანდობლივი იყო ის, რაც გასულ კვირას "ხალხის გაზეთის" რედაქტორთან დაკავშირებით ხდებოდა. რასაკვირველია, ამ საქმის ქვეტექსტი ყველას შესანიშნავად გვესმის. ამდენად, მეტად საგულისხმოდ ორი მომენტი მიმაჩნია: უპირველეს ყოვლისა ის, რომ მიშა სააკაშვილი შევარდნაძე არ არის და თავს (არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ თავის ხელისუფლებას და მის სტრუქტურებს) არავის "გაადარდუბალებინებს".

დღევანდელმა პრეზიდენტმა შესანიშნავად იცის: მის წინამორბედს, სახელისუფლებო სტრუქტურები, სწორედ იმიტომ დაემხო თავზე, რომ შევარდნაძემ მათი "გადარდუბალება" დაუშვა.

აქედანვე გამომდინარეობს მეორე ნიშანდობლივი ტენდენცია: განსხვავებით შევარდნაძისაგან, რომელიც ანალოგიურ შემთხვევაში თავისი მინისტრების ზურგს ეფარებოდა - დღევანდელმა პრეზიდენტმა პირდაპირ თქვა, რომ გუბერნატორი მიხეილ ქარელი და პოლიციის უფროსი ალექსანდრე სუხიტაშვილი (ვისზეც "არასამთავრობოები" ჯოხის გადატეხას და ყველაფრის მათთვის დაბრალებას ცდილობდნენ, რაც, თავისთავად, არც თუ სიმპათიური საქციელი იყო) მისი უერთგულესი თანამებრძოლები არიან და მათ იგი ყოველთვის დაიცავს.

იმავდროულად, არც მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი ამოეფარა რეგიონული თანამშრომლების ზურგს და მანაც პირდაპირ თქვა: "ჩემი ბრძანებით დააპატიმრეს". ეს უკვე სულ სხვა სახელისუფლებო პოზიციაა, ვიდრე წინა ხელისუფლებისას ხდებოდა, როცა ქვემოდან-სულ ზემოდე უმთავრესი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ პასუხისმგებლობისაგან თავის დაძვრენა და სხვაზე გადაკისრება იყო. უფრო მეტიც: უკანასკნელ პერიოდში ეს მისწრაფება ლამის უმთავრეს სახელმწიფო პოსტულატად იქცა: "მთავარია ვის დაბრალდება".

საბოლოოდ, რეზო ოქრუაშვილმა ბრალი აღიარა. რაც იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებას უკან ერთი ნაბიჯითაც არ დაუხევია და საქმე ბოლომდე მიიყვანა.

ეს (და ზოგიერთი სხვა ანალოგიური ფაქტი) ძალიან მკაფიო მესიჯია ხელისუფლების "გადარდუბალების" მოსურნეთათვის, რომლებიც, შესაძლოა, ახლაც არსებობდნენ.

ზოგადად, ხსენებული მულტსერიალი მეტად საინტერესო ფენომენი იყო. დარწმუნებით შეიძლება ითქვას: არც ერთი ნორმალური პრეზიდენტი, დედამიწის ზურგზე, არც ერთ ქვეყანაში, არასდროს არ დაუშვებდა და არც დაუშვებს საკუთარი თავის ამდენად გატაკიმასხარავებას, რომ მისი მულტიპლიკაციური "ფსევდონიმი" საცვლების ამარა, ტიტლიკანა ერბენინებინათ ყოველ საღამოს მთელი ქვეყნის ზიზღნარევად სახითხითოდ.

გადაჭარბებულად ნუ მოგეჩვენებათ, მაგრამ ეს იმთავითვე უმძიმესი სახელისუფლებო და (აქედან გამომდინარე) სახელმწიფოებრივი კრიზისის გამოვლინება იყო. ჟურნალისტიკის შესაბამისი ჟანრი, რასაკვირველია, მთელ მსოფლიოში არსებობს ("თოჯინები" პირველად 70-იანი წლების გერმანიაში გაჩნდა), მაგრამ მას ყველგან ჰქონდა, აქვს და ექნება გარკვეული ჩარჩოები, რომლიდან გასვლის უფლებასაც ნორმალურ ქვეყანაში არავინ მოგცემს.

ზოგს გაუკვირდა, როდესაც რადიო "თავისუფლების" ქართული რედაქციის ხელმძღვანელმა, გულნარა უროტაძემ, თბილისში ყოფნისას თითქოსდა ძალზე უცნაური, მიუღებელი და ჩვენთვის უჩვეულო ფრაზა თქვა: "თუ ვინმეს ჰგონია სიტყვის თავისუფლება ის არის, რასაც გინდა იმას იტყვი და რასაც გინდა იმას დაწერ, - ეს არის არა სიტყვის თავისუფლება, არამედ მისი დისკრედიტაცია."

ამასთან დაკავშირებით, მწარედ მახსოვს ერთი დისკუსია ქართველ და სხვა კავკასიური ქვეყნების ჟურნალისტებს შორის, რომელთაც, კოლეგა-ჟურნალისტმა, ჩვეული ბრიყვული ამპარტავნობით ნიშნი მოუგო: "ჩვენთან იცით, რა დონის სიტყვის თავისუფლებაა? - საკუთარი პრეზიდენტი შეგვიძლია უნიტაზში ჩავრეცხოთო", რაზეც შესაბამისი პასუხი მიიღო: "მერე და რა, თქვენი(!) პრეზიდენტის უნიტაზში ჩარეცხვა ჩვენც ადვილად შეგვიძლია, მაგრამ, რა თქმა უნდა, არ ვიკადრებთ, რაკი ქართველ ხალხს პატივს ვცემთო".

რასაკვირველია, ეს ლოგიკური ჯაჭვი ("ვირტუალური ომიდან" – "დარდუბალამდე") ბევრს არ ეპიტნავება და, შესაძლოა, გაგვაკრიტიკონ კიდეც, მაგრამ რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ: დღეს ქვეყანას სხვა სისტემური შინაარსის მქონე ხელისუფლება ჰყავს, რომლის მიზანი, უპირველეს ყოვლისა, ძველი, მანკიერი სისტემის დანგრევაა. ზოგიერთი ამას ავტორიტარიზმს უწოდებს, სხვები ძლიერ ხელისუფლებას - ტერმინოლოგიური გემოვნების საკითხია და საქართველოს პირობებში სრული დემაგოგიაა იმის მტკიცება, თითქოს რაც უფრო ძლიერი იქნება ოპოზიცია და რაც უფრო ხშირად არბენინებენ "დარდუბალაში" პრეზიდენტს ტიტლიკანა, - მით უფრო ქმედითი და ძლიერი იქნება ხელისუფლება.

ძველი (შევარდნაძის) სისტემა კი მართებულად შეიძლება შეფასდეს, როგორც უღონო, პლიურალისტური რეჟიმი.

მოგვწონს თუ არა, ყოველ შემთხვევაში, მიხეილ სააკაშვილს არავინ მოუტყუებია: მისი ძირითადი მესიჯი, ჯერ კიდევ საკონსტიტუციო ცვლილებებამდე (მით უმეტეს, რევოლუციამდე), სწორედაც ძლიერი ხელისუფლების შექმნა გახლდათ.

ნოემბერში საზოგადოებამ გააკეთა არჩევანი ქმედით ხელისუფლებასა და უღონო, პლიურალისტურ რეჟიმს შორის. ამჟამად ეს არჩევანი ზოგიერთებს უკვე აღარ მოსწონთ, მაგრამ, ნურას უკაცრავად, - ისტორიული არჩევანი გაკეთებულია და მისი უკან წაღება აღარ გამოვა.

პრეზიდენტს, რომელსაც თავისი ხალხი არ მოუტყუებია, საკუთარი პროექტი დაუფარავად შესთავაზა და იმთავითვე მკაფიოდ ამბობდა, რომელი სისტემით სურდა ძველად არსებულის შეცვლა (რათა მისი მეშვეობით სტრატეგიული სახელმწიფოებრივი პრობლემები გადაეწყვიტა), – ნამდვილად აქვს არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ მორალური უფლება, თავის პროექტის განსახორციელებლად მხარდაჭერა მოითხოვოს.

და მას მიაღწიოს კიდეც.

"24 საათის" სტამბა გაქურდვას გადაურჩა

შაბათს, საღამოს შვიდ საათზე დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის თანამშრომლებმა შპს "ნაპირი", ანუ, სტამბა, რომელიც ხოშარაულის ქუჩაზე მდებარეობს და სადაც გაზეთი "24 საათი" იბეჭდება, გაქურდვისგან იხსნეს. სტამბის დაცვის თანამშრომლებმა და დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის თანამშრომლებმა შემთხვევის ადგილზე დაავკავეს ორჯერ ნასამართლევი ლევან ზარიძე და არასრულწლოვანი სერგო კასტინი. მათ სტამბის ეზოში უკვე გამოტანილი ჰქონდათ გაზეთის საბეჭდი დანადგარის დეტალები, როცა შემთხვევის ადგილზე პოლიცია მივიდა.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის უფროსის, ირაკლი ფირცხალავას განცხადებით, დაკავებულებმა საბეჭდ დანადგარს ისეთი დეტალები მოხსნეს, რომელიც სტამბას კარგა ხნით მწყობრიდან გამოიყვანდა, რაც გაზეთის გაჩერებას გამოიწვევდა. **"არადა, სტამბაში გაცილებით ძვირადღირებული შავი და ფერადი ლითონის დეტალებია, რომლისთვისაც მათ ხელი არ უხლიათ, ამიტომაც, გამოძიება ფიქრობს, რომ ადგილი ჰქონდა შეკვეთილ ქურდობას, რათა გაზეთის პარალიზება მომხდარიყო,"** - ასეთია ირაკლი ფირცხალავას წინასწარი ვარაუდი. მით უმეტეს, როგორც პოლიციის უფროსი აცხადებს, დაკავებულებმა იცოდნენ, რომ ხსენებულ სტამბაში "24 საათი" იბეჭდებოდა.

სხვათა შორის, "24 საათის" სტამბის გაქურდვა რამდენჯერმე უკვე მოხდა. როგორც თვითმხილველები ამბობენ, მათ სტამბის მიმდებარე ტერიტორიაზე შეამჩნიეს "მაღალი, ქერა ბიჭი". თვითმხილველთა მიერ დასახელებული მახასიათებლები ერთ-ერთი დაკავებულისას ემთხვევა.

დაკავებულებს ბრალდება ქურდობის მუხლით წაუყენეს და საქმეს დიდუბე-ჩუღურეთის საგამოძიებო დეპარტამენტი იძიებს.

24 საათი

ქართველი პარტიზანი სოხუმის ციხეში გარდაიცვალა

2001 წელს, კოდორის ხეობაში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს აფხაზების მიერ დატყვევებული ქართველი პარტიზანი ვალერი ჩხეტიანი, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში სოხუმის ციხეში იმყოფებოდა, გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა.

გარდაცვლილის ოჯახის წევრების ვარაუდით, აფხაზების ტყვე პარტიზანი სამი დღის წინ სოხუმში გარდაიცვალა, თუმცა, როგორ და რა ვითარებაში, ჩხეტიანის ახლობლები ვერ აკონკრეტებენ. "არა მარტო ჩვენ, შექმნილ ვითარებაში გარკვევის საშუალება აფხაზმა სეპარატისტებმა საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენლებსაც არ მისცეს", - აცხადებენ გარდაცვლილის ახლობლები და საქართველოს ხელისუფლებას დახმარებას და თანადგომას სთხოვენ, ამასთანავე, მომხდარზე პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებენ.

სოხუმის ციხეში მყოფი ქართველის ოჯახის წევრები, გავრცელებული ინფორმაციით, ქუთაისში, კლინიკური საავადმყოფოს ერთ-ერთ პალატაში გაჭირვებით ცხოვრობენ. "2001 წლიდან, აფხაზების მიერ ჩემი შვილის დატყვევების დღიდან მოყოლებული, დღემდე, მთავრობამ ჩემი შვილის გადასარჩენად არაფერი გააკეთა. სოხუმის ციხეში მის ასეთ გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალებას სწორედ ხელისუფლების უმოქმედობას ვაბრალებ", - აცხადებს აფხაზების ტყვეობაში წლების განმავლობაში მყოფი ვალერი ჩხეტიანის დედა.

24 საათი

ქუთაისელი მძღოლები გახშირებულმა ყაჩაღობამ ქუჩაში გამოიყვანა

ბექა სისაური
ქუთაისი

ქუთაისის მერია მიკროავტობუსის მძღოლებს კანონიერ ქურდებთან ალიანსში ადანაშაულებს.

ქუთაისში გუშინ დილიდან სამარშრუტო მიკროავტობუსის მძღოლები გაიფიცნენ და ცენტრალურ მოედანზე საპროტესტო აქცია მოაწყვეს. მძღოლების აღშფოთების საგანი გახშირებული ყაჩაღობის ფაქტები გახდა. საქმე ისაა, რომ უკვე ათი დღეა, ქუთაისში მიკროავტობუსის მძღოლებსა და მგზავრებს ყოველდღიურად აყაჩაღებენ. გახშირებულმა თავდასხმებმა კულმინაციას 3 დღის წინ მიაღწია, როდესაც ერთ დღეში დამნაშავეებმა ოთხი მიკროავტობუსი გაიტაცეს. როგორც მძღოლები აღნიშნავენ, უკვე დაკარგულია ათზე მეტი მიკროავტობუსი, ამიტომაც ისინი ხელისუფლებისგან დაცვას ითხოვენ. თუმცა, აქამდე არც ერთ დაზარალებულ მძღოლს პოლიციისთვის არ მიუმართავს.

სატრანსპორტო სფერო ქუთაისში წლების განმავლობაში "კანონიერი ქურდების" მიერ კონტროლდებოდა. მათ კუთვნილებაში იყო რამდენიმე მომგებიანი სამარშრუტო ხაზი და კრიმინალების თანმხობის გარეშე, მძღოლებს ხაზზე მუშაობა არ შეეძლოთ. ამ სფეროში "კანონიერი ქურდები" იმდენად შორს წავიდნენ, რომ ქალაქში მომუშავე თითოეული მიკროავტობუსის მძღოლი ვალდებული იყო, დღეში 2 ლარი ქურდებისთვის გადაეხადა. ისინი კი მათ დაცვას და ავტომობილის მოპარვის შემთხვევაში დაბრუნებას ჰპირდებოდნენ. როგორც ამბობენ, ბოლო პერიოდში მძღოლებმა აღნიშნული თანხის გადახდა ნელ-ნელა შეწყვიტეს, რის გამოც კრიმინალებმა ფულის ამოღების ახალი გზა მოძებნეს - მძღოლებს მიკროავტობუსებს ართმევენ და ფულს დაბრუნებაში ახდევინებენ. **"ყოველდღე გვაყაჩაღებენ და მანქანებს გვართმევენ, მარტო გუშინ 4 მიკროავტობუსი დაიკარგა. მანამდე კიდევ ექვსია დაკარგული. ჩვენი პატრონი არავინაა. მიკროავტობუსებს ჩვენვე ვეძებთ და დაბრუნებაში ფულს ვიხდით. არც მერიაა ჩვენს გვერდით და არც არავინ,"** - განაცხადა ერთ-ერთი მიკროავტობუსის მძღოლმა. გახშირებული ყაჩაღობის ფაქტზე პოლიციაში მხოლოდ ერთი საქმეა აღძრული. პოლიციელებმა აღნიშნული ინფორმაცია თავად გაიგეს და დაზარალებულს თავად მიაკითხეს სახლში. "აღნიშნული ყაჩაღობებიდან ჩვენამდე მხოლოდ ერთი ფაქტია მოსული, რომელზეც ვმუშაობთ. მე მძღოლებს ვთხოვე, დავხსდეთ, დავილაპარაკოთ და გავაკეთებთ, რაც საჭიროა-მეთქი. ისინი უკმაყოფილონი არიან, პოლიცია არ გვეხმარებაო, მაგრამ თუ გვერდით არ დამიდგნენ, მარტო მე ვერაფერს გავხდები," - აცხადებს ქუთაისის პოლიციის უფროსი თენგიზ მორჩაძე. მძღოლების გაფიცვასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია გააჩნია ქუთაისის მერიასაც. მერიაში მიაჩნიათ, რომ აქცია კრიმინალების ზეგავლენითაა მოწყობილი და სამარშრუტო ხაზებზე გამოცხადებულ ახალი ტენდერის ჩაშლას ისახავს მიზნად. საქმე ისაა, რომ მერია სექტემბერში ახალი ტენდერის ჩატარებას და სამარშრუტო ხაზების კრიმინალებისაგან გაწმენდას გეგმავს. **"მიკროავტობუსების მძღოლების აქცია გამოწვეულია ერთი მიზეზის გამო - უკვე მოახლოვდა ახალი ტენდერი, სადაც კრიმინალებს გამარჯვების შანსი არა აქვთ. აქცია რომ კრიმინალების მოწყობილია, ამ ეჭვს ისიც მიძლიერებს, რომ არც ერთი მძღოლი პოლიციასთან არ თანამშრომლობს, აქედან გამომდინარე, აშკარად ჩანს კრიმინალების კვალი. წინა ხელისუფლების დროსაც იყო ანალოგიური ზეწოლები, მაშინ დათმეს და თქვენ ხედავთ, რა შედეგებიც გვაქვს სახეზე,"** - განაცხადა ქუთაისის ვიცემერმა გივი ჯიბლაძემ.

ქუთაისში მიკროავტობუსების მოძრაობა გუშინვე განახლდა. მერიაში არ გამორიცხავენ, რომ მძღოლების მიმართ, შესაძლოა, დანაშაულის დაფარვის გამო სისხლის სამართლის საქმეც აღიძრას.

ასლან აბაშიძის ყოფილი პრესმდივანი დააკავეს

აჭარელმა სამართალდამცველებმა გუშინ ბათუმში, საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე აჭარის ტელევიზიის ყოფილი შეფი და ასლან აბაშიძის ყოფილი პრესმდივანი თამაზ ბაკურიძე დააკავეს.

შეგახსენებთ, თამაზ ბაკურიძეზე, თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და თანხების არამიზნობრივი ხარჯვის ბრალდებით, სისხლის სამართლის საქმე ჯერ კიდევ ასლან აბაშიძის მმართველობის პერიოდში აღიძრა.

გამოძიება ასლან აბაშიძესთან დაახლოებულ პირს ტელევიზიაში 1 მლნ ლარის გაფლანგვაში ედავებოდა. სისხლის სამართლის საქმის აღძვრისთანავე ბაკურიძემ პოლიტიკური განცხადებები გააკეთა და თავი პოლიტიკურ დევნილად გამოაცხადა. რევოლუციის დროს თამაზ ბაკურიძე ასლან აბაშიძეს განუდგა და ავტონომიის ლიდერისა და მისი გარემოცვის დანაშაულებრივ ქმედებებზე ალაპარაკდა.

ცოტა ხნის წინ ბაკურიძემ არასამთავრობო ორგანიზაცია "ევრაზია-მედიაცენტრი" დააფუძნა, რომლის მიზანს, ყოფილი პრესმდივნის განმარტებით, საქართველოში თავისუფალი მედიის განვითარება წარმოადგენდა. გავრცელებული ინფორმაციით, თამაზ ბაკურიძე ბათუმში, დაახლოებით, ერთი კვირის წინ ჩავიდა. მანამდე ის თბილისში იმყოფებოდა.

თამაზ ბაკურიძე რამდენიმე საათიანი დაკითხვის შემდეგ, აჭარის შსს-ს წინასწარი დაკავების იზოლატორში გუშინვე გადაიყვანეს.

24 საათი

საზოგადოება

რაჭველები „ჯეოსელის" ანძას ვერ შეეწყვნენ

ზემო რაჭის სოფელ "გომის" მოსახლეობა სოფლის გამგებელს დაუპირისპირდა და, თურმე, დღე არ გავა, მათ შორის კამათი სერიოზულ სიტყვიერ "შელაპარაკებაში" არ გადაიზარდოს. ყველფრის მიზეზი კი "ჯეოსელის" გადამცემი ანძა ყოფილა. "ჩვენი რაიონის სხვა სოფლებს ჩვენზე უკეთესი გამგებელი ჰყავთ და ამ ანძას ისე მოუარეს, როგორც საჭირო იყო. ჩვენი გამგებლისგან კი, დახმარების მაგიერ, ლანძღვა-გინებას ვიღებთ", - ჩივიან გომელები.

ნანა ქადაგიშვილი

საქმე ისაა, რომ "ჯეოსელმა" გადმცემი ანძის დადგმა ონის რაიონის სოფელ "გომშიც" გადაწყვიტა და დადგა კიდეც. მართალია, ანძა ჯერ არ მუშაობს, მაგრამ გომელები მის მიმართ უკვე მტრულად არიან განწყობილნი. დამცავი მექანიზმი არ აქვს და დაგვაავადებსო, - შიშობენ; არ აკონკრეტებენ, ასეთი დასკვნა საიდან გამოიტანეს. **"ვიცით, - ამბობენ, - თქვენც ხომ იცით, რომ ასეა. ორი წლის წინათ "მაგთის" ანძა დააყენეს, დამცავი მექანიზმი არც იმას აქვს. ორი წელია, სოფელში სიმსივნურმა დაავადებებმა იმატა; თითქმის, ყველას თავის ტკივილები გვაწუხებს. ახლა "ჯეოსელის" ანძას რომ დაგვიდგამენ, მაშინ რაღა მოგვივა. რაჭაში ერთი ჰაერიღა დაგვრჩა, და ამასაც გვიწამლავენ. სოფლიდან მოშორებით მაინც დაედგათ, მაგრამ ტრანსპორტირებაზე მეტი ფული დაეხარჯებოდათ და ამიტომ შიგ სოფელში ჩაგვიდგეს ორივე. ჩვენს გამგებელს ვერაფერი გავაგებინეთ. ალბათ, ფინანსურად არის დაინტერესებული. დაგვცინის, - ჩამორჩენილები ხართო. სხვა სოფლებშიც დადგეს ანძები, მაგრამ იქაურ მაცხოვრებელებს გამგებლები ამოუდგნენ მხარში, ანძები მოხსნეს და ჯართად ჩააბარეს. არც ჩვენ დავიხევთ უკან, არ გავჩერდებით",** - იმუქრებიან გომელები და მთავრობისგან რეაგირებას მოითხოვენ.

"გომის" გამგებელი თამაზ მეტრეველი კი ამ აჟიოტაჟის წამოწყებას ვინმე "ინტრიგან ქალაქელს" აბრალებს. **"ვიღაც ინტრიგანი ქალაქელი ჩამოვიდა სოფელში და აქაურები აიყოლია. დააჯერა, - ასეთი ანძები თბილისში, გორსა და ქუთაისში არ დგას და რაღა ჩვენთან უნდა დადგანო. სოფელში ერთი რომ აიკვიატეს ეს აზრი, ვეღარ გადავათქმევინე. მაგ ანძას დამცავი მექანიზმი მართლაც აქვს თუ არა, ვერც მე მივხვდები და ვერც ეგენი. პროფესორები და სპეციალისტები იმიტომ გვყავს, რომ იმათ გადაწვიტონ. ამას წინათ "მაგთის" ხელმძღვანელობა იყო ჩამოსული, ყველა საჭირო დოკუმენტი ჩამოიტანა, მაგრამ ხალხმა მაინც არ დაუჯერა. "ჯეოსელის" ხელმძღვანელობაც აპირებს ჩამოსვლას, მაგრამ რა"?** - თანასოფლელებზე არანაკლებ აღშფოთებულია გამგებელი.

"ჯეოსელის" წარმომადგენლები კი რაჭის მოსახლეობას არწმუნებენ, რომ საშიში არაფერია და ცრუ პანიკაა ატეხილი. **"გადამცემი ანძა, შესაბამისი სანიტარული პასპორტის გაფორმების გარეშე, არავითარ შემთხვევაში არ დაიდგმება. "ჯეოსელი" ამ სანიტარული პასპორტით ხემძღვანელობს, პასპორტში კი განსაზღვრულია, გამოსხივება რა ფარგლებში უნდა ჯდებოდეს; ანტენა დასახლებული პუნქტიდან რა მანძილით უნდა იყოს დაშორებული. თუკი გადაწყვიტეს, რომ ანძა სოფელში უნდა დაიდგას და არა მისგან მოშორებით, ალბათ, ასეა საჭირო. ანძა ისე იდგმება, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისა და მომხმარებლისთვის არის უმჯობესი. როცა მოსახლეობას პრეტენზია აქვს, ჩვენი ხელმძღვანელობა ჯანდაცვის სამინისტროს ან ტექნიკური უნივერსიტეტის დამოუკიდებელ ექსპერტთან ერთად ყოველთვის მიდის ადგილზე. ალბათ, რაჭაშიც ჩავალთ და გომელებს ავუხსნით, რომ "ჯეოსელის" ანძა მათ ჯანმრთელობას არავითარ საფრთხეს არ შეუქმნის",** - აცხადებს "ჯეოსელის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი მანანა დულარიძე.

სტატიაში მოცემულია მთელი წყება კითხვებისა: შეუძლია თუ არა ადამიანს დატოვოს სამუშაო ადგილი თავისი სურვილით; არის თუ არა იგი ფიზიკური, სექსუალური ან ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ; თან აქვს თუ არა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა; როგორ უხდიან და რა პირობებში ამუშავებენ; სახლში ცხოვრობს თუ იმ შენობაში, სადაც მუშაობს; თუ უცხოელია, რა გზით მოხვდა ამ ქვეყანაში; ხომ არ დაუშინებია ვინმეს თავად ის ან მისი ოჯახის წევრები; ხომ არ აქვს იმის შიში, რომ აუცილებლად ცუდი დაემართება მას ან მის ოჯახის წევრებს, იმ შემთხვევაში, თუ იგი სამუშაოს დატოვებს? თუ ამ კითხვებზე შესაბამისი პასუხი მიიღეთ, ჩათვალეთ, რომ თქვენს წინაშე ჯოჯოხეთგამოვლილი ადამიანი დგას, რომელსაც თქვენი და მთელი საზოგადოების დახმარება სჭირდება. სამწუხაროდ, ასეთების რიცხვი დღითიდღე იზრდება.

გამოიცვანით ტრეფიკინგის მსხვერპლი

ადამიანებით ვაჭრობას იმდენად ხანგრძლივი ისტორია აქვს, მისი ფესვები იმდენად მყარი და ძლიერია, რომ ეს პრობლემა XXI საუკუნეშიც აქტუალურია. მართალია, ვაჭრობის ამ სახეობის მეთოდები და სახელწოდება შეიცვალა, მაგრამ მისი შედეგი ისევ უცვლელია: სულიერად და ფიზიკურად განადგურებული ადამიანი, რომელსაც ხანგრძლივი რეაბილიტაცია სჭირდება, რომ ცხოვრებას დაუბრუნდეს. მაინც ვინ ხდება ტრეფიკინგის მსხვერპლი; შესაძლებელია თუ არა მათი ამოცნობა? გასულ თვეში აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ საიტზე განთავსდა სტატია, სახელწოდებით "როგორ შეიძლება გამოვიცნოთ ტრეფიკინგის მსხვერპლი", რომელიც ზოგად წარმოდგენას გვიქმნის ტრეფიკინგის წარმოშობის სოციალურ ფაქტორებსა და მსხვერპლზე.

ნინო ჩიკარაძე

სტატია საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ტრეფიკინგის მსხვერპლი, როგორც წესი, ცდილობს, არაფერი თქვას თავის წარსულზე. მიზეზი? - მოძალადის სახე, წარსული მონური ცხოვრება სამუდამოდაა ჩაბეჭდილი მის გონებაში; მისი და მისი ოჯახის წევრების მისამართით ოდესღაც გამოთქმული მუქარა ისევ შიშის ზარს სცემს და, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აღარ უნდა იმ ჯოჯოხეთში დაბრუნება, რომელშიც ამდენ წელიწადს იტანჯებოდა. ეს ჯოჯოხეთი კი, შეიძლება, ნებისმიერმა ადამიანმა გაიაროს, სოფლის მკვიდრი იქნება იგი თუ ქალაქის, თუკი მაღალანაზღაურებადი სამუშაოსა და საზღვარგარეთ ცხოვრების შემომთავაზებელ, თავბრუდამხვევი განცხადებების ავტორებს ბრმად ერწმუნება.

სტატიის მიხედვით, არსებობს რამდენიმე "ხილული" ნიშანი, რომლის საშუალებითაც, შეიძლება მიხვდე, რომ ადამიანებს, ამა თუ იმ დაწესებულებებში, თავიანთი სურვილის წინააღმდეგ ამუშავებენ. ესენია: კომერციული შენობების გაძლიერებული დაცვა; დახურული ფანჯრები; ჩარაზული კარები; სათვალთვალო კამერები; ასეთი შენობები ქალაქიდან საკმაოდ მოშორებულ ადგილას მდებარეობს. ტრეფიკინგის მსხვერპლს ეკრძალება სამუშაო ადგილის დატოვება დაცვის გარეშე. გაძლიერებულია დაცვა იმ შემთხვევაშიც, როცა მსხვერპლი ავადაა და საჭიროა მისი საავადმყოფოში დაწვენა და მკურნალობა. ასეთ სიტუაციაში მოძალადე, როგორც წესი, ავადმყოფის "თარჯიმნის" როლში გვევლინება ხოლმე.

ტრეფიკინგის მსხვერპლი განიცდის დიდ ფსიქოლოგიურ ზეწოლას. მის დამორჩილებას გამუდმებული მუქარით ცდილობენ. მისი ცხოვრება მთლიანად გაკონტროლებულია მოძალადეების მიერ; და არც არის გასაკვირი, რომ ასეთ ადამიანებს სერიოზული პრობლემები აქვთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით. მათ შორისაა სექსუალური გზით გადამდები დაავადებები; სექსუალური ძალადობისა და გაუპატიურების ნიშნები; სხეულზე სისხლჩაქცევების კვალი, გატეხილი ძვლები; დიაბეტი, კიბო, გულის სერიოზული დაავადებები; სტრესი და ფსიქიკური აშლილობა.

ფიზიკური თუ სულიერი მიმანიშნებლების გარდა, არსებობს სხვადასხვა ფაქტი იმის დასტურად, რომ ადამიანი მოძალადის ხელშია. კერძოდ, ის, რომ მას ხელთ არ აქვს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები; მისი ფულიც მთლიანად სხვის - ამ შემთხვევაში, მოძალადის ხელშია; ხალხში ყოფნისას ძალიან ნერვიულობს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ე.წ. "თარჯიმანი" მასთან ახლოს იმყოფება.

სტატიაში მოცემულია მთელი წყება კითხვებისა: შეუძლია თუ არა ადამიანს დატოვოს სამუშაო ადგილი თავისი სურვილით; არის თუ არა იგი ფიზიკური, სექსუალური ან ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ; თან აქვს თუ არა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა; როგორ უხდიან და რა პირობებში ამუშავებენ; სახლში ცხოვრობს თუ იმ შენობაში, სადაც მუშაობს; თუ უცხოელია, რა გზით მოხვდა ამ ქვეყანაში; ხომ არ დაუშინებია ვინმეს თავად ის ან მისი ოჯახის წევრები; ხომ არ აქვს იმის შიში, რომ აუცილებლად ცუდი დაემართება მას ან მის ოჯახის წევრებს, იმ შემთხვევაში, თუ იგი სამუშაოს დატოვებს? თუ ამ კითხვებზე შესაბამისი პასუხი მიიღეთ, ჩათვალეთ, რომ თქვენს წინაშე ჯოჯოხეთგამოვლილი ადამიანი დგას, რომელსაც თქვენი და მთელი საზოგადოების დახმარება სჭირდება. სამწუხაროდ, ასეთების რიცხვი დღითიდღე იზრდება.

მოკლედ

ოპერაცია "ჟუჟუნა-2004"

გუშინ გამთენიისას თბილისის პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმმა და დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა წერეთლის გამზირსა და თამარ მეფის ხიდზე ჩატარებული რეიდისას 25 მეძავი აიყვანეს. რეიდს, პირობითად, "ჟუჟუნა 2004" ერქვა.

"მეძავების დაკავების ღონისძიება მოქალაქეთა წერილებისა და მოთხოვნის საფუძველზე განხორციელდა. დაკავებული მეძავები ვენერიულ დისპანსერში გავგზავნეთ შემოწმებაზე. სავარაუდოდ, ოცდახუთივე მათგანი ვენერიული სნეულებებითაა დაავადებული, რის გამოც ისინი დისპანსერში იძულებითი მკურნალობის კურსს გაივლიან", - აცხადებენ სამართალდამცველები.

გუშინ, გვიან ღამით დაკავებული მეძავების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეები არ აღიძვრება, რადგან, მოქმედი კანონის შესაბამისად, მეძავეობა სისხლის სამართლით დასჯადი ქმედება არ არის.

24 საათი

ნარკოტიკის მომხმარებელი არასრულწლოვანი გოგონების რაოდენობა საბანგაშოა

ხონის რაიონის სამართალდამცველები ნარკოტიკების მომხმარებლებს დაუნდობელ ბრძოლას უცხადებენ. საქმე ისაა, რომ, როგორც გაირკვა, რაიონში ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელი არასრულწლოვანი გოგონები მომრავლდნენ. ხონის პოლიციის არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციის უფროსი ნანა ჩხეიძე რაიონში ამ მხრივ არსებულ მდგომარეობას საგანგაშოდ აფასებს. მისი განცხადებით, "გამოვლენილია 42 მოზარდი, მათ შორის - 4 გოგონა, რომლებიც მძიმე ეკონომიკურ პირობებში ცხოვრობენ, სკოლაში სიარულს თავს არიდებენ და რეგულარულად მოიხმარენ ეგრეთ წოდებულ "ანაშას".

როგორც ინსპექციაში ვარაუდობენ, რაიონში ამ კატეგორიის მოზარდთა რეალური რაოდენობა გაცილებით დიდია. სკოლების დირექტორები თავად მიუთითებენ, რომ მე-10, მე-11-კლასელები, მათ შორის - გოგონებიც, შედარებით იაფფასიან ნარკოტიკებს ხშირად მოიხმარენ.

ინტერ-პრესი

ორი სიტყვით

ზუგდიდი. დილის შვიდი საათიდან საღამოს შვიდ საათამდე ზუგდიდის მერიის წინ საპროტესტო აქცია მიმდინარეობდა.

რამდენიმე დღის წინ, ზუგდიდის მერიისა და საკრებულოს გადაწყვეტილებით, სოფლებიდან მომავალი ავტობუსების სადგომი ბაზრის ტერიტორიიდან სადგურში გადაიტანეს და 45 სოფლიდან ჩამოსულმა გლეხმა, პროდუქტის ბაზრამდე მისატანად, დამატებით 2-3 ლარი უნდა გადაიხადოს.

რაც შეეხება ხელისუფლების გადაწყვეტილებას, განტვირთოს ბაზრის ტერიტორია, მოხდეს ავტომანქანების ზუსტი რეგისტრაცია და ავტოსადგომის შემოსავალი სრულად შევიდეს ბიუჯეტში, მოსახლეობის განცხადებით, არ სრულდება. მათ დააფიქსირეს კერძო ეზოებში შეყუჟული სარეისო ავტობუსები, რაც სამართლიანად იწვევს ხალხის დაეჭვებას - ვიღაცის ინტერესებს და კორუფციას ეწირება გლეხების შემოსავალი. აქციის მონაწილეები იმედოვნებენ, რომ მერიის და საკრებულოს ხელმძღვანელობა მათ ხვალ მაინც შეხვდება. აქცია, მონაწილეების განცხადებით, ხვალ დილიდან განახლდება. **24 საათი**

■ ■ ■

თბილისი. იუსტიციის სამინისტრო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ახალ პროექტზე მუშაობს, რომლის ერთ-ერთი თავი - საპროცესო იძულების ღონისძიებები - იურისტებს სადისკუსიოდ თავად სამინისტრომ შესთავაზა. კოდექსი, რომელიც უზენაეს სასამართლოში სამი წლის წინათ შექმნილმა კომისიამ შეიმუშავა, ახალმა ხელისუფლებამ დაიწუნა და ახლის მომზადება დაიწყო. ახალი პროექტის თანახმად, პირის წინასასამართლო პატიმრობა სისხლის სამართლის საქმეზე 100 დღეში უნდა დასრულდეს. სასამართლო პატიმრობა კი 6 თვეს არ უნდა აღემატებოდეს (დღეისათვის წინასასამართლო პატიმრობის ვადაა 9 თვე, ხოლო სასამართლოში - ორ წელზე მეტია), ბრალდებულს და მის ადვოკატს ნებისმიერ დროს შეუძლიათ გაასაჩივრონ პატიმრობის სანქცია, თუ ამის საფუძველი აქვთ. პროექტში ბევრი სხვა სიახლეა პირის დაკავებასთან ან თავისუფლების სხვაგვარ შეზღუდვასთან დაკავშირებით. იუსტიციის მინისტრის გიორგი პაპუაშვილის თქმით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ახალი პროექტი საზოგადოების სამსჯავროზე დეტალურად განსახილველად გავა, ვინაიდან პარლამენტში უკვე შეჯერებული ვარიანტი უნდა წარდგეს. **მედია-ნიუსი**

შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გაეცანით გენერალური დირექტორის "ხალხის პირისპირ" სექტემბრიდან კვლავ გაეცნობით რუბრიკაში 2-ის პირველი. გაეცანით დეტალურად, ასე რომ შეგ ასევე გაგიადვილდეთ პროექტის. ინტერვიუ, გამოგვიგზავნეთ ანკეტები და შეხვედრები

საინფორმაციო კომპანია "ხალხის პირისპირ" ან ანკეტა, ელფოსტის, ტელეფონის ან ასო ინფორმაციის. "ხალხის პირისპირ". ელფოსტა ინფორმაციის, რედაქციისთვისაც ასევე ინფორმაციის. ეს ანკეტა შეავსოთ ისინი მონაწილეთ პრეს "ხალხის პირისპირ" წესებს და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

გლანი შეასრ.

სამოუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ", ვაჟა-ფშაველას 45, 380077 თბილისი



პროექტისთვის ტელევიზორისთვის "ხალხის პირისპირ" შეიძლება ანკეტის სამუშაოდ, პირველ მეზობელ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი	ოჯახური მდგომარეობა: დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი
მისამართი:	შვილები: (ვის რამდენი)
საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:	განათლება: საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური
დამხმარე კატეგორია: (მუშაობდით თანამედროვე, ორიენტირებ თანამედ უმაღლესი შემდეგ, ინფორმაციის ტელეფონის "ხალხის პირისპირ" ან, ან ან-ნებ მუშაობ, ზე ა ც)	პროფესია:
ასაკი:	საშუშაო ადგილი

გთხოვთ, დაკრძალი ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. მაზე სხვ გარეშეული უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათის უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.

თქვენი ინტერესები და ჰობი:	შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?	როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?
გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ კონკრეტული ადგილებიდან, სადაც ის ყოფილ)	თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?	დღეს რომ მოგცენ 2000 დარი, რას გააკეთებდით?
არჩევანი რომ გქონდეთ, სად ნახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?	ფილმი რომ გადაელოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?	
გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?	ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:	
მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?	რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?	
გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?	რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?	
გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა ყბიდან ბუმბულის "ფრენის ტრენის" შეგიძლია, ან გაიგონოთ მაგალითად ფრენის ბიჭის?)	ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:	
უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?	როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?	
არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?	რა ჟანრის ფილმებს მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?	
რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?	გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (სად, როდის და რა გამოვიდით)	
რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?	რატომ გიწდათ, მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?	

„ხალხის პირისპირ" – ეს არის გვლეშიჭორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

შეავსეთ გლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ. შეკითხვების მილება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს).

შეკითხვები არ მიიღება გაზეთის ტელეფონით

შეკითხვის ტექსტი:	პასუხის ტექსტი:
1	
2	
3	
4	
5	

სახელი და გვარი

ბინის მისამართი

საშინაო ტელეფონის ნომერი

ბინის ტელეფონის ნომერი

მობილური ტელეფონის ნომერი

წესები კითხვებისთვის

კითხვები გაიგზავნება "ხალხის პირისპირ" მოდება მოგვიანო ზემოთ მოცემული მისამართით ან ტელეფონით ტელეფონის მისამართზე სამუშაოდ კომპანია "რუსთავი 2", ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ", ვაჟა-ფშაველას 45, 380077 თბილისი. ან მოიტანეთ პირადად მისამართზე და ჩაიდეთ პირდაპირ სპეციალურ ყუთში.

სამუშაოდ კომპანია "რუსთავი 2" უფლებას იტოვებს გაიგზავნის ინტერესისთვის გამოსწორებაზე ტელეფონით შეიტანოს ან არ გამოიყენოს თქვენი შეკითხვა. "რუსთავი 2" არ ინახავს გაიგზავნილ - გამოყენებული თუ არა თქვენ ხელს მიწერილებით შეკითხვას.

პირველ შეკითხვა უფლება აქვს ერთხელ სრულდეთ.

ამ პირველში შეკითხვა სამუშაოდ ხელით შეკითხვა. შეკითხვაში შეკითხვა და გამოყენებული კითხვები ტელეფონით პირველით.

თუ ვინმეს გაქვთ ჩვენს წესებს, გთხოვთ, ხელი მოაწეროთ პირველს და მიუთითოთ შეკითხვის თარიღი.

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

მისი განუმეორებელი ბარიტონი - შეუდარებელი პოეზიაში

B2

ბექჰემების ოჯახში კვლავ განგაშია

დევიდი და ვიქტორია გააფრთხილეს, რომ ბავშვებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ.

B5

"გაუკუღმართებული" გარემოს მოწესრიგების ქალაქთმშენებლობითი პოზიციები

B6

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

ნოდარ ლადარია

გასული კვირა, შეიძლება ითქვას, საზოგადოებრივ ფრონტზე გაზეთის მასშტაბური შეტევის მაგალითი იყო... ეჰ, პირველივე წინადადებაში ჩავიჭერი: რაღაც აწ უკვე საყოველთაოდ დავიწყებულმა დამრია ხელი. რას იზამ, როცა ამის საბაბს თვით ის გაზეთი გაძლევს, რომლის ყველა ნომრის წაკითხვაც გევალება! ამ საბაბში კი ერთ პუბლიკაციას ვგულისხმობ: **თარხან არჩვაძე**, არა *მარტო წარსულის დიქტატორთა ზეთი* გვაფხიზლებს და ცდილობს, რომ არავინ მოგვატყუოს.

ეს ხოტბაც ძალიან ვრცელი გამომივიდა, მაგრამ ჩემი პათოსი ერთი რამითაა გამოწვეული: ამ ბოლო დროს ისე მეშინია, საყოველთაო სიბნელემ არ მოგვიცვას და საკუთარი უბადრუკობის განდიდებაში არ ჩავიხრჩოთ, რომ ყველაფერი, რაც კი ოდნავ მაინც ხელს უწყობს საზოგადოების აღზრდას, ჩემზე ძალიან ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს. ერთი სიტყვით, მთავარი თემების ახლადდამკვიდრებული პრაქტიკა *სახელები* (2 აგვისტო). ავტორი კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებს საბჭოთა პოლიტიკურ ელიტას რუსულ პრესაში გორბაჩოვისეული "პერესტროიკის" დროს გამოქვეყნებული სტატიების საფუძველზე! აბა, განა პირველხარისხოვანი შემეცნებითი მნიშვნელობა არა აქვს ჩვენთვის იმას, თუ რას წერდა ვინმე როი მედვედევი ხრუშჩოვსა და მიქოიანზე? — თანაც გულს გიჩუყებს ავტორისეული რემარკა: "**ჟურნალი "სმენა", ნომერი აღარ მახსოვს, 1989-1991 წწ.**" მოდი და ნუ გაოცდები! — რაღა დროს ლავრენტი ბერიას დახვრეტაზე ტირილია: "**ამ ასპექტში მაინც გაკვირვებას იწვევს ანასტას მიქოიანის საქციელი, რატომ გაწირა მან პატარა ერის შვილი?**". ასეთ შეკითხვებს **მელორ სტურუაც** კი აღარ სვამს — მადლობა ღმერთს, ამ კვირაში არ გვქონია მისი პუბლიკაციების წაკითხვის საშუალება, თორემ ხომ დაჩრდილავდა დასაწყისში ნახსენებ ფართო შეტევას!

ახლა კი სერიოზულად: შეტევა ნამდვილად საინტერესო და ღირებული გამოდგა: ტყე ვერ შევუნახეთ შვილებსა (2 აგვისტო), ადამიანის გატაცება (3 აგვისტო), "თბილავიამშენს" "თბილავიამშენის" ფასად ყიდულობენ (4 აგვისტო), მიწისზედა ტრანსპორტი (5 აგვისტო), დანგრეული გზები (6 აგვისტო), ქართული თემიდა (7 აგვისტო). მაპატიოს მკითხველმა ეს გრძელი ჩამონათვალი, მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო ორი რამ: რეგულარობა და განხილვის ფართო დიაპაზონი. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი სხვა რამაა: ჯერ ერთი, მოცემული თემებიდან ძალიან ცოტაა საკუთრივ პოლიტიკური (ამ სიტყვის ჩვეული გაგებით, როცა პოლიტიკად პოლიტიკოსთა საჯარო და პირადული ყოფა იგულისხმება), და მეორეც, გაზეთი თითქოს ჩვენს ყურადღებას მიმართავს იმისკენ, რასაც ვერ ვამჩნევთ, რაც მიგვავიწყდა, რასაც მივეჩვიეთ. გასაინტერესოა, იძულებით გადაადგილებულთა შორის ისინი უფრო მეტნი არიან, ვინც "24 საათის" ოთხშაბათის ნომერში ეგრეთ წოდებულ აფხაზურ გვერდს ავსებს სანტიმენტალური ისტორიებით, თუ **გოჩა ფიფიას** ისეთი გაბედული თანამოაზრენი, ხმის ჩახლეჩამდე რომ ანთხევენ სიძულვილს ტელეკამერის წინ?

განა ეს სიძულვილი ნებისმიერ იარაღზე უფრო ძნელად გადასალახი დაბრკოლებაა არაა საქართველოს გამთლიანების გზაზე? განა რუსეთის სახელმწიფო დუმაზე უფრო მნიშვნელოვანი მტერი ჩვენი გულის სიღრმეში არ იმალება? საწყენი კი ისაა, რომ ამ მტრის გამოსაჩენად რუსთაველის პროსპექტიდან ვარკეთილში ან ავჭალაში გადასახლების პერსპექტივამ იკმარა...

მაშ ასე, აქ, როგორც ვხედავთ, ზნეობრივი პრინციპების პრობლემამ იჩინა თავი. ამ მიმართულებით სათანადო მაგალითებიც მოგვეპოვება გასული კვირის "24 საათში". ზნეობრივ პრინციპებს **ნინია კაკაბაძემ** საგანგებოდ თავისი სვეტიც მიუძღვნა 6 აგვისტოს: *რას ნიშნავს ჩვენთვის სიტყვა პრინციპი*. მოვიყვანოთ სტატიიდან ერთი ადგილი: "**ერთი ტელესახე რამდენიმე ხნის წინათ კონკურენტ ტელესახეებს თუ არხს ხუთმილიონიანი მაყურებლის წინაშე გიორგი სანაიას მკვლელს უწოდებდა. დღეს მან "მკვლელებთან" თანამშრომლობა აღადგინა. მერე რა, ეტყობა წამოცდა, ან სულაც ვის ახსოვს, ვინ როდის რა თქვა. მთავარია, რომ ამ ეტაპზე ეს "მკვლელები" მეტს უხდიან**". ვერ დავიქადნი, რომ ზუსტად მივხვდი, ვისზეა საუბარი, მაგრამ სტატია ისეთი პათოსითაა დაწერილი, ისეთი რისხვით, რომ უცნობ ობიექტს მის წაკითხვაზე ალბათ წარბები კიდევ უფრო მაღლა აეჭიმება.

მაგრამ აშკარა უპრინციპობაზე უფრო სახიფათო ფარული, ან, მდაბიურად რომ ვთქვათ, ლატენტური უპრინციპობაა. ფარული იმ თვალსაზრისით, რომ რაღაცას უკან ამოეფარება ხოლმე. ჩვენს შემთხვევაში თავშესაფარი მართლაც რომ სასიამოვნო საჩუქარივით მივიღე.

ქართულ პრესას ხმა დაუბოხდა და დავაუკაცების პერიოდში შევიდა.

იქნებ, ამ დაბოხებული ხმით მაინც გავაგონოთ რამე სასტუმრო "ივერიაში" მცხოვრებ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომლებსაც უმრავლესობა ლტოლვილებს უწოდებს, უმცირესობა კი — დევნილებს. ერთი სიტყვით: მართლები არა ხართ, ძმანო და დანო! იმიტომაც, რომ შვიდი ათასი დოლარით ნამდვილად შეიძლება საარსებო პირობების გაუმჯობესება; იმიტომაც, რომ ცენტრიდან მოშორებით საკუთარ ბინაში ცხოვრება გაცილებით უფრო ღირსეულია, ვიდრე ქალაქის ცენტრში სამოწყალოდ თავის შეფარება; იმიტომაც, რომ ამ წლების განმავლობაში ბევრ თქვენი ბედის მოზიარეზე უკეთესად ცხოვრობდით და ახლაც მათზე უკეთესი ბედი გერგოთ. მაგრამ არც ესაა მთავარი: გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ორი რამაა. პირველი ის, რომ სასტუმრო "ივერია" თქვენი საკუთრება არაა. მეორე კი ის, რომ ლტოლვილობის განცდა უკვე ბუნებაში გაგიჯდათ და ცხოვრების პრინციპად გექცათ...

მოვლენას "24 საათმა" ჯერჯერობით მხოლოდ **ნანა ქადაგიშვილის** მცირე მასალა მიუძღვნა (*დევნილებს "ივერია" არ ეთმობათ*, 7 აგვისტო). იმედია, ახლო მომავალში დევნილობის ფენომენს უფრო სერიოზული ანალიზი დაეთმობა — სერიოზული და მიუკერძოებელი, პოლიტიკური კონიუნქტურისაგან თავისუფალი. განა საკუთარ მოქალაქეებზე ზრუნვა მხოლოდ მატერიალური საზომით განისაზღვრება? აი, მოვისმინოთ სტატიაში მოყვანილი ერთ-ერთი განცხადება: "**არც ერთი დევნილი აქედან ფეხს არ მოიცვლის, ვერავინ შეგვაშინებს, 7 ათას დოლარად თვითონ იყიდონ ბინები, თუ კარგია**". იქნებ ამ განცხადების ავტორმა ერთი მოათვალისაცემია: 3 აგვისტოს ნომერში, რუბრიკაში "თვალსაზრისი" გამოქვეყნდა სტატია სათაურით *ილიას კვალზე*, რომელსაც ხელს აწერენ თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის დოცენტები **ნანა გონჯილაშვილი, მაკა ელბაქიძე, ინგა სანიკიძე, თამარ შარაბიძე**. სტატია იწყება ილია ჭავჭავაძის ციტირებით: "**ყმაწვილკაცობა უნდა მომზადდეს ბეჯითის და ზედმიწევნითის ცოდნით, უნდა, რამდენადაც შესაძლოა, ძირეულად შეისწავლოს ევროპიული მეცნიერება, წინ წაძღვაროს ევროპის გამოცდილება და ამ თოფ-იარაღით შეუდგეს ჩვენი ქვეყნის საქმეს**". აზრი, როგორც ვხედავთ, ანკარა და გამჭვირვალეა. დავუყენოთ მას გვერდით ჩვენი დოცენტების კომენტარი. გადაიკითხეთ კიდევ ერთხელ და სრულიად აშკარა გახდება, რომ ამგვარი ადვოკატურა არათუ სრულიად ზედმეტია ილიასათვის, არამედ დამაცირებელიც: "**ილია ჭავჭავაძის ნააზრევი აქტუალურია დღესაც, 21-ე საუკუნის გარიჟრაჟზე, როცა გარკვეულ ისტორიულ-ეპოქალურ გზის გასაყართან მდგომ ჩვენს ქვეყანას შემდგომი წინსვლისთვის, თვითდამკვიდრებისთვის, პირველ ყოვლისა, მაღალგანვითარებულ ქვეყნებთან ინტეგრირება, მსოფლიო გლობალურ პროცესებში ჩართვა ესაჭიროება, რაც მხოლოდ სათანადოდ მომზადებული, ერუდირებული საზოგადოების ძალისხმევით თუ მიიღწევა**". უჰ! — სული მოვითქვათ. მით უმეტეს, რომ საბაბი გვაქვს, გამოვიყენოთ საქართველოს პრეზიდენტის საყვარელი გამოთქმა: ბჟუტიანი. მაინც რისთვის დასჭირდათ ილია ჭავჭავაძის სიცხადისათვის ასეთი რიდის მოსხმა (გარკვეული ისტორიულ-ეპოქალური გზა, მსოფლიო გლობალური პროცესები, ერუდირებული საზოგადოება)? — არაფერი რომ არ შეგვეშალოს და ობსკურანტიზმი არ დავწამოთ სტატიის ავტორებს. ნახეთ, რა კარგი უნდათ ჩვენთვის! ეს კი რისთვის დასჭირდათ? — იმისთვის, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული დოკუმენტი, "ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები" გააკრიტიკონ.

მაგრამ ძირითად სამიზნედ კვლავაც განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინტერვიუ რჩება, რომელიც გაზეთ "ხვალინდელ დღეში" 29 აპრილს გამოქვეყნდა. ოთხი ავტორის სტატიის მესამედი ციტირებულის მსგავს რიტორიკულ ვარჯიშსა და მინისტრის ინტერვიუსთან მსუბუქ კინკლაობაზე იხარჯება. მესამედის შემდეგ, როგორც იქნა, გვხვდება სიტყვა "დავიწყოთ". იწყებენ დოკუმენტის დებულებით, რომელიც "**მოსწავლეებში ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი პატივისცემას, მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური აღქმისა და შეფასების უნარის ჩამოყალიბებას გულისხმობს**". მერე მოჭარბებული ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის საჩვენებლად აღნიშნავენ, რომ "**ერთი შეხედვით, ამ დებულებაში არაფერია მიუღებელი და სადავო**". ნეტა ორი ან სამი შეხედვით რას აღმოაჩენთ სადავოს **ამ დებულებაში**? ავტორები მიგვანიშნებენ: "**გასარკვევია, რას გულისხმობენ პროექტის შემდგენლები ფრაზა "ლიტერატურული მემკვიდრეობის" ქვეშ**". ღმერთმანი, ცუდი ქართულია. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ამ საკითხის გასარკვევად ისინი კვლავ მინისტრის ინტერვიუს მიმართავენ და პასუხს იქ ეძებენ. საკითხავია, რა კავშირია სამინისტროს მიერ რამდენიმე თვის განმავლობაში ცხარე კამათისა და ღრმა მსჯელობის შედეგად მიღებულ დოკუმენტსა და მინისტრის საგაზეთო ინტერვიუს შორის? ეს ინტერვიუ მე არასოდეს მიმაჩნდა რაღაც საგანგაშო მოვლენად და ეს მითქვამს კიდეც თავის დროზე. მაგრამ კითხვა კითხვად რჩება: რა გვაძლევს უფლებას გამოვიყენოთ ერთი კაცის საგაზეთო ინტერვიუ მთელი კოლექტივის მიერ შედგენილი დოკუმენტის განსახილველად? მაგრამ ეს ერთ კაცი მინისტრიაო, გვეტყვიან. იქნებ ჩვენს ავტორებს ჰგონიათ, რომ ქართველ ხალხს ისევე აკანკალებს სიტყვაზე "მინისტრი", როგორც თვითონ ეამაყებათ სიტყვა "დოცენტი"? მაგრამ ეს ყველაფერი, მსოფლიო გლობალურ პროცესებში ჩართული ერთი უბნელი ერუდიტისა არ იყოს, "რიჟა ბაზარია", ჩვენი ავტორები კი პატარა თაღლითები ყოფილან. რაო, ზედმეტად მკაცრი აღმოვჩნდი? — ახია მათზე: არ შეიძლება ტექსტის კრიტიკა იმისთვის, რაც მასში არ წერია!

ამის მაგიერ ყურადღებით უნდა წავიკითხოთ, რა წერია. მაგალითად, ავტორები დოკუმენტის შემდგენლებს საყვედურობენ: "**სასურველი იქნება, თუ პროექტსა ან მის დანართში წარმოდგენილი იქნება კონკრეტული გზები და მეთოდები, რომელთა მეშვეობითაც მოცემულ დებულებათა პრაქტიკული ხორციშესხმა უნდა მოხდეს**". ამისათვის უნდა წავიკითხოთ დოკუმენტის მეოთხე პუნქტი, რომლის სათაურია "ეროვნული სასწავლო გეგმა". იქ ახსნილია, რომ კონკრეტული გზები და მეთოდები სწორედ მიზნების საფუძველზე შედგენილმა ნილები" "იქაურებზე" გაცილებით განათლებულნი ყოფილან. აგვისრულებია ილიას ანდერძი და ეგაა! რა ამაოდ დაშვრა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო! ასე ალბათ ავტორებს ჰგონიათ, ჩვენ კი სხვა ვიკითხოთ...

ნეტა, ამ "წარგზავნილების" წარმატებაში არსებულ განათლების სისტემას თუ აქვს რამე წვლილი? ესეც რომ არ იყოს, მახსოვს, როცა თსუ-ში სტუდენტთა თვითმმართველობის ეპოპეა იწყებოდა, იურიდიულ ფაკულტეტზე ორი რამ მოხდა: განსაკუთრებით აქტიური სტუდენტები საზღვარგარეთ "წარაგზავნეს" (თავიდან მოიშორეს) და ზურაბ ჭიაბერაშვილს სალექციო საათები მოუხსნეს. როგორც ეტყობა, ფაკულტეტის მესვეურებს ეს ორი რამ ერთი და იგივე ეგონათ.

ახლა კი სერიოზულად: განათლების რეფორმა იმიტომ ხდება, რომ საზღვარგარეთ განათლების მიღება ერთეულ "წარგზავნილებს" კი არ შეეძლოთ, არამედ ყველა მსურველსა და შემძლეს. ინტელექტუალური ელიტა საქართველოში აუცილებლად უნდა გახდეს ცვალებადი და სწრაფად განახლებადი, რომ დინასტიებისა და კლანების ჭაობებში არ დამყაყდეს და **ნაპოლეონ ქარქაშაძის** მსგავსმა ქურდბაცაცებმა არ გვიკიჟინონ, ამ ქვეყანაში მეცნიერებს პატივს არ სცემენო. სწორედ ეს გვიანდერძა ილიამ ავტორების მიერ მოყვანილ სიტყვებში და სწორედ ამას ემყარება განათლების რეფორმაც ზოგადად და ის კონკრეტული დოკუმენტიც, რომლის შინაარსი ასე მოხვდა გულზე ჩვენს დოცენტებს.

ამ უკანასკნელთ კი რომ არ ეწყინოთ, ორი გულწრფელი თხოვნით მივმართავ:

1. გთხოვთ, განმიმარტოთ, რას ნიშნავს "ქართული ქრისტიანული ეთიკა".

2. იქნებ, ბოლოს და ბოლოს, მაპოვნინოთ, გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცის რომელ ტექსტში გვხვდება სიტყვები "აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა".

მისი განუმეორებელი ბარიტონი - შეუდარებელი პოეზიაში

თარხან არჩვაძე

გიორგი ლეონიძის უნიკალურ პოეზიას, ჯერ კიდევ მაშინ ვეზიარე, როცა კლასში მოსწავლის მერხზე ვიჯექი და ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ამ ბუმბერაზ ადამიანთან როდისმე უშუალო შეხება მექნებოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, განგებამ თავისი გაიტანა და აი, 1954 წელს, კინოსტუდია "ქართული ფილმის" დავალებით, სარეკლამო ფოტოების მოსაძიებლად, სოხუმში მიმავლინეს. სწორედ იქ, მწერალთა კავშირში შევხვდი ბატონ გოგლას. იგი დიმიტრი გულიას ესაუბრებოდა. როცა აპარატგადაკიდებულმა კარი შევაღე, ჩემ დანახვისთანავე მან ბატონ დიმიტრის მკლავში ხელი გამოსდო, დივანზე ჩამოაჯინა და მე დამიძახა - აბა, ყმაწვილო! ერთი ჩაგვაკარტაჩკე.

მაშინ პირველად გავიგე მიი ხმა და მას შემდეგ საოცნებოდ მექცა მისეული ბარიტონი, მისივე შეუდარებელ პოეზიაში. ფოტოები ფრიად ხარისხიანი გამოვიდა, მაგრამ მათი გამოქვეყნება, იმ ასპექტში, როგორც მე ვვარაუდობდი, არ მოხერხდა, სამაგიეროდ იქიდან ჩაეყარა საფუძველი მისდამი ჩემს უანგარო პატივისცემას. ორი წლის შემდეგ ბატონ გოგლას პერსონა კვლავ მოხვდა ჩემი აპარატის ობიექტივში. ეს მაშინ იყო, როცა პროსტალინურმა მიტინგმა თბილისში, არნახულ პიკს მიაღწია. გოგლა აქ, ბელადს, ფრიად ორიგინალური ლექსით გამოესარჩლა. მიუხედავად ჩემი დიდი სიფრთხილისა, ფოტოაპარატი ვიღაცამ მაინც შენიშნა. ატყდა შეხლა-შემოხლა, ძლიერებმა იმარჯვეს, აპარატი წამართვეს და თუ როგორ დამაყარეს სისხლიანი "წესრიგი", დღეს ყველასათვის ცნობილია.

1965 წელს, როცა ქართველი საზოგადოება გიორგი ლეონიძის იუბილეს აღნიშნავდა, ჟურნალ "დროშას" რედაქტორმა, გიორგი ნატროშვილმა დამიბარა და...

- კაცო, მგონი ჩვენ ცოტა დავაგვიანეთ. გოგლას დაბადების დღე დეკემბერშია და... - მეუბნებოდა თავის თავზე გულმოსული რედაქტორი - თუ ფოტონარკვევი კარგი გამოგვივიდა, ორი თვე არაფერია, გვეპატიება, შენ კი, თუ ძმა ხარ, ახლავე წადი, ნუღა დააგვიანებ.

გოგლა ლეონიძე და დიმიტრი გულია. გოგლა ლეონიძე გალაკტიონ ტაბიძესთან ერთად.

იმ წუთშივე გავიქეცი ბატონ გოგლასთან, ინსტიტუტში.

- სადა ხართ ბიჭო? - გამიღიმა ბატონმა გოგლამ - ესე უნდა დავიწყება?

- რა ვქნათ ბატონო გიორგი, საქმეები, აქეთ-იქით...

- შენ რედაქტორს რომ აღარაფერი ახსოვს, შენ რა შუაში ხარ? მაგას ისიც კი დაავიწყდა, რომ ეგ ჟურნალი ჩემი დაარსებულია. რა ვქნათ, ქიზიყელია, ეპატიება. აბა, დღეს რაღა იქნება და ხვალ მოდი ჩემთან სახლში დილით ადრე და დავიწყოთ.

ვეღარაფერი ვკითხე, მომერიდა, თავი დავუქნიე და კვლავ რედაქციას მივაშურე.

- ძალიან ადრე მოდიო, რა ვქნა, აღარ ვიცი - რჩევა ვთხოვე რედაქტორს - ადრე როდის, შვიდზე? რვაზე? ან იქნებ ცხრაზე?

- რას ამბობ კაცო - სიცილით მიპასუხა - ეგა, კაცო, მთელი ღამე მუშაობს, მაგისი ადრე, თორმეტის ან პირველის ნახევარია.

რა მენაღვლებოდა, მეც დავუჯერე და თორმეტის ნახევარზე მივედი ჩემი "მოსკვიჩით". გოგლა თვალებს იფშვნეტდა. ეტყობოდა, ახალი ამდგარი იყო.

- ბიჭო, რანაირი რაჭველი ყოფილხარ. ცოტა ვერ დააგვიანე - წაიხუმრა ბატონმა გოგლამ და საუზმეზე მიმიპატიჟა.

ის იყო საუზმეს შემოვუჯექით, რომ ეზოში "ვოლგა" შემოგრიალდა.

- ერთი იმ ბიჭსაც დაუძახე საუზმეზე, აი, "ვოლგას" რო დასტრიალებს.

- მე...ე?

- მაგას მე ხმას არა ვცემ, ეგ ჩემი მძღოლია, მაგ წყეულმა ახალთახალი "ვოლგა" "ლახანკას" დაამსგავსა. ჩემი შვილები, თორემ მაგ მანქანაში აღარც კი ვჯდები.

ჩავჯექით "მოსკვიჩში" და დავიწყეთ საქმის კეთება. ჯერ იქვე მე-9 საავადმყოფოსთან შევჩერდით.

- შენ იცი რომ წინათ აქ სემინარია იყო?

- ნამდვილად არ ვიცოდი ბატონო გოგლა.

- ჰო და, სწორედ აქ ვსწავლობდი. ახლა მე შევაღ, შენ კი შორიდან გადაიღე, რა თქმა უნდა, თუკი კარებში ვინმე მომესალმა.

ასეთივე მეთოდი დავგეგმეთ თბილისის 38-ე საშუალო სკოლისათვის, სადაც ძველად თურმე, სულიერო სასწავლებელი ყოფილა, მაგრამ ადგილზე არავინ დაგვხვდა. ბატონი გოგლა მაინც შევიდა, ერთი ცარიელი კლასის კარი შეაღო და მერხზე ჩამოჯდა.

- სწორედ ამ ადგილზე ვიჯექი მთელი სამი წელი.

გავაგრძელეთ ტურნე და ახლა ოპერის პირდაპირ წიგნის მაღაზიასთან გავჩერდით.

- ერთი შედი და რამდენიმე ცალი წიგნი, "ნატვრის ხე" იყიდე, პატარძეულში დაგვჭირდება. ხომ იცი, ჩემი "ნატვრის ხე" ბიჭო, არ წაგიკითხავს? აბა, რაღა ოხრობას კითხულობთ თქვე დალოცვილებო.

გავჩუმდი, მან კარგა ხანს იჩხრიკა ჯიბეები, როგორც იქნა იპოვნა ერთი სამმანეთიანი და მე გადმომაწოდა. ვიუხერხულე, მაგრამ მაინც გამოვართვი, რა მექნა, კაპიკი არ მედო ჯიბეში. ჯერ მის ბავშვობის მეგობარს გავუარეთ, "მოსკვიჩიდან" "ვოლგაში" გადავინაცვლეთ და გეზი პატარძეულსიკენ ავიღეთ. გზა და გზა გოგლა მეცნიერებაზე დაიწყებდა ხოლმე ლაპარაკს.

- რა ვქნა ძმაო, - გამოეპასუხა მიშა - ფული მე არ მენანება. ხვალვე ვიყიდი ერთ კარგ ბიბლიოთეკას და სოფელს ვაჩუქებ, მაგრამ მეშინია, ფული საიდანაო და დამიჭერენ.

- შენ ეგ ფული მე მამე, მე ვიცი ცხენი როგორ შევაბა. აგე წყალსაქაჩი, ივრის მარცხნივ როა, ხო მიიღო სოფელმა წყალი. ფული ხალხისა იყო, მაგრამ მარიფათი ხომ უნდოდა.

შევედით სოფელშიც.

- აი აქ სოფლის სკოლა იყო. ბიჭო, მიშა! ამაიღე ხმა, ერთად არა ვსწავლობდით. აქ, ახლა პოლიკლინიკაა. სკოლა კი გაადიდეს და სხვაგან გადაიტანეს.

შევედით სახლში. ეზოში ხალხი საკმარისად მოგროვილიყო.

- გაიცანით, ეს ღვინჯუაა, ჩემი "ნატვრის ხის" პერსონაჟი. ეს კი სოფსაბჭოს აღმასკომის შეფი. მაგრამ, რაც გინდა ის დაუძახე, მაინც არა რცხვენია, სახლის ქირის უწყებას თბილისში მიგზავნის.

მოვინახულეთ ნინოწმინდაც.

- ეს ჩემი დედულეთია - მახსენებდა ხოლმე ბატონი გოგლა - აი, ეს ტაძარიც, რომელზედაც გეუბნებოდი. ნახეთ, რაღაა დარჩენილი, მაგრამ ამისთანა ფასდაუდებელი განძი, მთელ აღმოსავლეთში არც კი მეგულება. იმ უცნაურ წარწერას ხომ ხედავ, რამდენჯერ მოვიყვანე სპეციალისტები, მაგრამ რა, მისი წაკითხვა ვერავინ შეძლო. ე...ე ნინოწმინდა, ნინოწმინდა... შენ იქნებ, ჩემი "ნინოწმინდას ღამე" არც კი გაგიგია.

- კიდეც გამიგია და კიდეც მინახია.

- აჰა... მე ამას ლექსზე ველაპარაკები და ეს კი... ...ცერცვი შეაყარეო.

დიდი პოეტის სამართლიანმა საყვედურმა თავისი გაიტანა. უნებლიეთ გამახსენა თვით მის მიერ წაკითხული ნინოწმინდა და თავი ვეღარ შევიკავე.

- ნინოწმინდა... პალატები მეფეთა...

გალავანში - ჯამი აქაფებული;

შენი სახე რისთვის შემომეფეთა

ხატი იყავ - ვეფხვი დაქალებული.

ვკითხულობდი და ვერ ვამჩნევდი, როგორ ვბაძავდი დიდ პოეტს მისივე ლექსის კითხვაში. გოგლას თვალები გაუბრწყინდა, ხელი მხარზე დამკრა, თავისკენ მიმიზიდა და სიცილს იუმორიც მიაყოლა.

- რაჭველი და მატყუარა?ბიჭო, როგორ გაგვაცურე: არაფერი ვიცი, არაფერი წამიკითხავსო. ღმერთმანი "ნატვრის ხეც" წაკითხული გექნება.

გამეცინა.

- აჰა, ხომ გითხარით - დაასკვნა ბატონმა გოგლამ და კვლავ პატარძეულში დაბრუნება შემოგვთავაზა.

პურმარილი მართლა სამაგალითო გამოდგა. სმაში და მჭერმეტყველებაში იქაურები ტოლს არავის უდებდნენ. თვით გოგლასაც კი წვეთი არ შეარჩინეს. თუმცაღა, მასაც ეს უნდოდა.

- მე იმ პატარა ოთახში ვარ დაბადებული - ლაპარაკობდა სასმელმომარჯვებული - მშობიაროზის დროს, აქ დიდ ოთახში მაშინაც სუფრა ყოფილა გაშლილი და ეტყობა, პურმარილის ბაცილამ თავისი გაიტანა.

თბილისისკენ დაბრუნების დროც დადგა და ჩვენც დავიძარით.

- ჩვენებთან არ წამოგცდეს ამდენი რო დავლიე - მარიგებდა შეზარხოშებული პოეტი, გიორგი ლეონიძე.

მინდა გთხოვოთ წარსულის, აწმყოსა და მომავლისთვის

თამარ ამაშუკელი

იმ დღეს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს ვეწვიე და, არ მოგატყუებთ, იქიდან ნასიამოვნები კი არა, საშინლად დათრგუნული გამოვედი. იქ, ჭუჭყიანი ფანჯრებისა და ასეთსავე ფარდებს მიღმა, კიდევ უფრო ჭუჭყიან, ნაცრისფერ კედლებზე ჩვენი ეროვნული სიმდიდრეებია გამოფენილი და იშვიათად შემოსულ მნახველს თითქოს ევედრებიან, იქნებ რამე გვიშველოთო.

ჩვენი საამაყო "მთავარი" მუზეუმი საკუჭნაოს უფრო ჩამოჰგავს, ვიდრე მუზეუმს. საკუჭნაოს, სადაც ძველმანებს ინახავენ და არც კი კითხულობენ რას, სად და როგორ. არ ფიქრობენ არც ტემპერატურაზე, არც სისუფთავესა და არც ექსპოზიციაზე. თუმცა, მუზეუმის დამლაგებელი ყოველდღე ჭუჭყიან ტილოს ვედროში ჩაგუბებულ ჭუჭყიან წყალში ავლებს და იატაკს უსვამს, მაგრამ ამაოდ, ლაქგადაცლილი, გაშავებული იატაკი ისეთივეა, როგორც ე.წ. სახლმმართველობებში. ისე, ჩვენში დარჩეს და ამ დაბზარულ, მტვრისა და "ჟამთა სვლისაგან" გაშვებულ კედლებში თავმოყვარე ადამიანი მუზეუმს კი არა იმ, ზემოთ ნახსენებ "სახლმმართველობასაც" კი არ განათავსებდა. რა ვქნათ, ფული არა გვაქვსო, შემოგვჩივლებენ მუზეუმის თანამშრომლები. კი მაგრამ, ფანჯრების გაწმენდასა და ფარდების გარეცხვასაც, დავიჯერო, ამდენი ფული უნდა? - არ ვიცი. იქნებ უცხოელი სპონსორისთვის გვეთხოვა - აგერ, ჩემო ბატონო, მუზეუმის ფანჯრები ჭუჭყმა დაფარა და იქნებ ცოტაოდენი ფული დაგვეხმაროთო? ან იქნებ, რომელიმე საარჩევნო კამპანიის ეგიდით აქცია ჩაგვეტარებინა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფანჯრების გასაწმენდად და ფარდების დასარეცხად.

ჩვენთან ხომ პარტიის ოფისებს, რეზიდენციებსა და სუპერმარკეტებს უფრო კარგად უვლიან ვიდრე მუზეუმებს. ჩვენთან ხელოვნების ნიმუშები სასტუმროს ფოიეებსა და ჟურნალის ფურცლებზე უფრო კარგად გამოიყურებიან, ვიდრე მუზეუმებში. ჩვენთან, მუზეუმის მეორე სართულზე განლაგებულ ფრესკათა ასლებისა და რელიეფებისთვის ისეთი პირობებია შექმნილი, რომ

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი.

პირდაპირ საკვირველია, რომ აქამდე მოაღწიეს. მათ არ აწვიმთ და არ ათოვთ, თორემ აქაც ისევე ცივა და ცხელა, როგორც ღია სივრცეში. ისინი კი აქ დასაცავად, ვითომ და უკეთეს პირობებში მოუთავსებიათ.

ექსპოზიციის არარსებობა საერთოდ კომიკურს ხდის არსებულ სიტუაციას. ექსპოზიციის არარსებობაო? - ალბათ, ძლიერ გამინაწყენდებიან მუზეუმის თანამშრომლები. ერთ "ოთახში" "შეყრილი" ოცდაათი-ორმოცი ნამუშევარი საკომისიო მაღაზიის დახუნძლულ დარბაზს უფრო წააგავს, ვიდრე მუზეუმისას. კარგ მუზეუმებში, დიდ, ნათელ დარბაზებში ხუთი-ათი, ხანდახან კი ერთი ნახატიც კი კიდია, გააჩნია, რას და როგორ მოითხოვს ნამუშევარი. აქ კი მუზეუმის კედლები ქართულ სუფრას ჩამოჰგავს, მრავალსართულიანს და დახუნძლულს. თითქოსდა მთავარი ის კი არ არის, როგორ აღიქმება ნამუშევარი, არამედ ის, რომ არ დაიკარგოს არც ერთი მილიმეტრი. ჰოდა, ასე მიუკიდიათ "ჩადგმულ" სტენდებზე რუსული უნიკალური ხატები. დარჩენილი სივრცეები ავეჯით შეუვსიათ, ავეჯის უკან კი სტუდენტთა მოლბერტებიც მიუმალავთ, აქაოდა რატომ უნდა დაიკარგოს ადგილიო, მერე რა, რომ ხელოვნებას სივრცე სჭირდება. მაგრამ, რა ჰქნან მუზეუმის თანამშრომლებმა, როცა სახელმწიფოს აგერ უკვე მერამდენე წელიწადია არ სცხელა მათთვის, თორემ მათ ძალიან კარგად იციან, რა სჭირდება მუზეუმს, მათ ხომ მთელი ცხოვრება ამ მუზეუმისთვის მიუძღვნიათ.

ბიჭვინთის მეხუთე საუკუნის მოზაიკები გატეხილ-გაბზარული მინების მიღმა "თავს იწონებენ". ამას წინათ კი ტატიანა შევიაკოვას მიერ შესრულებული ერთ-ერთი ფრესკის ასლი ჩამოვარდა და თავზე კინაღამ დამეცა. მოკლედ, პოტენციურად მართლაცდა შესანიშნავი მუზეუმი აგერ უკვე მერამდენე წელიწადია იცდის. ჯერ იყო და კომუნიზმს ელოდა, შემდეგ, სახელმწიფოს სვლას სტაბლიზაციიდან -კეთილდღეობისაკენ ხელს არ უშლიდა, ახლა კი დიდი იმედებით შესცქერის მომავალს. იმედია, კულტურის სამინისტრო სამუზეუმო რეფორმას მანამადე მოაბამს თავს, სანამ ამ უკანასკნელს ჭუჭყი შეჭამს. ნაცრისფერ კედლებზე ჭუჭყსა და ბზარებში ჩაკარგული ფიროსმანის, კაკაბაძის, გუდიაშვილის ნახატები კი დაელოდებიან აფხაზეთსა და სამაჩაბლოში სიტუაციის დარეგულირებასაც, არმიის გაძლიერებასაც და იმ დღის იმედით იცოცხლებენ, როცა მუზეუმები და, საერთოდ, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა პრიორიტეტული გახდება, მოკლედ კი იმ დღეს დაელოდებიან, როცა მათ ქუჩაზეც მოვა გაზაფხული, მაგრამ გალაკტიონისა არ იყოს, "მოვა, მაგრამ როდის".

კულტურის სამინისტრო და სხვა ოფიციალური უწყებები განზე იყოს, და ეს მუზეუმები არ მარტო მათ, არამედ ჩვენც გვეკუთვნის ე.ი. არა მარტო მათი, არამედ ჩვენი მოსავლელიცაა, ანუ ისევ და ისევ, უკვე ვინ იცის მერამდენედ, თქვენ, ბატონო ბადრი, ბატონო მამუკა, ბატონო ბიძინა და კიდევ სულ რამდენიმე თითზე ჩამოსათვლელო ბატონებო, უნდა მოგმართოთ, იქნებ თქვენ მაინც მიხედოთ ჩვენს ეროვნულ სიამაყეს. ვიცი, ალბათ, ამ წერილს თუ წაიკითხავთ, იტყვით, რამდენ რამეს უნდა მივხედოთო? ისიც კარგად ვიცი, მთელ საქართველოს პროექტების წერის სენი რომ აქვს შეყრილი და ამ პროექტებით თქვენთან რომ დაიარება, ჩვენო, თითზე ჩამოსათვლელო, პოტენციურო სპონსორებო. მაგრამ, იქნებ კიდევ ერთხელ, ყველამ ერთად ჩვენც, თქვენც და იმათაც (ოფიციალურმა უწყებებმა) ძალიან მოვინდომოთ და ჩემი და თქვენი შვილებისთვის, წარსულის, აწყმოსა და მომავლისთვის ჩვენი წარსული გადავარჩინოთ.

საბანგებოდ სტუმრებისთვის

მუზეუმები საბერძნეთის იმ ქალაქებში, სადაც ოლიმპიადა გაიმართება, დღეიდან საგანგებო, "ოლიმპიურ" განრიგზე გადავლენ. აგვისტოს ბოლომდე ათენსა და კიდევ ოთხ ქალაქში, მუზეუმები საღამოს ცხრის ნახევრამდე იმუშავებენ; სექტემბერში კი - რვა საათამდე. ამგვარად, როგორც ოლიმპიადის მონაწილეებს, ისე სტუმრებს, ეძლევათ კარგი საშუალება მოინახულონ საბერძნეთის უძველესი ძეგლები, ათენის არქეოლოგიური მუზეუმი, აკროპოლისი, კრეტა და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ მუზეუმების თანამშრომელთა პროფკავშირების წარმომადგენლებმა არ გამოხატეს პროტესტი საკუთარი მთავრობის წინააღმდეგ ამ გადაწყვეტილების გამო ისე, როგორც ეს რამდენიმე მუზეუმის ხელმძღვანელმა გააკეთა.

ვაი პაპარაცის!

ჯონი ტებს შვილები ურჩევნია პოპულარობას.

ჰოლივუდის ვარსკვლავს, ჯონი დეპს, თავისი ოჯახი ამქვეყნად ყველაფერს ურჩევნია. იმ პაპარაცის, რომელიც გაბედავს და დეპის ბავშვებს დაედევნება, ცუდი დღე ელის - დეპი თავისი პირადი ცხოვრების დასაცავად კბილებით იბრძოლებს.

როცა საქმე მას ან მის მეუღლეს, ვანესა პარადიზს ეხება, ჯონი ნაკლებად ღელავს: "გადამიღონ, არ მენაღვლება. თუ უნდათ, ვანესაც გადაიღონ, ეს არ მედარდება," უთხრა დეპმა საინფორმაციო სამსახურს Imdb.com-ს. "მაგრამ ჩემი შვილების მიმართ მსგავს ინტერესს არავის შევარჩენ. თუ ვინმე მათი გადაღების დროს დავიჭირე, ცხვირს მოვაჭამ".

ამჟამად 41 წლის მსახიობი თავის მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად საფრანგეთში ცხოვრობს.

ჰქონდა თუ არა ყველაზე ადამიანურ ადამიანს ათაშანგი?

დისკუსია ჟურნალ "ევროპულ ნევროლოგიაში" გამოქვეყნებული მასალის გამო

მელორ სტურუა
საკ. კორ. აჭმ-ში

ჭორები თუ ვერსიები იმის თაობაზე, რომ ლენინს ათაშანგი ჰქონდა და რომ მისი სასიკვდილო დამბლა სწორედ ამ ვენერიულმა სენმა გამოიწვია, მსოფლიოს პროლეტარიატის ბელადის გარდაცვალების პირველივე დღიდან გავრცელდა. ჭორები ხან ჩაწყნარდებოდა ხოლმე, ხან კვლავ ზედაპირზე ამოტივტივდებოდა. ამას უფრო პოლიტიკური სარჩული ჰქონდა, ვიდრე სამედიცინო. ეძებდნენ არა იმდენად დიაგნოზს, რამდენადაც ლენინის ხატის გაშავების საშუალებას.

წელს, ზაფხულში, ილიჩის ათაშანგის პრობლემა კვლავ აქტუალური გახდა, მაგრამ უკვე პოლიტიკურ კი არა, სამედიცინო წრეებში. დისკუსიების ახალი ციკლის წინაპირობა გახდა სამი ისრაელელი ექიმის სტატია, რომელიც ჟურნალ The European Journal of Neurology-ში გამოქვეყნდა. მათთვის ხელმისაწვდომი დოკუმენტაციის საფუძველზე სტატიის ავტორები, მათივე თქმით, "სავარაუდო დიაგნოზს" სვამენ, რომ ლენინს ათაშანგი ოქტომბრის რევოლუციამდე რამდენიმე წლით ადრე, ევროპაში ემიგრაციის დროს შეეყარა, და რომ სწორედ ეს ავადმყოფობა იყო 1924 წელს მისი გარდაცვალების მიზეზი.

ისრაელის ექიმებს ამ ვერსიის ახალი და დამაჯერებელი მტკიცებულებები არ მოჰყავთ. ისინი ევროპასა და საბჭოთა რუსეთში ლენინის მკურნალი სპეციალისტების უკვე ცნობილ დასკვნების ანალიზს ახდენენ, და ასევე მისი ავადმყოფობის, გარდაცვალების და გაკვეთის მასალებსა და ბიულეტენებს იხილავენ. ამ უკანასკნელებს ისინი "პროპაგანდად" თვლიან. თავიანთი ანალიზის განზოგადებისას სტატიის ავტორები რიტორიკულ კითხვას სვამენ - რამდენად სრულად იციან თანამედროვე საზოგადოებებმა თავიანთი პოლიტიკური ლიდერების ჯანმრთელობის ამბავი? ისინი თავადვე იძლევიან პასუხს: "თუკი თქვენ ლენინის ავადმყოფობის ისტორიას აიღებთ, მის სახელს დამალავთ და მას შესასწავლად ნევროპათოლოგებს მისცემთ, რომელთა სპეციალიზაციაც ვენერიული დაავადებებია, ისინი დიაგნოზს უმალვე დასვამენ: ათაშანგი," - ამბობს სტატიის ერთ-ერთი ავტორი, დოქტორი, ასევე ვლადიმირი და ასევე ლე... ოღონდ ლენინი კი არა, ლერნერი, ისრაელის ფსიქიატრიული ცენტრის, ბეერ შევას ფსიქიატრიული განყოფილების ხელმძღვანელი.

ისრაელის ექიმთა სამეულის მიერ გამოქვეყნებულმა მასალამ ექსპერტთა არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. საბჭოთა ხელისუფლების პირველი პერიოდის სპეციალისტები მას სკეპტიკურად უყურებენ. ისინი აღნიშნავენ, რომ ლენინის ათაშანგიანობის ვერსია რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში იყო ცნობილი, მაგრამ მისი დამტკიცება ვერ მოხერხდა. ისეთი პატენტირებული ანტისაბჭოელიც კი, როგორიც სტენფორდის ჰუვერის ინსტიტუტის მკვლევარი რობერტ კონკვისტია, ამბობს: "უკვე დიდი ხანია, ამის შესახებ გაურკვეველი ჭორები ვრცელდება. მაგრამ რუსეთში, როგორც ცნობილია, ყველაფერზე ჭორაობენ" (აქ კი ძნელია, კონკვისტს არ დაეთანხმო). დოქტორ გრეგორი ფრიზი, ბრენდისის უნივერსიტეტის ისტორიის პროფესორი, გარკვევით აცხადებს, რომ სენსაციური სტატიის ავტორების "პისტოლეტს ბოლი არ ასდის" (ეს ფორმულა ამერიკულ იურისპრუდენციაში ველური დასავლეთიდან შემოვიდა და უდავო დამამტკიცებელ საბუთს ნიშნავს - მ.ს.). თუმცა, სტატიის ავტორები ასევე იძულებული არიან, აღიარონ, რომ მათ "პისტოლეტს ბოლი არ ასდის". ისინი ამბობენ, რომ მათ საბუთებს ირიბი დასამაკტიცებელი საბუთების ხასიათი აქვს, რომ "პისტოლეტი, რომელსაც ბოლი ასდის", ლენინის თავის ტვინია, რომელიც მოსკოვში, თავის ტვინის ინსტიტუტში ინახება. სტატიის მეორე ავტორი, დოქტორი ელიზერ ვიტცუმი, ნეგევას ბენ ჰურიონის უნივერსიტეტის ფსიქიატრიის პროფესორი, თავისი მიდგომის დასაცავად ამბობს: "სკეპტიციზმი ჯანმრთელი მიდგომაა. საქმე ისაა, რომ არსებობს მრავალი სამედიცინო კითხვა, რომელიც პასუხს მოითხოვს".

ლენინის სიკვდილი სხვადასხვა მიზეზებით აიხსნებოდა - ტვინში სისხლის ჩაქცევა, ინსულტი, ათეროსკლეროზი, რომელმაც მამამისიც გადაიყოლა, და ბოლოს - ათაშანგი. ათაშანგის "შორიდან" დიაგნოსტირება არცთუ იოლია, რადგან მისი მახასიათებელი სიმპტომები სხვა დაავადებებსაც ახასიათებს. ამიტომაა, რომ ათაშანგს "დიად იმიტატორს" უწოდებენ. მისი ინფექცია, Treponema spirochete, რომელიც ჯერ სასქესო ორგანოზე იჩენს თავს, შემდგომ მთელს ორგანიზმს ედება და ადამიანის ტვინს აზიანებს. ავადმყოფობას თან ახლავს მაღალი სიცხე, გამონაყარი, საერთო სისუსტე. ავადმყოფობის საწყისი სტადიის შემდეგ შეტევები იწყება, რომლებსაც თითქოს სრული გამოჯანმრთელების პერიოდები ენაცვლება. შეტევებს ძლიერი თავის ტკივილი ახლავს, ნერვული მოშლა, ტკივილები. უფრო გვიანდელ სტადიაზე, ვთქვათ, ოცი ან ოცზე მეტი წლის შემდეგ, ავადმყოფი განწყობის მკვეთრ ცვლილებებს განიცდის - ხან შემოქმედებითი აქტივობის შეტევები აქვს, ხან დეპრესია, ლეთარგია და გონებასუსტობა. სისხლის მიმოქცევის სისტემის დაზიანებას შეიძლება დამბლა მოჰყვეს, სისხლის ჩაქცევა, ანევრიზმა. მეორე მსოფლიო ომის დროს პენიცილინის გამოგონებამდე ათაშანგი განუკურნებელი სენი იყო.

ლენინის სიკვდილი სხვადასხვა მიზეზებით აიხსნებოდა - ტვინში სისხლის ჩაქცევა, ინსულტი, ათეროსკლეროზი, რომელმაც მამამისიც გადაიყოლა, და ბოლოს - ათაშანგი.

ლენინის დაავადება ათაშანგის "იმიტაცია" იყო: მას თვეობით სტანჯავდა მოულოდნელი კონვულსიები და თავის ტკივილი, გულისრევა, უძილობა, ნაწილობრივი დამბლა. აქტივობის ხანას ინვალიდობის ხანა ენაცვლებოდა. ზოგჯერ ლენინი მეტყველების უნარს კარგავდა და დახმარების გარეშე გადაადგილება არ შეეძლო. ოქსფორდის უნივერსიტეტის რუსული ისტორიის პროფესორის, რობერტ სერვისის წიგნს თუ ვენდობით ("ლენინი: ბიოგრაფია"), ვლადიმერ ილიას ძე ორჯერ ითხოვდა საწამლავს, რომ თავი მოეკლა. ძნელი სათქმელია, მართლა ასე იყო თუ არა, რადგან თვითმკვლელობის აზრიც კი ძნელად ესადაგება ლენინის მებრძოლ ხასიათს. მაგრამ შესაძლოა, რომ ყველა ეს და მსგავსი ჭორიც იმდენად მისი მტრების მიერ კი არა, მისი მემკვიდრეების მიერაა გავრცელებული, რომლებიც ლენინის ავადმყოფობას საიდუმლოდ ინახავდნენ. სხვათა შორის, საბჭოთა კავშირის მმართველთა ჯანმრთელობის ამბების საიდუმლოდ შენახვა ტრადიციად იქცა. ლენინის მემკვიდრეები მას ბევრად უფრო თავდადებით იცავდნენ, ვიდრე ილიჩის იდეების სიწმინდეს. მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მიეცათ ექსპერტებს იმის შესაძლებლობა, რომ ცალკეულ "დახურულ" საბუთებს გასცნობოდნენ, რომლებიც ლენინის ავადმყოფობას ეხებოდა. ეს საბუთები ამომწურავი შინაარსისა არ ყოფილა.

ისრაელის მეცნიერთა სტატიამ რიგ სხვა სპეციალისტთა თანადგომა ჰპოვა. ასეთია, მაგალითად, დებორა ჰეიდენი, ავტორი წიგნისა "ათაშანგი: გენიოსი, სიგიჟე და ათაშანგის საიდუმლოებები". ის წერს: "ლენინის ბიოგრაფების ნაწილი წერდა, რომ მის რამდენიმე მკურნალ ექიმს ათაშანგზე ჰქონდა ეჭვი". ქალბატონი ჰეიდენი, ამ სენის დიდოსტატი, ამბობს, რომ ლენინის მკურნალი ამ სფეროს სპეციალისტი ექიმების მტკიცებულებებმა მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. კერძოდ, ის იმაზე მიუთითებს, რომ მათ ნაშრომებში აღნიშნულია სალვარსანი - ერთ-ერთი წამალი, რომლითაც ლენინს მკურნალობდნენ. პენიცილინის შექმნამდე სალვარსანი ათაშანგის წინააღმდეგ ძირითადი საშუალება იყო. ეს ძალიან ძლიერი და მძიმე თანმხლები ეფექტების მქონე წამალია. ამიტომ ჰეიდენი ასკვნის, რომ ლენინს ათაშანგი რომ არ ჰქონოდა, მას სალვარსანს არ მისცემდნენ.

სხვა ექსპერტი, საბჭოთა კავშირის სექსისა და ჯანდაცვის საკითხების სპეციალისტი, დრიუს უნივერსიტეტის დოქტორი ფრენსის ბერნშტეინი (მისი გვარი აუცილებლად გაგვახსენებს ლენინის ბრძოლას სხვა ბერნშტეინებთან და ბერნშტეინელობასთან! - მ.ს.), ისრაელის მეცნიერთა დასკვნებს "შესაძლებელს" უწოდებს. "მე ვფიქრობ," - ამბობს ის, - "რომ მეცნიერება ათაშანგის დიაგნოზს მხარს უჭერს". ბერნშტეინი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ცარიზმის დროს ვენერიული დაავადებები რუსეთში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა, ამიტომაც იყო, რომ საბჭოთა ჯანდაცვის სამინისტრომ ხაზი გადაუსვა მეფის მიერ სექსოლოგიური განათლების აკრძალვას, ათაშანგს ომი გამოუცხადა და მას "სამარცხვინო ავადმყოფობის" დამღა ჩამოაცილა (სამწუხაროდ, ეს უკანასკნელი მცდელობა არ გამართლდა). "ამ კამპანიის კვალობაზე," - აღნიშნავს დოქტორ ბერნშტაინი, - "დიდი ირონია იქნებოდა, ლენინი რომ ათაშანგისგან მომკვდარიყო".

მაგრამ, ვიმეორებ, ისრაელის მეცნიერებს ყველა როდი ეთანხმება. ჩვენს მიერ ზემოთნახსენები დოქტორი ფრიზი ხაზს უსვამს იმას, რომ მათ სტატიაში დაშვებული რიგი ფაქტობრივი შეცდომებისა მის მიმართ ნდობას აკარგვინებს. შეცდომები, თუმცა არა სამედიცინო ხასიათისა, მართლაც დაუშვებელია. ასე, მაგალითად, ავტორები წერენ, რომ კაპლანმა ლენინს 1919 წელს ესროლა, სინამდვილეში კი ეს 1918 წელს მოხდა. მეორე მაგალითი: ავტორები წერენ, რომ საბჭოთა კავშირი 1992 წელს დაიშალა, თუმცა ყველამ იცის, რომ ეს 1991 წელს მოხდა. მაგრამ, ფრიზის თქმით, პრობლემა მხოლოდ ეს შეცდომები როდია. საქმე ისაა, რომ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ლენინი "დინამო მანქანასავით" იყო. "მის მიერ იმხანად დაწერილი უამრავი დოკუმენტი ათაშანგით დაავადებული ადამიანის სურათს არ იძლევა," - თვლის ფრიზი. ამაზე პასუხად ათაშანგის სპეციალისტი ჰეიდენი ამბობს, რომ მრავალი ათაშანგიანი სრულიად გონებასუსტი არ ხდება და გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრეც კი ინტენსიურ შემოქმედებით ტალღას განიცდის. "ხალხს ჰგონია, რომ თუ ათაშანგი გჭირს, აფრენ კიდეც, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი სხვაგვარადაა," - ამბობს ჰაიდენი.

მოკლედ, დისპუტი, რომელიც ჯერ კიდევ 80 წლის წინათ დაიწყო, დღემდე გრძელდება. The European Journal of Neurology-ში გამოქვეყნებული სტატიის ავტორები დასკვნის სახით ლენინის თავის ტვინის ქსოვილის შესწავლას გვთავაზობენ, რომ მისი დნმ-ის ანალიზის საფუძველზე საბოლოოდ გამოიტანონ დასკვნა - სჭირდა ლენინს ათაშანგი თუ არა. დოქტორი ფრიზი ამ მოწოდებას მხარს უჭერს. "ეს პრობლემას ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტს," - ამბობს ის.

მაშასადამე, პასუხი კითხვაზე, თუ რა სჭირდა ლენინს, თავის ტვინის ინსტიტუტის კედლებში ინახება. გაზეთ "ნიუ იორკ თაიმის" მოსკოვის კორესპონდენტი, სი. ჯი. ივერსი, რომლის მიერ დაწერილ სტატიასაც ჩვენი ნარკვევი ეყრდნობა, სწორედ ისე მოიქცა, როგორც ნებისმიერ პროფესიონალ რეპორტიორს შეშვენის. მან იფიქრა, იფიქრა და თავის ტვინის ინსტიტუტში მივიდა, და... ხახამშრალი დარჩა. "ინსტიტუტის წარმომადგენელმა ათაშანგის ვერსიის შესახებ საუბრაზეც კი უარი განმიცხადა," - წერს ჩივერსი და მისი სიტყვების ციტირებას ახდებს: "ჩვენ ამაზე საუბრის არც სურვილი გაგვაჩნია და არც დრო. წარსულის მტვერსა და ნაცარში ქექვა არ გვინდა".

მაგრამ წარსულის ნაცარი აწმყოსაც ეხება და მომავალსაც. ამბებენ, რომ თავის ტვინის ინსტიტუტი ლენინის ტვინს სწავლობდა და იქნებ დღესაც სწავლობს იმისთვის, რომ გენიალობის ფიზიოლოგიური საიდუმლოება ამოხსნას. ნება მისია - შეისწავლოს. ლენინის გენიალობაში ეჭვი არავის ეპარება. ამ გოლიათს ისტორიაში თავისი ადგილი ისედაც განაღდებული აქვს. უბრალოდ, საკითხავია, რას ემსახურებოდა ბელადის გენიალობა? რა ადგილი დაიკავა მან დიდი ადამიანების პანთეონში? მის მიერ შექმნილი სისტემა უკურნებელი სენით იყო დაავადებული. ათაშანგით კი არა, გულაგით. და ეს დიაგნოზი საეჭვო არაა. ლენინისა და ლენინიზმის წვრილფეხა მტრებს ჰგონიათ, რომ ლენინის ათაშანგიანად შერაცხვით მას დამატებით ჩირქს მისცხებენ. ძველი რომაელები მართლები იყვნენ - მტრის ცხედარს ყოველთვის ტკბილი სუნი აქვს. მაგრამ ასეთი საქმიანობა, წმინდა ადამიანური თვალსაზრისით, გულისამრევია, პოლიტიკური თვალსაზრისით კი - ბეცი. არქიპელაგი გულაგი ლენინის ათაშანგური აგონიის ნაყოფი კი არა, კომუნისტური ტოტალიტარიზმის სისტემის შედეგია (პირველ შემთხვევაში სისტემას სასამართლო გააგმართლებდა, როგორც სულით დაავადებულს). სხვათა შორის, დასავლეთში ზოგ-ზოგიერთები პეტრე პირველის მიერ სანკტ-პეტერბურგის აშენებასაც მისი "ათაშანგური გაქანების შედეგად" თვლიდნენ.

ზოგს ლენინის სხეულის მავზოლეუმიდან გატანა უნდა, ზოგი ექსპერტებს თავის ტვინის ინსტიტუტში, ლენინის ტვინთან არ უშვებს. ორთავეს გაუთვითცნობიერებელი ფეტიშიზმი სჭირთ. ლენინის სხეულის მავზოლეუმიდან გატანა გულაგის იდეას ვერ მოკლავს. ამ თვალსაზრისით ლენინის სხეული დაუმარცხებელია. ლენინის ტვინის ინსტიტუტიდან "არგატანა" გულაგს სამარცხვინო დაღისგან ვერ გაათავისუფლებს.

დაბოლოს: მაშინაც კი, თუ ლენინის თავის ტვინის უჯრედების დნმ-ის ანალიზი ჩატარდება, "ათაშანგის პრობლემა" შეიძლება ვერ გადაწყდეს. როგორც "ათაშანგის დიდოსტატი", ქალბატონი ჰეიდენი ამბობს, ათაშანგის გვიანდელ სტადიაზე სპიროჰეტების ავადმყოფის ტვინში აღმოჩენა ყოველთვის არ ხერხდება...

ისტორია

მეორე ტალღა

მაგდა ანიკაშვილი

60-იანი წლები საზოგადოებრივ აზროვნებაში მნიშვნელოვანი ცვლილებების ეპოქაა. თუ შედეგი მაშინვე არ ჩანდა, დღეს ნათელია - რომ არა ახალგაზრდების ბრძოლა საზოგადოებრივი ნორმების წინააღმდეგ, ბევრი რამ მიუღწეველი იქნებოდა. სოციალური რეფორმები, ადამიანთა უფლებების დაცვა და პატივისცემა განურჩევლად კანის ფერისა, სქესისა თუ სექსუალური ორიენტაციისა. ამ მიმართულებით საზოგადოებრივი აზრის შეცვლას სწორედ ამ წლებს უნდა ვუმადლოდეთ. 60-იან წლებს თავისი სულისკვეთებით ხშირად ადარებენ მეოცე საუკუნის დასაწყისს. მართლაც ბევრი აქვს საერთო ამ ორ ეპოქას, განსაკუთრებით კი რევოლუციური იდეების სიმრავლე და ტაბუთა უარყოფის მცდელობა. ბევრ საკითხში 60-იანი წლების მოვლენები საუკუნის დასაწყისის იდეების გაგრძელებაა, მაშინ დაწყებული მოძრაობის მეორე ტალღაა. ყველაზე მეტად კი ეს ორ ასპექტს ეხება: სექსუალურ რევოლუციას და ფემინისტურ მოძრაობას.

მართალია ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის 40-იანი წლებიდან ქალებმა ბრძოლა დაიწყეს თავიანთი უფლებებისთვის და ლოზუნგი "ყველა ქალი და კაცი თანასწორია" ჩამოაყალიბეს, მაგრამ დიდი გაქანება ფემინისტურმა მოძრაობამ მხოლოდ მეოცე საუკუნის 20-იანი წლებიდან მიიღო. მანამდე ყველაზე ლიბერალურად განწყობილი მამაკაცებიც კი, ეთანხმებოდნენ აზრს, რომ ქალი განსაკუთრებული არსებაა, რომელიც სპეციფიურ მიდგომას საჭიროებს და აქ მთავრდებოდა ყოველგვარ თანასწორობაზე საუბარი. მოძრაობის გაფართოების შემდეგ კი ქალებმა უდიდეს მონაპოვარს, არჩევნებში მონაწილეობის უფლებას მიაღწიეს და ამაზე შეჩერდნენ. მოძრაობა შესუსტდა და დაიქსაქსა.

ამერიკის სტუდენტური მოძრაობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფლანგი ქალთა უფლებებისათვის ბრძოლა გახდა პატრიარქალური საზოგადოების

წინააღმდეგ, რომელიც ზღუდავს და აფერხებს ქალთა შესაძლებლობების გამოვლენას. ეს განწყობა კარგად შეერწყა პოპულარულ მარქსისტურ იდეებს. ფემინისტური მოძრაობა სხვადასხვა მიმართულებით დაიყო. ნაწილი ხაზს უსვამდა ქალისა და კაცის თანასწორობას და საერთო უფლებებისთვის იბრძოდა, ნაწილი ისევ ქალის განსაკუთრებულობაზე საუბრობდა ამ შემთხვევაში უკვე იმ ინტერპრეტაციით, რომ ქალი ბუნებით ნაკლებ აგრესიული და უფრო მგრძნობიარეა, ვიდრე კაცი და ამის გამო მატრიარქალური საზოგადოება ბევრად სამართლიანი იქნებოდა. ყველა მიმართულების ფემინიზმი ქალის დისკრიმინაციის მიზეზის დასახელებისას ერთიანდება - ეს პატრიარქალური საზოგადოებაა.

მეოცე საუკუნის დასაწყისში ბევრი ქალი საქციელითა და ცხოვრების წესით ცდილობდა მამაკაცთან თანასწორობისა და დამოუკიდებლობის დამტკიცებას. თავისუფალი სექსუალური ცხოვრება ერთგვარი პროტესტის ფორმა და მრავალსაუკუნოვანი შეზღუდვებისაგან გათავისუფლება იყო. ახალი ცხოვრების დასაწყისად პირველ რიგში ოჯახის ინსტიტუტის უარყოფა ითვლებიდა. მრავალი

მეოცე საუკუნის დასაწყისში ბევრი ქალი საქციელითა და ცხოვრების წესით ცდილობდა მამაკაცთან თანასწორობისა და დამოუკიდებლობის დამტკიცებას.

ექსპერიმენტი ტარდებოდა არატრადიციული ოჯახების შექმნისა. ერთხელ უკვე მომხდარი სექსუალური რევოლუცია ახალი ძალით 60-იან წლებში განმეორდა.

ამ თემაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით ვილჰელმ რაიხს, სექსუალური რევოლუციის თეორიის ავტორს, ადამიანს, რომელსაც მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი სამყარო გაებედნიერებინა. ვილჰელმ რაიხი ზიგმუნდ ფროიდის მოსწავლე და თანაშემწე გახლდათ და ამის გამო უადგილო არ იქნება თუ მის ბავშვობას გავიხსენებთ და იქ მოვძებნით ამ სურვილების მიზეზს. რაიხს მართლაც მძიმე ბავშვობა ჰქონდა, მამისგან დათრგუნული დედის თვითმკვლელობა, შემდეგ პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობა. ომის საშინელებამ ახალგაზრდა მეცნიერს საბოლოოდ გადააწყვეტინა ადამიანთა უბედურების საიდუმლოს ამოხსნა და ამ პრობლემის გადაჭრა.

ვილჰელმ რაიხი თავის მასწავლებელთან ერთად დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს საბჭოთა საზოგადოების სექსუალურ ცხოვრებას. დიდი იმედი ჰქონდათ, რომ "რუსეთის ექსპერიმენტი" (ფროიდის გამოთქმა) წარმატებით დასრულდებოდა. 1929 წელს რაიხი თავად ჩამოდის საბჭოთა კავშირში და უკან გაგზავნილი წერილებიდან ჩანს, რომ აღმოაჩინა შეფერხება სექსუალური რევოლუციის წარმატებით განვითარებაში. რუსულ საზოგადოებაზე ხანგრძლივი დაკვირვებების შედეგად ის წერს ნაშრომს "სექსუალური რევოლუცია", რომელმაც დიდი სკანდალი გამოიწვია გერმანიაში და უთანხმოება გააჩინა მოსწავლესა და მასწავლებელს შორის. 1933 წელს რაიხი ჯერ კომუნისტური პარტიიდან, შემდეგ კი ფსიქოანალიტიკოსთა საზოგადოებიდან გარიცხეს. ცნობილია რომ, ერთ-ერთმა

კოლეგამ სრული სერიოზულობით შიზოფრენიის დიაგნოზიც კი დაუსვა. მის ნაშრომს სდევნიან კომუნისტები, ფაშისტები, ლიბერალებიც კი, აძევებენ ჯერ ავსტრიიდან, შემდეგ გერმანიიდან და დანიიდან, სანამ დევნილს ამერიკა არ შეიფარებს.

ვილჰელმ რაიხის აზრები საკმაოდ ნათელია. ის თვლის, რომ სექსუალური ცხოვრება უმნიშვნელოვანესია ადამიანისათვის და მის უმთავრეს ინტერესს წარმოადგენს. ადამიანები უბედურნი არიან იმის გამო, რომ არ აქვთ ბედნიერი სექსუალური ურთიერთობები. რაიხის იდეალი არის საზოგადოება, სადაც სექსუალური მოთხოვნილებები აღძვრისთანავე კმაყოფილდება და არ ითრგუნება.

ევროპული კულტურისათვის დამახასიათებელი სექსუალური აღზრდა, რაც მის გვიანდელ ასაკში დაწყებას გულისხმობს, დამღუპველია ადამიანისათვის. იდეალური საზოგადოების შექმნა შეიძლება ღია ურთიერთობებით, რომლებიც მცირე ასაკიდან დაიწყება, აკრძალვების გარეშე განვითარდება და ყოველი მოთხოვნილების უმალ დაკმაყოფილებაზე იქნება აგებული.

რაიხის იდეებს თავიდან ინტერესით ხვდებიან ამერიკაში. 1950 წელს ის სექსუალური კვლევის ინსტიტუტს აარსებს. მაგრამ მალე რეპრესიებში მოყვება. ინსტიტუტს დახურავენ, მთელი მასალის კონფისკაციას მოახდენენ, თავად პროფესორს კი დააპატიმრებენ. ვილჰელმ რაიხი ამერიკის ფედერალურ ციხეში 1957 წელს გულის შეტევით გარდაიცვალა. მისი სიკვდილის შემდეგ აიტაცა ეს იდეები ახალგაზრდა თაობამ და მათი ცხოვრებაში დანერგვა განიზრახა. რაიხის დაპატიმრების შემდეგ დაწერილი მარკუზეს "ეროსი და ცივილიზაცია" თითქმის იგივე თეორიების მქადაგებელია. ვინ იცის CIA-ის (დცს) აგენტს ხელი მიუწვდებოდა კონფისკაციაში მოხვედრილ მასალებამდე.

რაიხის მოძღვრებასთან ყველაზე ახლოს ჰიპების მიერ შექმნილი კომუნები იყო, სადაც სექსუალური ცხოვრება აკრძალვების გარეშე ვითარდებოდა და ხშირად პოლიგამიურობა ახასიათებდა. თუმცა ჰიპების მიერ შექმნილ საზოგადოებაში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იდეების განხორციელებას, ცხოვრებაში გადმოტანას ცდილობდნენ. შეიქმნა მოდელი მართლაც თავისუფალი, თანასწორუფლებიანი სამყაროსი, რომლის განვითარებაში ძლიერის სუსტზე გამარჯვების პრინციპის ნაცვლად, სიყვარული და ერთობა იდო.

ფეხბურთი

პრინციპული გამარჯვება UEFA-ს თასის წინ

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს მე-16 ჩემპიონატის მე-2 ტური გუშინ თბილისური "დერბით" დასრულდა, რომელიც ... მცხეთის "არმაზის" სტადიონზე გაიმართა. მატჩის ძველ დედაქალაქში ჩატარების მიზეზი მარტივია: თბილისის "ვიტ ჯორჯიას" საკუთარი არენა არ გააჩნია და მცხეთაში ქირაობს სტადიონს. თუმცა, ამ გარემოებას თამაშის სანახაობრივ მხარეზე სულაც არ უმოქმედია. ცენტრალური შეხვედრა, რომელშიც მოქმედმა ჩემპიონმა "ვიტ ჯორჯიამ" ექსჩემპიონ თბილისის "დინამოს" უმასპინძლა, დაძაბულ, უკომპრომისო, ლამაზ ბრძოლაში გაიღია და დასრულდა იმ გუნდის გამარჯვებით, რომელიც უფრო იმსახურებდა და ისწრაფვოდა ამ მიზნისაკენ.

ვიტ ჯორჯია - დინამო 2:3 (1:2)

ვიტ ჯორჯია: *ბედიაშვილი, კობიაშვილი, ინწკირველი, იმედაშვილი, დათუნაიშვილი (კუპრეიშვილი, 30`), ნოზაძე, დიღმელაშვილი (კვახაძე, 75`), გველესიანი, ადამია (სახოკია, 65`), მარცვალაძე, გოჩაშვილი*
დინამო: *ზოიძე, შაშიაშვილი, სალუქვაძე, ჭიჭვეიშვილი (ალადაშვილი, 30`), ხმალაძე, კაშია, კანდელაკი, ნემსაძე (კაკალაძე, 46), ბურდული (გრიგალაშვილი, 73`), გონჩაროვი, მელქაძე.*
გოლები: 0:1 კაშია (21`), 0:2 მელქაძე (24`), 1:2 გოჩაშვილი (34`), 2:2 ადამია (48`), 2:3 კაკალაძე (80`)
მსაჯი: *ალექსანდრე მეშკოვი*

ეს შეხვედრა არა მხოლოდ მეორე ტურის, არამედ, ალბათ, მთელი პირველი წრის საზომითაც, ცენტრალური იყო. ერთმანეთს ხვდებოდნენ გუნდები, რომლებიც წელს იბრძოლებენ კიდეც ჩემპიონობისთვის და ეროვნული ჩემპიონატის სხვა გუნდთაგან, მათ დავაში, ალბათ, მხოლოდ "თბილისი" თუ ჩაერევა. აი, ასეთ უმნიშვნელოვანეს შეხვედრას შეხვდა ვეტერინართა გუნდი, სხვადასხვა ობიექტურ მიზეზთა გამო, საკმაოდ მოუმზადებელი, უფრო ზუსტად - გადაღლილი. "ვიტ ჯორჯიამ" 4 აგვისტოს პოლონეთის ქალაქ კრაკოვში ჩემპიონთა ლიგის განმეორებითი მატჩი ჩაატარა ადგილობრივ "ვისლასთან" და 0:3 დამარცხდა. იმ დღიდან მოყოლებული ქართულ გუნდს აეროპორტში 3 დღე-ღამის გატარება მოუწია და სამშობლოში 2 დღის წინ დაბრუნდა. ამას გარდა, "ვისლასთან" პირველ შეხვედრაში კატასტროფული ანგარიშით დამარცხების შემდეგ გუნდში მწვრთნელიც გამოიცვალა და "დინამოსთან" "ვიტელებს" უკვე ვლადიმერ ხაჩიძე ხელმძღვანელობდა.

რადგან ევროტურნირზე ჩამოვარდა საუბარი, იმასაც შეგახსენებთ, რომ სულ 3 დღეში "დინამო" უეფა-ს თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ, გასვლით მატჩს გამართავს ჩეხეთის "სლავიასთან". ამდენად, "ვიტელებთან" შეხვედრას, მორალურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. თანაც, "ვიტ ჯორჯია" "დინამოსთვის" ერთერთ ყველაზე რთულ და უხერხულ მეტოქედ ჩამოყალიბდა. შორს რომ არ წავიდე, მაგალითისთვის მხოლოდ შარშანდელ სტატისტიკას მოვიშველიებ: 4 შეხვედრაში 3-ჯერ "ვიტ ჯორჯიამ" გაიმარჯვა (მათ შორის, ორჯერ გადამწყვეტ, ფინალურ ეტაპზე), ხოლო ერთხელ - "დინამომ".

"დინამოს" მთავარ მწვრთნელს, გია გეგუჩაძეს მატჩის წინ სერიოზული საკადრო პრობლემები ჰქონდა. სილაგაძეს, ახალაიას და რომეროს, რომელთა გარეშეც "დინამო" კარგა ხანია თამაშობს, კანკავა და კვირკველია დაემატნენ. კვირკველიამ კუნთი დაიჭიმა და ჯერ ვერ

ექსჩემპიონმა მოქმედი ჩემპიონი დაამარცხა.

ვარჯიშობს, ხოლო კანკავა ზუსტად მატჩის წინ მოიწამლა. ამიტომაც, "დინამომ" ეს შეხვედრა საკმაოდ შესუსტებული შემადგენლობით ჩაატარა. თუმცა, ეს გარემოება თამაშის მსვლელობას არც დასტყობია.

მატჩის დებიუტში უპირატესობას უფრო მასპინძლები ფლობდნენ, რომლებმაც პირველი სახიფათო დარტყმა ზოიძის კარის მიმართულებით უკვე მე-4 წუთზე განახორციელეს. მათთვის სამწუხაროდ, მარცვალაძის დარტყმა მცირედით ასცდა მიზანს. "დინამომ" მალევე გაათანაბრა თამაში, მოწინააღმდეგეს ინიციატივა აართვა და შეუტია. თუმცა, საწყის 20 წუთში სერიოზულად სახიფათო მომენტი არ შეუქმნია. 21-ე წუთზე კაშიას მიერ დარტყმულსაც ვერ დაარქმევდი სახიფათოს, რადგან დარტყმა კარიდან, ლამის, 40 მეტრით მოშორებული ადგილიდან განხორციელდა, მაგრამ ბურთი გზად ერთ მცველს შეეხო, აისხლიტა, მიმართულება შეიცვალა და ბედიაშვილის კარის ბადეში აღმოჩნდა. დინამოელებს გოლის გატანით გამოწვეული სიხარული არ განელებოდათ, რომ მათ კიდევ ერთხელ დაამწუხრეს მასპინძლები: ბურდულმა კარგი პასით მეკარესთან ერთიერთზე გაიყვანა მელქაძე, რომელსაც გოლის გატანა არ გასჭირვებია. ეს 24-ე წუთზე მოხდა და ბევრმა იფიქრა, რომ მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. თუმცა, ასე არ ფიქრობდნენ ვიტელები, რომლებმაც ჯერ 34-ე წუთზე ბრწყინვალე სამსვლიანი კომბინაცია გაითამაშეს და, გოჩაშვილის დარტყმით, ანგარიში მინიმუმამდე შეამცირეს, ხოლო 48-ე წუთზე ადამიამ ბრწყინვალედ შეასრულა საჯარიმო დარტყმა - ბურთი "ცხრიანში" გაახვია და თანაფარდობა აღადგინა.

ამ გოლებმა მოედანზე ვითარება უფრო დაძაბეს და ორივე გუნდი მატჩის ბედის თავის სასარგებლოდ გადაწყვეტას შეეცადა. თამაში გაიხსნა და ხან ერთ, ხან მეორე კართან მომენტი მომენტზე იქმნებოდა. მოულოდნელად, "ვიტელთა" მწვრთნელმა უცნაური გადაწყვეტილება მიიღო და თამაშიდან მოხსნა გუნდის 2 ყველაზე აქტიური ფეხბურთელი - დიღმელაშვილი და ადამია. როგორც შემდეგ ხაჩიძემ თავად ახსნა, - ორივე დაიღალა და თავად ითხოვეს შეცვლაო. თავის მხრივ, გეგუჩაძემაც განახორციელა ცვლილებები და, ბურდულინემსაძის ნაცვლად, გრიგალაშვილი-კაკალაძე შემოიყვანა. სწორედ ამ ცვლილებამ გადაწყვიტა კიდეც შეხვედრის ბედი. მე-80 წუთზე, გრიგალაშვილის ზუსტი პასით, კაკალაძე მეკარესთან პირისპირ გავიდა და გამარჯვების გოლი გაიტანა.

გია გეგუჩაძე: "სხვადასხვა მიზეზის გამო, რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გვაკლდა. მატჩის მსვლელობაში ტრავმა მიიღო ჭიჭვეიშვილმაც და მის შეცვლასთან ერთად ტაქტიკურად გადაწყობა მოგვიხდა. ამის მიუხედავად, პრინციპულ მეტოქესთან და კონკურენტთან საჭირო გამარჯვება მოვიპოვეთ, რითაც ძალიან კმაყოფილი ვარ.

თუ რამდენად სერიოზულია ჭიჭვეიშვილის ტრავმა, ჯერ ვერაფერს გეტყვით. ექიმები ხვალ გვეტყვიან ზუსტ პასუხს და მერე გადაწყდება, შეძლებს თუ არა იგი პრაღაში წამოსვლას. ახალაიამ კი დაიწყო ვარჯიში, მაგრამ ჯერ მხოლოდ ინდივიდუალურად ვარჯიშობს და რომეროსთან ერთად თბილისში დარჩება. კვირკველიას და კანკავას კი სერიოზული არაფერი სჭირთ და ეს ფეხბურთელები ჩეხეთში მოემგზავრებიან".

თამაშს დაესწრო პრაღის "სლავიას" მთავარი მწვრთნელის თანაშემწე მარტინ ზიდალი, რომელსაც შეხვედრის დასრულების შემდეგ კომენტარი ვთხოვეთ.

"თბილისში 2 წლის წინაც ვიყავი. მაშინ "ლიბერეცში" ვმუშაობდი მწვრთნელის თანაშემწედ და, როგორც გახსოვთ, საკმაოდ რთული ბრძოლა გადავიტანეთ "დინამოსთან". დღევანდელი თამაშიდან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ 2 წლის წინანდელი "დინამო" უფრო ძლიერი გუნდი იყო. დღევანდელ "დინამოში" გაცილებით მეტი ახალგაზრდა ფეხბურთელი თამაშობს, რომლებსაც, როგორც ეტყობათ, გამოცდილება აკლიათ. ძალიან მომეწონა თქვენი 15 ნომერი (კაშია, რედ.), რომელიც, ალბათ, პრობლემებს შეგვიქმნის. ისე, ალბათ, ამ გუნდთან უფრო იოლი იქნება თამაში და მოგება. პირველ შეხვედრაში, რა თქმა უნდა, მოგებას ვგეგმავთ. ტრავმების გამო, ძირითადი შემადგენლობის ორი ფეხბურთელი არ გვეყოლება - ჰოლენიაკი და გედეონი, თუმცა, მათი შემცვლელები გვყავს".

აქვე გამცნობთ, რომ "სლავიამ" ორი დღის წინ ჩეხეთის ჩემპიონატის პირველი ტურის შეხვედრა გამართა. პრაღელები სტუმრად ეთამაშნენ "ზლინს" და მინიმალური ანგარიშით - 0:1 დამარცხდნენ.

ტურის დანარჩენი შეხვედრების შედეგები:

ლოკომოტივი - დინამო (ბთ)	**0:0**
სიონი - დილა	**3:2**
ტორპედო - ზესტაფონი	**4:0**

იურგენ კლინსმანი: "მე თვითონაც მაინტერესებს, როგორი მწვრთნელი ვიქნები"

პირველი აგვისტოს შემდეგ იურგენ კლინსმანი გერმანიის ნაკრების მწვრთნელია. ახალ თანამდებობაზე ერთკვირიანი მუშაობის შემდეგ მას უკვე დაუგროვდა გარკვეული გამოცდილება, რომელიც ექსკლუზიურ ინტერვიუში გაზეთ Bild-ის ჟურნალისტებს გაუზიარა.

- გასულ პარასკევს, გერმანიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელის ამპლუაში, პირველი მატჩი გქონდათ. ამ დროს ბრემენის სტადიონზე ელექტროენერგია გაითიშა. ცუდი ნიშანი ხომ არ არის თქვენთვის?

- *(იცინის)* არა. მიუხედავად იმისა, რომ შუქი ჩაქრა, გულშემატკივრებს მაინც საკმარისი ენერგია ჰქონდათ. დიდი სიამოვნება მომანიჭა იმის ცქერამ, თუ როგორ იქცევდნენ თავს ქომაგები ერთი საათის განმავლობაში. ბუნდესლიგის ახალი სეზონის დაწყება ყველას ძალიან ახარებს.

- განწყობა, მართლაც, შესანიშნავია, თავად ფეხბურთის ხარისხი კი - ცუდი. თქვენ, როგორც ნაკრების მწვრთნელი, წინასწარ ხომ არ ხართ განწირული?

- ამ თანამდებობას არ დავიკავებდი, დარწმუნებული რომ არ ვიყო, რომ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატზე რაღაც მნიშვნელოვანს მივაღწევთ. ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ მოკლე პასის ოსტატები, როგორებიც, მაგალითად, ფრანგები არიან; და არც ისეთი ძალისმიერი ფეხბურთის თამაში შეგვიძლია, როგორსაც ინგლისელები თამაშობენ. ეს არ არის ჩვენი კოზირი და არც ახლა ვაპირებთ ასე თამაშს.

- რისი სწავლა შეგვიძლია ჩვენ ოტო რეჰაგელისგან და მისი ბერძნებისაგან?

- ის, რაც ოტომ გააკეთა, მართლაც შთამბეჭდავია - ბერძნებმა ევროპის ჩემპიონობას დიდი დისციპლინითა და სწორხაზოვნებით მიაღწიეს. ჩვენი კოზირიც სწორედ ეს არის. თამაშის აგრესული მანერა და თავდადება არის ის, რასაც ჩვენ ყველაზე დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ.

- რუდი ფიოლერის გუნდში ოლივერ კანი იყო პირველი ნომერი; ძირითადი შემადგენლობის გარანტია თქვენთანაც ექნება?

- ჩვენ გვაქვს ბედნიერება, რომ, ოლივერ კანის და იენს ლემანის სახით, ორი უმაღლესი დონის მეკარე გვყავდეს; ხოლო, ტიმო ჰილდებრანდის სახით - კიდევ ერთი მეკარე, რომელიც კანის და ლემანის გზას ადგას. ეს ყველაფერი ძალიან საინტერესოა. მომდევნო ორ წელიწადში ტიმოს კიდევ ექნება დრო წინსვლისათვის.

კლინსმანი ექსპერიმენტებისათვის ემზადება.

- ჯერ არ გაქვთ გადაწყვეტილი, თუ ვინ იქნება პირველი ნომერი?

- ჩვენ არ ვმონაწილეობთ საკვალიფიკაციო ტურნირში, რის გამოც, მთელ რიგ ამხანაგურ მატჩებს გავმართავთ. ეს კი გარკვეული ექსპერიმენტების განხორციელების საშუალებას მოგვცემს. ზოგიერთ ახალგაზრდას გამოვცდი და ვნახავ, თუ როგორ გაუძლებენ ისინი ზეწოლას. მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ზეწოლა არნახულად დიდი იქნება.

- რუდიო ფიოლერიც და თქვენც მსოფლიო დონის თავდასხმელები იყავით. უცაბედად კი, გერმანია ნამდვილი ფორვარდის გარეშე დარჩა...

- ჩვენ გვყავს ოთხი-ხუთი ფეხბურთელი, რომლებიც 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მნიშვნელოვან როლს ითამაშებენ. შესაძლოა, ამ მოთამაშეებს კიდევ შეემატოს ერთი-ორი ახალგაზრდა. მიროსლავ კლოზეს ევროპის ჩემპიონატზე ისევე თავდაჯერებულად რომ ეთამაშა, როგორც 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, ლატვიის წინააღმდეგ მატჩში გოლს გაიტანდა და გუნდი შემდეგ ეტაპზე გავიდოდა. ძალიან კარგად ვითარდებიან კევინ კურანე და ლუკას პოდოლსკი...

- ..."კიოლნის" შემადგენლობაში მე-2 ლიგაში თამაშობს. საკმარისია ეს ნაკრებისათვის?

- ჩემთვის ამას არ აქვს მნიშვნელობა. "შტუტგარერ კიკერსის" შემადგენლობაში მეც მე-2 ბუნდესლიგაში ვთამაშობდი. ეს კარგი სკოლაა. იქ ბევრი რამის სწავლა შეიძლება. თუმცა, საბოლოოდ მაინც ბუნდესლიგაში ჯობს თამაში.

- ნახევარდაცვაზე ვისაუბროთ. ნაკრებში მთლიანად "ბაიერნის" ნახევარდაცვას, ბალაკი-დაისლერი-ფრინგსს წაიყვანთ?

- ძალიან მახარებს ის ფაქტი, რომ დაისლერი კვლავ პოულობს თავის რიტმს. ისევე, როგორც ფიოლერის გუნდში, ბალაკი ჩემთვისაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მე და იოახიმ ლოვმა უნდა დავგინოთ, თუ რომელი შემადგენლობა იქნება ყველაზე ოპტიმალური. კარგი ნახევარმცველები სხვა კლუბებშიც არიან - მაგალითად, ბაუმანი და ერნსტი "ვერდერიდან".

- 18 აგვისტოს, ავსტრიის ნაკრების წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში რადიკალურ ცვლილებებს ვიხილავთ, თუ ისევ ჰამანზე და ნოვოტნიზე გააკეთებთ აქცენტს, რომლებმაც ევროპის ჩემპიონატზე იმედები გაგვიცრუეს?

- რადიკალური ცვლილებები არ იქნება. ჰამანი წამყვანი ფეხბურთელია "ლივერპულში", ეს კი არ არის ადვილი მისაღწევი. ნოვოტნიც ლიდერია. მე ხშირად მივმართავ როტაციას. ბევრ ახალგაზრდა ფეხბურთელს მივიწვევ გუნდში. მაგრამ, ეს არ ნიშნავს, რომ ვეტერანებზე უარის თქმას ვაპირებ.

- როგორ მწვრთნელს ვიხილავთ თქვენი სახით - სკამზე მჯდომ მშვიდ პიროვნებას, თუ მთელი თამაშის განმავლობაში მინდვრის ხაზთან მდგომს?

- ეს მე თვითონაც ძალიან მაინტერესებს. ალბათ, უფრო ხშირად ფეხზე ვიდგები, რადგან მოედანი ასე უფრო კარგად ჩანს.

- ეროვნულ ჰიმნსაც იმღერებთ?

- დიახ, ჰიმნს ფეხბურთელობის დროსაც სიამოვნებით ვმღეროდი.

24 საათი

ფართო საინფორმაციო სპექტრი, ანალიტიკა, საბიუჯეტო, საბანკო, ენერგეტიკული სფეროს მონიტორინგი, ჟურნალისტური გამოძიებები, კულტურისა და სპორტის სიახლეები, საკუთარი კორესპონდენტების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწოდებული უახლესი ამბები.

"24 საათის" დანართები - "სამართალი", "ბიზნესი", "დედაქალაქი", "მონადირე", "ავტომობილი", "ევროისტორია", "სპეცსამსახურები", "მეცნიერება და ტექნიკა", "გულახდილად".

ერთობლივი პროექტები "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" და "სოროსის ფონდთან" განუმარტავს მოქალაქეებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, გაათვითცნობიერებს მათ სამართლებრივ და საბანმანათლებლო საკითხებში.

"24 საათი" ექსკლუზიურად აქვეყნებს სახელმწიფო დოკუმენტებს - პრეზიდენტის, მთავრობისა და სხვა სახელისუფლო სტრუქტურების ბრძანებებს, დადგენილებებს, სახელმწიფო მნიშვნელობის ნორმატიულ აქტებს.

ხელშეკრულებები ხელმოწერის თაობაზე უნდა დაიდოს უშუალოდ გაზეთის დირექციასთან, რათა გამოირიცხოს გაუგებრობები და უზრუნველყოფილი იყოს მოწოდების სტაბილურობა.

ხელმოწერის ტარიფები: 1 თვით - 13 ლარი;
3 თვით - 39 ლარი;
6 თვით - 78 ლარი.

რედაქციის მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული
ტელეფონი: 20 24 24 ან 20 24 10.
საბანკო რეკვიზიტები: "თიბისი" ბანკის ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101000, ა/ა 26467440.

ფეხბურთი

"იუვეს" გული დასწყვიტეს

კაპელო "იუვენტუსის" რეორგანიზაციას ეწევა.

იტალიის ყველაზე ტიტულოვანი კლუბი ტურინის "იუვენტუსი" აგრძელებს შემადგენლობის გაძლიერებას. უახლოეს პერიოდში უნდა გადაწყდეს გუნდში ჩეხი მცველი იანკულოვსკის და ნახევარმცველი მასჩერანოს გადასვლის საკითხი. რუმინელი ფორვარდის ადრიან მუტუს საქმე კი ჩაიშალა.

2003-2004 წლების სეზონში ტურინის "იუვენტუსს" პრობლემები ჰქონდა - უმთავრესად, დაცვის ხაზი. დაცვა, რომელიც ერთი წლის წინათ შეუვალი ეგონათ, სულ უფრო და უფრო აცრუებდა გუნდის ქომაგთა იმედებს. შედეგად, "ბებერმა ქალბატონმა" ერთი ბურთით მეტი გაუშვა, ვიდრე მისმა მთავარმა კონკურენტებმა - "მილანმა" და "რომამ" ერთად.

თუმცა, უსამართლობა იქნებოდა, "იუვეს" ყველა უბედურებაში მხოლოდ მცველები დაგვედანაშაულებინა. შეიძლება ითქვას, რომ ტურინელებს პრობლემები ყველა რგოლში ჰქონდათ. კერძოდ, ხშირ შემთხვევაში, სცოდავდა ნახევარდაცვაც. მარჩელო ლიპიმ კი, რომელსაც ურთიერთობა არ აეწყო ედგარ დავიდსთან, ჰოლანდიელის გუნდიდან გაშვება იჩქარა. სტეფან აპია კი სახელოვანი "პიტბულის" შემცვლელის როლში ჯერჯერობით არცთუ დამაჯერებლად გამოიყურება. მაურო კამორანეზიმ, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში პოტენციური ვარსკვლავის იმიჯით სარგებლობდა, მთელი ჩემპიონატის განმავლობაში სტაბილური თამაშით თავი ვერ მოიწონა. და ბოლოს, ჩეხი პაველ ნედვედი შთამბეჭდავად კი გამოიყურებოდა, მაგრამ ერთი წლის წინანდელ ნედვედზე - აშკარად სუსტად.

განსაკუთრებულად არც თავდასხმა გამოირჩეოდა. რა თქმა უნდა, თუ გავითვალისწინებთ, რომ "იუვემ" 67 გოლი გაიტანა (უფრო მეტი მხოლოდ "რომას" აქვს), ჩვენი მოსაზრება საეჭვოც კია, მაგრამ სეზონის განმავლობაში ტრავმებმა შეაწუხა ალესანდრო დელ პიერო, ხოლო ტრეზეგე ყოველთვის ვერ ასრულებდა შემსრულებელი ფორვარდის ფუნქციებს. ფაბრიციო მიკოლის ცუდი სეზონი არ ჰქონდა, მაგრამ სულ ეს იყო, ხოლო მარკო დი ვაიომ გულშემატკივრებს საერთოდ გაუტეხა გული საგოლე მომენტების რეალიზაციის დაბალი მაჩვენებლით.

"იუვენტუსის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე, მარჩელო ლიპის ნაცვლად, მოსულმა ფაბიო კაპელომ გუნდის რეორგანიზაცია დაიწყო. ამჟამად გუნდი საბოლოოდ დატოვეს დი ვაიომ და დავიდსმა. ტურინიდან აბარგდა ვეტერანი ანტონიო კონტეც. სამაგიეროდ, გუნდმა არანაკლებ მძლავრი შევსება მიიღო - ხისტი და შეუპოვარი მცველი ჯონათან ძებინა კაპელოს ყოფილი კლუბი "რომადან" და ნახევარმცველები - ბრაზილიელი პუმა ემერსონი და ნარსის კაპოობუ.

"იუვეს" მხოლოდ თავდასხმის საკითხი დარჩა მოსაგვარებელი. აქ კი საქმე, მართლაც, რთულადაა. წლევანდელ სეზონში "იუვეს" არამარტო 60-მდე მატჩის გამართვა მოუწევს, არამედ მან უნდა დაამტკიცოს, რომ შარშანდელი ჩავარდნა შემთხვევითი იყო. საკითხავი ის არის, როგორ უნდა შეასრულოს ეს ამოცანა - მას ხომ, ფაქტობრივად, მხოლოდ სამი ფორვარდი შერჩა. მარსელო სალაიეტა მინდორზე უაღრესად იშვიათად ჩნდება. სწორედ ამიტომაც ეძებენ კლუბის სკაუტები საუკეთესო შემსრულებლებს მთელი ევროპის მასშტაბით.

დღეისთვის ყველაზე სავარაუდო ვარიანტად რუმინელი ადრიან მუტუ სახელდება. ფეხბურთელი 2001-2002 და 2002-2003 წლების სეზონში "პარმას" ღირსებას იცავდა და სერია A-ში 37 გოლი გაიტანა, რის შემდეგაც ის რომან აბრამოვიჩმა შეიძინა და "ჩელსიში" გაამწესა. თუმცა, რუმინელს ინგლისში უფრო გაუჭირდა. მან მხოლოდ 11-ჯერ შეძლო მეტოქის კარის აღება, ძირითად შემადგენლობაში კი მხოლოდ 30-ჯერ გამოჩნდა. თანაც, "არისტოკრატების" რიგებში ფეხბურთელთა სიმრავლე აშკარად შეიმჩნევა და, სწორედ ამიტომ, კლუბის ხელმძღვანელობა ფეხბურთელებს სიამოვნებით გასცემს იჯარით. მაგალითად, არგენტინელი ერნან კრესპო ამ სეზონს "მილანში" გაატარებს.

ჯერ კიდევ ხუთშაბათს, როცა მუტუ იტალიაში გაფრინდა, რათა შეთანხმების დეტალები ადგილზე დაეზუსტებინა, ისე ჩანდა, რომ პრობლემა არ არსებობდა. ფეხბურთელის აგენტმა ადრიან პრეტიმ შენიშნა: "სიტუაცია უაღრესად მარტივია. "ჩელსის" სურს, ფეხბურთელი იჯარით გასცეს. მე მუტუს ვესაუბრე, მან კი მაცნობა, რომ "იუვენტუსი" პირველი ვარიანტია. ჩვენ არ ვაპირებთ "იუვენტუსს" პრობლემები შევუქმნათ, უბრალოდ, მის წარმომადგენლებთან ვისაუბრებთ". აგენტმა ისიც თქვა, რომ ორ-სამ დღეში ყველა ფორმალობა დაძლეული იქნება.

თუმცა, შეთანხმება ჩაიშალა. გაირკვა, რომ "ჩელსი" მუტუს, იჯარის სანაცვლოდ, 10 მილიონ გირვანქა სტერლინგს სთხოვს. "იუვენტუსი" კი, რომელიც ყაირათიანობით გამოირჩევა, თითქოს, მზად არის 4 მილიონი გადაიხადოს. ასე რომ, შეთანხმება ჩაიშალა. ფეხბურთელის მეორე აგენტი ჯოვანი ბეკალი ამბობს, რომ შეთანხმება, ფაქტობრივად, მიღწეული იყო, მაგრამ "ჩელსის" სურდა, რომ მომავალში ფეხბურთელის შეძენაზე პირველი უფლება სწორედ "იუვენტუსს" ჰქონოდა. "იუვე" კი ამას არ დასთანხმდა.

ჯერჯერობით გაურკვეველია არგენტინელი ხავიერ მასკერანოს საკითხიც. "ბებერი ქალბატონი" ამ ფეხბურთელითაც დაინტერესდა, მაგრამ ამას წინათ "რივერ პლეიტს" კონკრეტული წინადადებით ლონდონის "არსენალმა" მიმართა და, ფეხბურთელის სანაცვლოდ, 12 მილიონი ევრო შესთავაზა. ვარაუდობენ, რომ მასკერანომ "არსენალში" პატრიკ ვიეირა უნდა შეცვალოს, რომელიც მადრიდის "რეალში" გადადის. თუმცა, პარასკევს გაჩნდა ინფორმაცია, რომ ფრანგი ნახევარმცველი "კანონიერად" რჩება. როგორ აისახება ეს მოვლენა არგენტინელის შეძენაზე ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამის შემდეგ ლონდონელებმა მასკერანოში 12 მილიონი გადაიხადონ. ამდენად, მისი ტურინში გადასვლის შანსი ერთიორად გაიზარდა.

სამაგიეროდ, დასრულების სტადიაშია მოლაპარაკებები მარეკ იანკულოვსკის ტურინში გადასვლის თაობაზე. ამ მცველს "იუვე" დიდი ხნის განმავლობაში აკვირდება; შარშანდელი სეზონისას მიმდინარეობდა მუშაობა "უდინეზედან" მისი ტურინში გადაყვანისთვის, მით ურფო, რომ იანკულოვსკის შეძენას დაჟინებით ითხოვდა მისი პარტნიორი ჩეხეთის ნაკრებში პაველ ნედვედი. იანკულოვსკის სანაცვლოდ, "იუვე" 5 მილიონ ევროს იხდის და "უდინეზეს" იჯარით უთმობს ჯორჯო კელინის - ახალგაზრდა მცველს, რომელიც 2000 წლიდან "ლივორნოს" ღირსებას იცავდა.

ბექჰემების ოჯახში კვლავ განგაშია

პატარა ბრუკლინს (ფოტოზე) და მის ძმას საფრთხე ემუქრებათ.

ბექჰემების ოჯახის ტანჯვას დასასრული არ აქვს. დევიდის სასიყვარულო თავგადასავლების გამო, ოჯახი უკვე რამდენიმეჯერ დადგა დაშლის პირას. ევროპის ჩემპიონატზე ბექჰემმა ორჯერ ვერ გამოიყენა პენალტი და პორტუგალიიდან დაბრუნების შემდეგ მძიმე დეპრესიაში ჩავარდა. სულ რაღაც ორი კვირის წინათ ბექჰემების ინგლისში მდებარე ვილაში უცნობი პიროვნება ცდილობდა შეპარვას და სახლის დაწვას.

ახლა კი კიდევ ერთმა პრობლემამ იჩინა თავი - ინგლისური გაზეთი Sunday Mirror იუწყება, რომ დევიდის და ვიქტორიას შვილების სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. გაზეთის ინფორმაციით, ხუთი წლის ბრუკლინს და ორი წლის რომეოს მოტაცებას უპირებენ.

ესპანეთის დედაქალაქში ორგანიზებული ჯგუფი მოქმედებს, რომელიც, უმთავრესად, შეძლებული ოჯახების ბავშვების მოტაცებით არის დაკავებული. ფულის გამოძალვის მიზნით, ამ ჯგუფს მადრიდში უკვე ორი ბავშვი ჰყავს მოტაცებული.

ბექჰემების ოჯახში განგაშია. დევიდი და ვიქტორია გააფრთხილეს, რომ ბავშვებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ. ვიქტორიამ და დევიდმა კარგად იციან, რომ ისინი ადრინდელზე ბევრად უფრო ფხიზლად უნდა იყვნენ. ისინი ყველაფერს იღონებენ, რათა საკუთარი ბავშვები დაიცვან", - ამბობს ბექჰემების ოჯახთან დაახლოებული პირი.

დევიდმა და ვიქტორიამ კიდევ უფრო გააძლიერეს დაცვა. მათი ოჯახის უსაფრთხოებაზე ახლა უკვე სამი სხვადასხვა ჯგუფი ზრუნავს. თითოეულ ამ ჯგუფს ერთმანეთისაგან განსხვავებული დანიშნულება აქვს. დაცვის თითოეული წევრი კბილებამდე შეიარაღებულია; მათი იარაღი მუდამ საბრძოლო მზადყოფნაშია; დაცვის წევრები ბექჰემების სალხის ეზოშიც პატრულირებენ და მის გარეთაც. იმ შემთხვევაში, თუ ისინი საფრთხეს იგრძნობენ, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, გახსნიან ცეცხლს.

ცხადია, დაცვა მხოლოდ სახლს არ ემსახურება. სადაც უნდა წავიდნენ დევიდი და ვიქტორია, მათ გვერდით მუდამ იმყოფება რამდენიმე ათეული პირადი მცველი - მაშინაც კი, როდესაც ისინი, უბრალოდ, კინოთეატრში მიდიან.

აღსანიშნავია, რომ ბექჰემების ოჯახს პრობლემები მას შემდეგ გაუჩნდა, რაც დევიდი მადრიდის "რეალში" გადავიდა სათამაშოდ. მანჩესტერში ცხოვრებისას ისინი ბევრად უსაფრთხოდ გრძნობდნენ თავს და არც ესოდენ ძლიერ დაცვას საჭიროებდნენ. "ჩემი ცხოვრების მთავარი დანიშნულება ის არის, რომ ყველგან და ყოველთვის სამი ან ოთხი დაცვის მანქანა უნდა მახლდეს; მაშინაც კი, როდესაც ჩემს შვილებთან ერთად პარკში ვთამაშობ. მანჩესტერში, ყოველგვარი პრობლემის გარეშე, შემეძლო ჩემს ოჯახთან ერთად სეირნობა. მადრიდში ეს შეუძლებელია", - ამბობს ბექჰემი.

რაგბი

თამაში კარგი, შედეგი ცუდი

გრემ ჰენრის მოსვლის შემდეგ ახალი ზელანდია პირველად დამარცხდა

ჰაატა თოთაძე

სამი ერის გათამაშება

ავსტრალია - ახალი ზელანდია 23:18

ავსტრალია:
1 ლელო - ტუკირი
4 საჯარიმო - ბურკი (2), ჟიტო (2)
ახალი ზელანდია:
6 საჯარიმო - კარტერი (4), სპენსერი, მერთენსი

ზელანდიელებმა ავსტრალიელების შეჩერება ვერ მოახერხეს.

ახალზელანდიელთა მწვრთნელად გრემ ჰენრის ხელახლა მოსვლის შემდეგ "ოლ ბლექსმა" პირველი მარცხი განიცადა. ეს სამი ერის გათამაშების, ზელანდიელებისთვის მესამე მატჩში მოხდა, რომელშიც კივები ავსტრალიის "ვოლაბიზს" სტუმრობდნენ. ამ გუნდების პირველი შეხვედრა ზელანდიაში მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა 16:7. იმ მატჩის შემდეგ გრემ ჰენრიმ ასეთი რამ განაცხადა: "ჩვენ დღეს ის რაგბი ვითამაშეთ, რომელიც წარმატებას მოგვიტანდა. ასე იქნება მომავალშიც. მე არ ვარ ის კაცი, კარგ შედეგს ლამაზი ბურთაობა ვამჯობინო; ჩემთვის მთავარი შედეგია. ყველა მეტოქესთან სხვადასხვა სტილით ვითამაშებთ. ავსტრალიელებთან მეორე მატჩშიც კი სხვაგვარად ვითამაშებთ. დღევანდელი სტილი მომავალ შეხვედრაში წარმატებას არ მოგვიტანს, ამიტომაც ისე ვითამაშებთ, რომ სიდნეიდან გამარჯვებულები დავბრუნდეთ".

ჩანს, ჰენრიმ რაღაც ვერ გათვალა. ავსტრალიელები დაცვაში შესანიშნავად რომ თამაშობენ, ყველამ კარგად იცის. ამიტომაც იყო, მატჩამდე რომ ამბობდა ზელანდიელთა თავკაცი, - მეტოქეს წინ გასვლის საშუალება არ უნდა მივცეთ, თორემ მერე მაგათი დაწევა უძნელესი იქნებაო. ჰენრიმ ეს ყველაფერი კი იცოდა, მაგრამ, ალბათ, ის აღარ იცოდა, როგორ არ უნდა გაეშვა ავსტრალიელები წინ.

ზელანდიელები შეხვედრის დასაწყისშივე დაწინაურდნენ. ისინი უკეთ გამოიყურებოდნენ, აგრესიულად უტევდნენ და მეტოქესაც არ აძლევდნენ დიდი ხნით ბურთს. ეს უპირატესობა უმალვე აისახა ანგარიშზე - დანიელ კარტერის საჯარიმოებით ზელანდია 9:0 დაწინაურდა. მასპინძლები ორჯერ აღმოჩნდნენ თამაშგარე მდგომარეობაში და ამიტომაც დაჯარიმდნენ; ერთხელაც რაქში ითამაშეს უწესოდ. ალბათ, ბევრმა იფიქრა, რომ ზელანდიელები მეორედაც მოახერხებდნენ ავსტრალიელეთა დამარცხებას, მაგრამ ავსტრალიელები სხვაგვარად ფიქრობდნენ და დიდი ძალებითაც უტევდნენ მეტოქეს. ზელანდიელებმა შვიდი აუტიდან სამი წააგეს, ერთი - საკუთარ ლეღოსთან ხუთ მეტრში, მაგრამ, გრეგანის "წყალობით", მასპინძლებმა ის ლელოდ ვერ აქციეს. მიუხედავად ამისა, "ვოლაბიზმა" ტაიმის დასრულებამდე ოთხი საჯარიმოს გატანა მაინც მოახერხა და პირველი ნახევარიც ფრედ - 12:12 დასრულდა.

შეხვედრის განახლებისთანავე მდევრის როლში უკვე სტუმრები აღმოჩნდნენ - ჟიტომ გაიყვანა მასპინძლები წინ. მართალია, რამდენიმე წუთში სპენსერმა საჯარიმოთი გაათანაბრა ანგარიში, მაგრამ უპირატესობამოპოვებული ავსტრალიელების შეჩერება "ოლ ბლექსს" სულ უფრო მეტად უჭირდა. როგორც შემდგომში აღმოჩნდა, გადამწყვეტი ლოტე ტუკირის ლელო გამოდგა. ეს მეორე ტაიმის შუაში მოხდა. ამის შემდეგ ზელანდიელები მუდმივად უტევდნენ, მაგრამ მასპინძელთა ნაქებ დაცვას ვერაფერი მოუხერხეს.

"ჩვენს თამაშში იყო გარკვეული ხარვზები, რამაც, საბოლოო ჯამში, გამოიწვია კიდეც ჩვენი დამარცხება. საწყენია, მით უმეტეს, რომ ცუდად არ გვითამაშია. თავის მართლებას არ დავიწყებ - როცა აგებ, ესე იგი, ამას იმსახურებ. დღეს ჩვენ წაგება დავიმსახურეთ, რადგან, უბრალოდ - კარგად, მეტოქემ კი საუცხოოდ ითამაშა", - განაცხადა შეხვედრის შედეგით გულნატკენმა გრემ ჰენრიმ.

ნაკრებში კარგა ხნის უთამაშებელმა ენდრიუ მერთენსმა კი ყველაფერი ზელანდიელების ცუდ თამაშს დააბრალა. "როცა გუნდი ამდენ დროს ახმარს შეტევას, შედეგი კი არაა, რაღაც შესაცვლელია. არავინ უარყოფს, რომ ავსტრალიელები საუცხოოდ იცავენ თავს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი დაუმარცხებელნი არიან. პირველ მატჩში ხომ მოხერხდა მათი დამარცხება, ესე იგი, ეს შესაძლებელია და, იგივე ახლაც რომ ვერ შევძელით, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ბრალია".

ახლა ზელანდიელებს ერთი თამაშიღა დარჩათ. მომავალ შაბათს ისინი იოჰანსბურგის "ელიზ პარკზე" სახრეთ აფრიკის "სპრინგბოქსს" ესტუმრებიან. ამ შეხვედრისთვის ზელანდიელებს, შესაძლოა, კაპიტანი ტანა უმაგა დააკლდეთ. სიდნეის მატჩის შემდეგ უმაგა უმალ დაბრუნდა შინ, ველინგტონში. ის მესამე შვილს ელოდება და გუნდსაც მხოლოდ მისი დაბადების შემდეგ შეუერთდება. ეს კი, შესაძლოა, შაბათამდე არც მოხდეს. უმაგა ერთადერთი მოთამაშე არაა, ვინც ზელნდიელებს, შეიძლება, მომავალ მატჩში დააკლდეთ - სემ ტუიტუპოუს ნეკნი დაუზიანდა, დაგ ჰაულეტს კი - ნერვი. ექიმთა განცხადებით, მათი თამაშის საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი არაა, თუმცა, უფრო მეტი შანსია, რომ "ოლ ბლექსს" დროებით ორივე მორაგბე გამოაკლდეს. ამის გამო, გრემ ჰენრიმ თადარიგი ახლავე დაიჭირა და გუნდში აარონ მაუგერი და რიკო გეარი გამოიძახა. მატჩის მოგების შემთხვევაში, ზელანდიელები ტურნირსაც მოიგებენ, და თუ მათ წააგეს, ტურნირის მოგების კარგი შესაძლებლობა ეძლევა სამხრეთ აფრიკის ნაკრებს, რომელიც ბოლო მატჩს, ასევე, შინ თამაშობს ავსტრალიის ნაკრებთან.

სატურნირო მდგომარეობა

	თ	მ	ფ	წ	ქ
ახალი ზელანდია	3	2	0	1	9
ავსტრალია	3	2	0	1	9
სამხრეთი აფრიკა	2	0	0	2	2

TV-სპორტი

ორშაბათი. 9 აგვისტო

НТВ+ФУТБОЛ
06:30 NBA TV. სეზონი 2000/2001. SAN ANTONIO SPURS - DALLAS MAVERICKS
09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ბრაზილიის ჩემპიონატი
14:00 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 2000/2001. ფინალი. "ბავარია" - "ვალენსია"
16:00 თავისუფალი დარტყმა
16:15 გერმანიის ჩემპიონატი. "ვერდერი" - "შალკე"
18:00 გასული სეზონის გახსენება. "ლივერპული" - "მიდლსბრო"
19:45 თავისუფალი დარტყმა
20:00 სახვალიო პროგრამა
20:05 გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა
21:05 საფრანგეთის ჩემპიონატი. "ნიცა" - "ლიონი"
22:50 გასული სეზონის გახსენება. "მილანი" - "რომა"
00:35-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV. ყველაფერი NBA-ს შესახებ
03:30 NBA TV. მიმოხილვა

НТВ+СПОРТ
10:00, 17:05, 19:00, 00:15 ოლიმპიური პრესცენტრი
10:15, 21:00 "ოლიმპის შვილები"
10:20 საჭადრაკო მიმოხილვა
10:50 ჩოგბურთი. Masters Series ცინცინატში. ფინალი. შესვენებისას (13:00) - ოლიმპიური პრესცენტრი
13:15 "საუკუნის ათლეტები"
13:45 სეზონის საუკეთესო ტრანსლაციები. ჰოკეი. სტენლის თასის ფინალი
16:15 სპორტული ცეკვები
17:05 ოლიმპიური ისტორია. ატლანტა 1996.
19:15 "რკინის ფაქტორი"
19:45 "საუკუნის ათლეტები"
20:30 ვიცოცხლოთ ორშაბათამდე
21:05 სახვალიო ტელეპროგრამა
21:10 პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის. ასელინო ფრეიტასი - დიეგო კორალესი.
23:10 სპორტული ცეკვები
00:30 ჰოკეი. კანადის თასი

EUROSPORT
10:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი ფინეთში
11:00 ჩოგბურთი.
11:15 ფეხბურთი. აზიის თასი. ფინალი
13:00 მძლეოსნობა. სუპერ გრანპრი
14:30 სპიდვეი. მსოფლიო თასი
15:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი 19 წლამდე გოგონებს შორის
17:15 თხილამურებით ხტომა ტრამპლინიდან. გრანპრი FIS საფრანგეთში.
18:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი ფინეთში
19:00 მოტოსპორტი
19:45 ოლიმპიური ჟურნალი "მიზანი - ათენი"
20:00 ფეხბურთი. ევროგოლი
20:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი 19 წლამდე გოგონებს შორის
22:15 მულტისპორტი
22:45 საბრძოლო ხელოვნება
01:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
01:15 ფეხბურთი. ევროგოლი
02:00 მულტისპორტი
02:15 მოტოსპორტი
03:15 ევროსპორტის ახალი ამბები

"გაუკუღმართებული" გარემოს მოწესრიგების ქალაქთმშენებლობითი პოზიციები

გივი ბერიძე
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტ "თბილარქიტექტორის" დირექტორი, არქიტექტურის დოქტორი, პროფესორი, საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

"გაუკუღმართებული" გარემო, პირობითი მნიშვნელობით ადამიანთა მოღვაწეობის ის შედეგია, რომელიც, თანამედროვე ურბანიზმის პირობებში, მათი საცხოვრისის არაორგანიზებულ ტერიტორიულ მოწყობას გულისხმობს.

- რას ვგულისხმობთ არაორგანიზებულ ტერიტორიულ მოწყობაში?

- იმ დაგეგმარებას და განაშენიანებას, სადაც გაუთვალისწინებელია ქალაქთმშენებლობის ძირითადი პოზიციები. უფრო პოპულარულად თუ ვიტყვით - მოსახლეობის ყოფაცხოვრებისათვის განკუთვნილი ტერიტორიების მოუხერხებელ ორგანიზაციას, რაც, ხშირ შემთხვევაში, განაშენიანებაში ქაოსს და მის ფუნქციონირებისა და განვითარებისთვის ძნელად გამოსასწორებელ და ძვირადღირებულ შეცდომებს იწვევს.

ურბანიზაცია ჩვენი ეპოქის დამახასიათებელი მოვლენაა, იგი დასახლებული ადგილების მოსახლეობის ინტეგრაციის მძლავრ ფაქტორს წარმოადგენს. ამ პროცესის დროს ინტენსიურად მიმდინარეობს ახალი ტერიტორიების ათვისება და განაშენიანება, მოსახლეობის რაოდენობის ზრდა, საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარება. ამავე დროს, ადამიანთა კეთილდღეობის ზრდასთან ერთად, აღინიშნება მთელი რიგი უარყოფითი მოვლენები: დასახლებულ ადგილებში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების მკვეთრი გაუარესება, ჰაერის გაბინძურება, გამოწვეული სატრანსპორტო საშუალებების კონცენტრაციით და ხმაურით, განაშენიანებისა და მოსახლეობის სიმჭიდროვის ზრდით, რომლებიც დასახლებულ გარემოში იწვევენ ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევას და საყოფაცხოვრებო პირობების დისკომფორტს.

ყველა ეს ტენდენცია შეინიშნება საქართველოს ქალაქების სტრუქტურებში, ხოლო განსაკუთრებით ნათლად - თბილისში. აქ, წლების მანძილზე, მშენებლობა ძირითადად ხორციელდებოდა თავისუფალ ტერიტორიებზე, სადაც ყალიბდებოდა შედარებით დამოუკიდებელი საცხოვრებელი რაიონები და მიკრორაიონები, გაერთიანებულნი სატრანსპორტო მაგისტრალებით, საქალაქო და რაიონული მნიშვნელობის გზებით (საბურთალო, დიღომი, დიდი დიღომი, ნუცუბიძის პლატო, მესამე მასივი, ფონიჭალა და სხვა). აქ მოსახლეობამ უსასყიდლოდ მიიღო საცხოვრებელი ბინები, აშენდა საზოგადოებრივი მომსახურების დაწესებულებები - სკოლები, საბავშვო ბაგა-ბაღები, მაღაზიები, სპორტული და დასასვენებელი ობიექტები და ა.შ.

მოსახლეობის საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილებასთან და მომსახურე დაწესებულებებით უზრუნველყოფასთან ერთად ქალაქთმშენებლობის პრაქტიკაში აღინიშნება განაშენიანების უსახურობა, ერთგვაროვნება, საცხოვრებელი გარემოს ორგანიზაციის დაუმთავრებლობა, შენობებისა და ნაგებობების ტიპობრივი პროექტებით განხორციელებული უხარისხო მშენებლობა. არაორგანიზებულია საცხოვრებელი რაიონებისა და მიკრორაიონების ტერიტორიები, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, უყურადღებოდაა მიტოვებული.

მაცხოვრებლების მხოლოდ ერთი, ინიციატივიანი და აქტიური ჯგუფი მონაწილეობს მიმდებარე მოედნების მოწყობაში, დასასვენებლად და გასართობად თავშესაყარი ადგილების ორგანიზაციაში. ტერიტორიის დიდი ნაწილი კი აუთვისებელია, მოუწყობელია და მიტოვებულია ულაზათოდ.

ხშირი შემთხვევაა, როცა მოსახლეობაში თავს იჩენს კერძომესაკუთრული ტენდენციები. ცალკეული ოჯახები პირადი სარგებლობისათვის კაპიტალურად იფარგლავს ტერიტორიებს (გასაღებითაც კეტავს მათ) ბოსტნეული კულტურებისათვის, რაც ქალაქის პირობებში დაუშვებლად მიგვაჩნია. მიუღებელია ავტოფარეხების ულაზათო მშენებლობაც, რომლებიც მნიშვნელოვნად ამახინჯებს შიდაკვარტალურ ტერიტორიებს. აღსანიშნავია ისიც, რომ მოსახლეობა განსაკუთრებული ყურადღებითა და ფაქიზად ეპყრობა თავის საკუთარს და უყურადღებოდ ექცევა საზოგადოებრივს: საცხოვრებელი სახლების მიმდებარე მოუვლელი ტერიტორიები, ჭუჭყიანი სადარბაზოები ჩამტვრეული მინებით, დაზიანებული კიბეები, ლიფტები, მოუწესრიგებელი სანაგვეები და საინჟინრო კომუნიკაციები.

გავიხსენოთ, როგორ აშენებდნენ ჩვენი წინაპრები ჯერ კიდევ შემორჩენილ საცხოვრებელ სახლებს თბილისის ისტორიულ უბნებში - სოლოლაკში, მთაწმინდაზე, დ. აღმაშენებლის პროსპექტის მიმდებარე ტერიტორიებზე. რომ არ ვთქვათ კეთილმოწყობილ ბინებზე, ისინი შენდებოდნენ ლამაზი სადარბაზოებითა და ვესტიბიულებით, დეკორატიული ელემენტებითა და მოპირკეთებული მოზაიკური ფილებით, მრავალფეროვანი ვიტრაჟებით, მარმარილოს კიბეებით და შესანიშნავად მოჩუქურთმებული კარებებით, აჟურული ლითონის ზღუდეებით. ყოველივე ეს ქმნიდა სადღესასწაულო, პარადული ხასიათის კეთილმოწყობილ ზონას ბინებსა და ქუჩას შორის, სადაც ადამიანი დადებით ფსიქოლოგიურ და ესთეტიკურ გავლენას განიცდიდა და თავს ღირსეულ პიროვნებად გრძნობდა, რაც არქიტექტურის ხელოვნების დანიშნულების ერთ-ერთ უმაღლეს პრინციპს წარმოადგენს.

გარემოს "გაუკუღმართება" გაძლიერდა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღების შემდეგაც, როცა საბაზრო ეკონომიკის პირობებში წინა პლანზე წამოიწია მოქალაქეთა "სოციალური დაკვეთის" რეალიზაციის აუცილებლობა. საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის განხორციელება, რომელიც საბჭოთა პერიოდში დასახლებული ადგილების განაპირა თავისუფალ ტერიტორიებზე მიმდინარეობდა, დღესდღეობით ძირითადად ხორციელდება ისტორიული განაშენიანების სარეკონსტრუქციო ზონებში. რადგან ინდივიდუალურმა ბინათმშენებლობამ მასობრივი ხასიათი მიიღო, თბილისის ძველი უბნების რეკონსტრუქციის რეალური საშუალება გაჩნდა. ამავე დროს, არსებული შენობა-ნაგებობების მოვლა-პატრონობის, მიშენება-დაშენებისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის უმნიშვნელოვანესი ამოცანებიც ისახება.

რაც შეეხება თბილისის ბინათმშენებლობის ამჟამინდელ პრაქტიკას, რომელიც ჩამოყალიბებულ განაშენიანებაში ხორციელდება, იგი ახალი მაღლივი შენობების უხეშად, უმასშტაბოდ ჩართვით ხასიათდება. ასეთი ნაგებობები ისტორიულ გარემოს თრგუნავენ, ქმნიან მხატვრულ-ესთეტიკურ დისკომფორტს, დაუსაბუთებლად, ანგარიშმიუცემლად ზრდიან განაშენიანების და მოსახლეობის სიმჭიდროვეს.

ამის მრავალი მაგალითია ვაკისა და ვერის რაიონებში, ერთერთი ნათელი მაგალითი კი მთაწმინდის რაიონში - ფუნიკულიორის ქვედა სადგურის წინ და გვერდით განხორციელებული მრავალსართულიანი განაშენიანებაა, რომელიც ისტორიული რაიონის გაუთვალისწინებლობის, შენობების უმასშტაბობის და უსახო მხატვრული ღირებულებების გამო, შეიძლება, არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის კურიოზადაც მივიჩნიოთ.

აღმაშფოთებელია უნიკალურ ისტორიულ უბანში, ანჩისხატის ეკლესიის გვერდით არსებული "ლაღიძის წყლების" შენობის მოცულობის გაზრდა სიმაღლის ხარჯზე და ცენტრალურ ნაწილში წინ წამოწეული დარბაზის მშენებლობა, რომელიც ბარათაშვილის ხიდის მხრიდან ფარავს ანჩისხატის უძველეს ხუროთმოძღვრულ ძეგლს.

მიუღებელია მაღლივი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ვაკის პარკის და 9 აპრილის სახელობის ბაღის ტერიტორიებზე, თაბუკაშვილის ქუჩის ბოლოს და, საერთოდ, თბილისის ცენტრალურ რაიონებში, სადაც მათი განთავსება შემთხვევით ადგილებში ხორციელდება. ამით ირღვევა ქალაქის მასშტაბი და ქალაქთმშენებლობითი სტრუქტურა, იკარგება მისი განუმეორებელი ისტორიული განაშენიანების ხიბლი.

ელბაქიძის დაღმართზე განლაგებულმა ბილბორდების შირმამ დაფარა თბილისის ისტორიული განაშენიანების ხედი.

ქალქის მაგისტრალებზე უმასშტაბო ბილნორდებმა დაამახინჯეს საგზაო სივრცეები.

რუსთაველის გამზირის სავალი ნაწილი ჩახერგილია ავტომანქანებით, რაც დაბრკოლებას უქმნის ფეხით მოსიარულეებს.

ბარნოვის ქუჩის მრავალსართულიანი განაშენიანების გაუმართლებელი სიმჭიდროვე.

ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაცაა, რომ დამკვიდრდა საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების ე.წ. "წერტილოვანი" მშენებლობის მანკიერი პრაქტიკა. მათი პროექტები იხილება და მტკიცდება მიმდებარე ტერიტორიების დეტალური დაგეგმარების პროექტების გარეშე, რაც იწვევს ქალაქთმშენებლობითი გადაწყვეტების გამოუსწორებელ შეცდომებს.

გარემოს "გაუკუღმართების" ნათელი მაგალითებია ქალაქის მაგისტრალებზე გაჩენილი უმასშტაბო, გიგანტური რეკლამები - ბილბორდები, რომლებიც მთლიანად ან სანახევროდ ფარავენ სამოძრაო სივრცეს და ამახინჯებენ საგზაო გარემოს. რატომ არ ექცევა ამას სათანადო ყურადღება? რუსთაველის პროსპექტის ფეხით სავალი ნაწილი კი მძღოლების უდისციპლინობით ჩახერგილია მანქანებით, რის გამოც ძნელდება მათ შორის გავლა და იქმნება მოსიარულეთა დისკომფორტი. ჩვენი შეკითხვისას - რატომ აყენებინებთ აქ მანქანებს? - მანქანების მცველები გვპასუხობენ, ეს ჩვენს მოვალეობაში არ შედისო. ხოლო როცა ვეკითხებით საგზაო პოლიციის ინსპექტორებს, გვპასუხობენ, რომ არ გააჩნიათ ბერკეტები დაყენების აკრძალვისათვის. საკვირველია პირდაპირ, როგორ გარემოში გვიხდება ცხოვრება, რატომაა უყურადღებოდ დატოვებული ეს უმსგავსობა, რომელიც რუსთაველის პროსპექტს ამახინჯებს. ნუთუ მართლაც არ გაგვაჩნია კანონები უკანონობის ასაკრძალად?

გარემოს "გაუკუღმართების" ერთ-ერთ მოვლენას წარმოადგენს ბავშვების თამაში ფისტონებით, რომელთა მოულოდნელი ძლიერი აფეთქებები ლამის შოკში აგდებს ადამიანებს. განა დასაშვებია ქალაქის განაშენიანებაში ასეთი აღვირახსნილობა? რატომ არ აკონტროლებენ ამას მშობლები, სკოლა, პოლიცია? რატომ არ იკრძალება ფისტონების რეალიზაცია?

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენს ქალაქთმშენებლობის პრაქტიკაში საქმე გვაქვს საცხოვრებელი გარემოს "გაუკუღმართებასთან", რაც მოსახლეობის სამართლიან პრეტენზიებს და აღშფოთებას იწვევს.

- რითი ხასიათდება ქალაქთმშენებლობითი პოზიციები?

- ქალაქთმშენებლობა არქიტექტურის (ხუროთმოძღვრების) შემადგენელი ნაწილია, მისი ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება, მატერიალური და სულიერი მოღვაწეობის სფერო. იგი არქიტექტურულ-სამშენებლო ღონისძიებების თეორია და პრაქტიკაა, რომლის დროსაც საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესების განვითარებისათვის საჭირო ხდება ხელოვნური გარემოს შექმნა.

როგორც მატერიალური გარემო - ქალაქთმშენებლობა ასახავს საზოგადოების ცხოვრების სოციალურ პირობებს, ხოლო როგორც ხელოვნება - იგი თავისი არქიტექტურული ფორმებისა და განაშენიანების გადაწყვეტილებით ღრმა იდეურ და ემოციურ გავლენას ახდენს ადამიანზე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური შესაძლებლობების შესაბამისად.

ქალაქთმშენებლობითი პოზიციები უნდა ითვალისწინებდნენ დასახლებული ადგილების ტერიტორიების დაგეგმარებისა და განაშენიანების ისეთ პრინციპებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის შრომის, ყოფაცხოვრების, საზოგადოებრივი მომსახურებისა და მასობრივი დასვენების რაციონალურ ორგანიზაციას.

- როგორი ქალაქთმშენებლობითი პოზიციები ისახება ჩვენს პრაქტიკაში?

- შეიძლება ითქვას, რომ ისეთები, რომლებიც ითვალისწინებენ არსებული დაგეგმარებისა და განაშენიანების პოზიციების შეცვლას პრინციპულად, პროფესიულად, ყოველგვარი მერკანტინული სურვილების დაკმაყოფილების გარეშე საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინების უპირატესობით, არქიტექტურული და ქალაქთმშენებლობითი პროგრესიული გადაწყვეტების პრიორიტეტებით, უანგარო პრო-

გაგრძელება A7 გვერდიდან

ია გვერდიდან

ფესიული მოღვაწეობით და სხვა ცივილიზებული მეთოდების გამოყენებით.

განვიხილოთ ამ პოზიციების ძირითადი მიმართულებები.

თანამედროვე პერიოდში, საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ურთიერთობის პირობებში, არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის პრობლემები მოითხოვენ მათი ამოცანების გადაჭრის ისეთ მიდგომებს, რომლებიც მიზანშეწონილია, როგორც საზოგადოების ფართო მასების მოთხოვნების, ისე ცალკეულ მოქალაქეთა "სოციალური დაკვეთის" რეალიზაციის დასაკმაყოფილებლად. აქ კი ხშირად ჩნდება კონფლიქტი მთლიანად საზოგადოებისა და კერძო მესაკუთრეთა შორის. ამ პირობებში ძნელდება არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის ისეთი საკითხების გადაწყვეტა, როგორიცაა ტერიტორიის ფუნქციური ზონირების, განაშენიანების მასშტაბურობის, ისტორიულ რაიონებში ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის შენარჩუნებისას ძველი და ახალი არქიტექტურის შეთავსებადობის პრობლემები და ა.შ.

დასახლებული ადგილების განვითარებისა და რეკონსტრუქციის დროს მკვეთრად ისახება ქალაქთმშენებლობითი საპროექტო-დაგეგმარებითი სამუშაოების ძირითადი პოზიციები: ერთი მხრივ - ტერიტორიის დაგეგმარებისა და განაშენიანებისას თანამედროვე პროგრესული პრინციპების გამოყენების აუცილებლობა და, მეორე მხრივ - ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და მათი ბუნებრივ-კლიმატური ფაქტორების გავლენის გათვალისწინება პროექტირებისა და მშენებლობის პრაქტიკაში. ორივე პოზიცია თანამედროვე ქალაქთმშენებლობის განვითარებისათვის ფუნდამენტურ მიმართულებას წარმოადგენს და მათი უგულებელყოფა საპროექტო-სამშენებლო სამუშაოების გამოუსწორებელ შედეგებს წარმოქმნის.

ტერიტორიის დაგეგმარებისა და განაშენიანების თანამედროვე პროგრესული პრინციპები შეიცავენ ქალაქთმშენებლობის ისეთ პოზიციებს, რომლებიც საცხოვრებელი გარემოს მოწესრიგების ქმედითი ღონისძიებების ჩატარებას უზრუნველყოფენ. ეს უპირველესად ეხება ქალაქთმშენებლობითი ელემენტების (საცხოვრებელი რაიონები, მიკრორაიონები, საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების კომპლექსები, ქუჩები და მოედნები, საწარმოო და სასაწყობო ზონები და სხვა) რაციონალურ ტერიტორიულ ორგანიზაციას, მათ მიზანშეწონილ ფუნქციურ ზონირებას და კეთილმოწყობას, მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების საფუძველზე შემუშავებული დაგეგმარებისა და განაშენიანების თანამედროვე პრინციპების გათვალისწინებას.

ეს აქტუალურია იმ ტერიტორიებისთვისაც, სადაც ხდებოდა ტიპობრივი პროექტებით საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობებით მასობრივი განაშენიანება. უყურადღებოდ მიტოვებული საცხოვრებელი მასივები და უხარისხო, ხშირ შემთხვევაში, დაუმთავრებელი მშენებლობები ("ხრუშჩოვკები") მოითხოვენ ტერიტორიების კეთილმოწყობითი სამუშაოების ჩატარებას და ამორტიზებული შენობების თანამედროვე შენობებით შეცვლას. აღნიშნული მოთხოვნები პირდაპირ უკავშირდება საცხოვრებელ-სამოქალაქო მშენებლობისათვის ტერიტორიული რეზერვების გამოვლენის და ახალი თაობის შენობების დაპროექტების პრობლემებს. იმასთან დაკავშირებით, რომ საბაზრო ეკონომიკამ ინდივიდუალური ბინათმშენებლობის განვითარების პირობები შექმნა, მნიშვნელოვანია, პროექტირებისას გამოყენებული იყოს უნიფიცირებული სააღმშენებლო ნაკეთობები. სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების დაპროექტება უნდა ხდებოდეს ერთიანი ნორმალების, ტიპური კონსტრუქციული ელემენტებისა და კვანძების გამოყენებით, რომელთა დამზადებისათვის შესაქმნელია სააღმშენებლო ბაზები7 ერთიანი ინდუსტრიული სამშენებლო ნაკეთობების შექმნით და შესაბამისი კატალოგის შედგენით დაინერგება ისეთი მეთოდოლოგია, რომელიც გაითვალისწინებს კონსტრუქციული და ტექნოლოგიური სისტემების დამუშავების ცენტრალიზაციას და კონკრეტულ (ინდივიდუალურ) არქიტექტურულ გადაწყვეტათა (პროექტების) დამუშავების დეცენტრალიზაციას.

მოსახლეობის რაციონალური განსახლებისათვის და გეგმაზომიერი ქალაქთმშენებლობის პოლიტიკის გატარებისათვის საჭიროა დასახლებული ადგილების ახალი თაობის "გენერალური გეგმების პროექტებით" უზრუნველყოფა, სადაც საბაზრო ეკონომიკის გათვალისწინებით კომპლექსურად წყდება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ქალაქთმშენებლობითი ამოცანები. ამავე დროს, რადგან ჯერჯერობით გაურკვეველია დასახლებული ადგილების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამები და რეალური საინვესტიციო მაჩვენებლები, "გენერალური გეგმების პროექტების" დამუშავება მომავლის ამოცანად გვესახება. უახლესი (10 წლამდე) პერიოდისათვის კი ქალაქთმშენებლობის რეგულირებისა და მმართველობითი პროცესების განსახორციელებლად მიზანშეწონილია დამუშავდეს და დამტკიცდეს დასახლებული ადგილების "გენერალური გეგმების სქემები", რომლებიც შედარებით გამარტივებული შინაარსის დოკუმენტებს წარმოადგენენ. ამიტომ გადასადგმელია ენერგიული ნაბიჯები ასეთი "სქემების" დამუშავებისა და დამტკიცების უზრუნველსაყოფად.

რაც შეეხება საცხოვრებელ რაიონებს, მიკრორაიონებსა და კვარტლებს, სადაც ამჟამად ე.წ. "წერტილოვანი" მშენებლობა მიმდინარეობს და იგნორირებულია არსებული გარემოს მხატვრულ-ისტორიული ხასიათი და შენობების მოცულობით-გეგმარებითი მასშტაბები, მათი ტერიტორიების შემდგომი განაშენიანებისათვის საჭიროა "დეტალური დაგეგმარების პროექტების" დამუშავება, რაც ჩვენი უსახსრობის პირობებში ვერ ხერხდება. ამიტომ ცალკეული შენობის პროექტების განხილვა-დამტკიცებისათვის აუცილებელია თუნდაც გამარტივებული სახის "დეტალური დაგეგმარების სქემების" შედგენა, სადაც წარმოდგენილი უნდა იყოს მთლიანი საპროექტო ტერიტორიის განაშენიანების ქალაქთმშენებლობითი სტრუქტურა, საპროექტო ობიექტების გარემოსთან შეჯერებული მშენებლობის და მისაღები სართულიანობის მიზანშეწონილობა. ეს "სქემები" დასამტკიცებლად წარსადგენ სავალდებულო მასალების ჩამონათვალ ნუსხაში უნდა იყოს გათვალისწინებული.

განსხვავებული ქალაქთმშენებლობითი პოზიციები ისახება ქალაქების ისტორიული რაიონების რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციის ჩასატარებლად. აქ უპირველეს ამოცანას წარმოადგენს ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის შენარჩუნება: საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების აღდგენა-გამაგრების, ისტორიულად ღირებული არქიტექტურული ძეგლების და ურბანული გარემოს მოვლა-პატრონობის ღონისძიებების განხორციელება. ეს ძირითადად სახელმწიფოს პრეროგატივაა, მაგრამ ამჟამად და უახლოეს პერიოდში ის თავისი სუსტი ფინანსური მდგომარეობით ვერ ახერხებს ამ სამუშაოების შესრულებას. ამიტომ ერთ-ერთ რეალურ საშუალებად მიგვაჩნია: კერძო ინვესტორების (ფირმების) მოზიდვა ამ ღონისძიებების ჩასატარებლად, მათთვის საგადასახადო შეღავათების დაწესებით; სათანადო ფონდის შექმნა, რომელიც ფინანსური უზრუნველყოფის რეალურ საშუალებას შექმნის; სახელმწიფოს მიერ მსოფლიო ბანკიდან სოლიდური კრედიტის აღება დაზიანებული შენობების აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოების ჩასატარებლად; შეურიგებელი ბრძოლა კორუფციასთან, რომლის არსებობა დამატებით სიძნელეებს ქმნის საპროექტო-სამშენებლო საქმიანობაში და დიდ ფინანსურ დანახარჯებს განაპირობებს.

ჩვენთან არსებული ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებად სწორედ ასეთი და კიდევ შესაძლო ალტერნატიული ვარიანტების დამუშავებისათვის წარმართული მოღვაწეობა გვესახება და არა ისეთისა, რომელიც მათივე მოთხოვნით ისტორიულ ზონებში მორატორიუმის გამოცხადებით შემოიფარგლება, რაც შეზღუდავს ყოველგვარ ინიციატივას და სტაგნაციაში ჩააგდებს საზოგადოებას. პირიქით, აქტიური ჩართვაა საჭირო იმისათვის, რომ ჩატარდეს შენობების აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოები და შენარჩუნდეს უნიკალური ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობა, მოსახლეობას კი მიეცეს საშუალება თავისუფალ ტერიტორიებზე ან უღიმღამო შენობების ნაცვლად, საკუთარი სახსრებით მაინც, აშენოს თანამედროვე შენობები ძველი და ახალი არქიტექტურის შეთავსებადობის გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნული პოზიციები მჭიდროდ უკავშირდება ბუნებრივი რესურსების რაციონალური ათვისებისა და გამოყენების პრობლემებს, გარემოს დაცვისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებებს, კომპლექსური სამუშაოების ჩატარების აუცილებლობას. ამ მიმართულებით უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს იმ ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ტერიტორიის დაგეგმარებაზე და განაშენიანებაზე, მთლიანად დასახლებული ადგილების და მათი ქალაქთმშენებლობითი ელემენტების სტრუქტურებზე, შენობა-ნაგებობების არქიტექტურაზე.

მრავალფეროვანი ბუნებრივ-კლიმატური ფაქტორები და მათი კომპლექსური ურთიერთკავშირი, რომელიც ქმნის გარემოს სხვადასხვა პირობას, განსაზღვრავს ტერიტორიების არჩევას მისი გამოყენების თვალსაზრისით, ახდენს პირდაპირ გავლენას დასახლებული ადგილების და მათი საგარეუბნო ზონების ორგანიზაციაზე და მათ დაგეგმარებით სქემებზე, დაკავშირებულს ძლიერ ქარზე, ჰაერის სინოტივეზე, რადიაციის ინტენსივობაზე და ა.შ. ამის გამო საჭირო ხდება ამ ტერიტორიების სამშენებლო-კლიმატური მიკრორაიონირება, ცალკეული მიკრორაიონის გამოყოფით, რომელთა ბუნებრივ-კლიმატური ფაქტორები განსაზღვრავენ ქალაქთმშენებლობითი ორგანიზაციის და განაშენიანების თავისებურებებს. ამ ფაქტორებს შორის ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება რთულ და კონტრასტულ რელიეფს, დასახლებული ადგილებისა და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე ნათლად გამოხატულ ვერტიკალურ ზონირებას - განსაკუთრებულ მრავალფეროვან კლიმატის ტიპების განმსაზღვრელს.

საქართველოს დასახლებული ადგილებისა და მისი საგარეუბნო ზონების ერთ-ერთი თავისებურებაა ის, რომ მათ ტერიტორიებზე ხშირია ბუნების სტიქიური მოვლენები, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მიწისძვრები, წყალდიდობები, ღვარცოფები, ზვავები და ანტროპოლოგიური ეროზიული პროცესები. თავისი დამანგრეველი პროცესებით ისინი კატასტროფულად აზიანებენ ტერიტორიებს და ადამიანების მიერ შექმნილ ინფრასტრუქტურებს, ამახინჯებენ გარემოს. ამიტომ მიზანშეწონილია სეისმური მიკრორაიონების რუკის შედგენა, ხოლო სხვა ბუნებრივი სტიქიური მოვლენების გასანეიტრალებლად ბუნებადამცველი ღონისძიებების ჩატარება, რომელიც დაგეგმარებისა და განაშენიანების დროს უნდა იყოს გათვალისწინებული.

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ პროექტირების, მშენებლობისა და ექსპლოატაციაში მყოფი ობიექტების საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში აუცილებელია მოსახლეობის მონაწილეობა და მათი მოსაზრებების გათვალისწინება, რომელიც პარტიციპაციის სახელით არის ცნობილი. ასეთი ღონისძიებების ორგანიზაციისათვის ეწყობა: სამუშაო შეხვედრები, შეხვედრები საზოგადოებასთან, საჯარო განხილვები, საზოგადოებრივი კომიტეტები, მრგვალი მაგიდა-ფორუმები, ერთობლივი პროექტები, ღია კარის დღეები და სხვა.

ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სოციოლოგიური კვლევების ჩატარება იმ მიზნით, რომ გამოვლინდეს მოსახლეობის შეხედულებები საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ. ასე მაგალითად, საქართველოს ურბანისტთა ასოციაციის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგად გამოკითხულთა 36,6%-მა საცხოვრებელი სახლების სადარბაზოებისა და ეზოების მოუვლელობის მიზეზად სახლმმართველობის გაუმართავი სისტემა ჩათვალა, ხოლო 37,3% დარწმუნებულია იმაში, რომ საცხოვრებელი გარემო მოწესრიგდება ბინების მესაკუთრეთა ამხანაგობებისა და კონდომინიუმების შექმნის საშუალებით.

ამგვარად, "გაუკუღმართებული" გარემოს მოწესრიგება, მისი ორგანიზაციის სპეციფიკიდან გამომდინარე, ძირითადად არქიტექტორებისა და მშენებელთა პრეროგატივას წარმოადგენს. მხოლოდ მათ, სათანადო ფინანსური უზრუნველყოფით, ძალუძთ იმ ღონისძიებების განხორციელება, რომლებსაც არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობა ჰქვია. ეს საქმიანობა დასახლებული ადგილების დაგეგმარებისა და განაშენიანების ქალაქთმშენებლობითი პოზიციების განსაზღვრა და მათი რეალიზაციაა, რაც თანამედროვე ურბანული გარემოს განვითარებისა და გაუმჯობესების მთავარ მიმართულებას და მიზანს წარმოადგენს.

ფუნიკულიორის ქვედა სადგურთან მრავალსართულიანმა განაშენიანებამ მკვეთრად გაზარდა მისი სიმჭიდროვე და შეზღუდა მთაწმინდის თვალწარმტაცი ხედი.

სანაპიროზე "ლაღიძის წყლების" შენობის გაზრდილი მოცულობა თრგუნავს ანჩის ხატის ეკლესიას და ფარავს მას ბარათაშვილის ქუჩიდან.

თბილისის ისტორიულ რაიონში სანიმუშოდ ჩამჭდარი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ჭონქაძის ქუჩაზე.

არსენას ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლი მშვენივრად შეერწყა თბილისის ისტორიულ განაშენიანებას.

Google ჰაკერებსაც უყვართ

მამუკა ქირია

აღმოჩნდა, რომ მსოფლიოში ყველაზე პოპულარული საძიებო მანქანა ჰაკერების ერთ-ერთი ყველაზე ხელსაყრელი ინსტუმენტია.

Google-ის შესაძლებლობები იმასთან დაკავშირებით, რომ მას შეუძლია დაიმახსოვროს ყველა ინტერნეტ-საიტის ინფორმაცია როგორც ძველი, ასევე ახალი ვერსიები, საშუალებას იძლევა აღმოვაჩნოთ სუსტად დაცული ვებ-გვერდები - აცხადებს ლას-ვეგასის კომპიუტერული ინფორმაციების უსაფრთხოების სამსახურების ხელმძღვანელთა საგანგებო კონფერენციაზე სიტყვით გამოსული ლონი ლონგი. თუმცა, ამ მეთოდის გამოყენება ჰაკერებისთვის ახალი ხილი არ არის. საძიებო რობოტს Google-ს ბევრ სიკეთესთან ერთად ზიანის მოტანაც შეუძლია. ის გზას უხსნის ჰაკერებს თავისუფალი მოქმედებისთვის და ერთგვარ ხელშემწყობ სამუშაოსაც ასრულებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ საიტების დაუსრულებული ვარიანტები ან კიდევ სადემონსტრაციო დროებითი ვებ-



გვერდები ადვილი აღმოსაჩენია და მათი სკანირება რთულ საქმეს არ წარმოადგენს, რადგან სერვერები სადაც ისინია განთავსებული განსაკუთრებული უსაფრთხოების სისტემებს არ ფლობენ. მომავალში კი ასეთი სერვერები ვითარდებიან და მათზე ბევრი ცნობილი ვებ-გვერდებია დაკიდებული. იყენებენ რა ძველ მონაცემებს ჰაკერები სერვერების დასასკანერებლად, წარმატებულ შეტევებსაც ახორციელებენ.

კონფერენციაზე განიხილეს რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითი, იმაზე თუ როგორ შეიძლება Google-ს გამოყენებით შეტევების განხორციელება. მაგალითად, არც ისე ძველი ვირუსით MyDoom-ით ინფიცირებული პერსონალური კომპიუტერებიდან სხვადასხვა საძიებო სისტემებს და მათ შორის Google-ს ეგზავნებოდა შეტყობინენები დამატებითი ელექტრონული მისამართების საშუალებით, რომელიც ჰაკერების მიერ შეიქმნა "უპატრონოდ" მიტოვებულ სერვერებზე და მათი რიცხვი ძალიან დიდი იყო. ასეთი შტურმის დროს ნებისმიერი საძიებო სისტემები საგანგებო რეჟიმში მუშაობენ, რაც მუშაობის ხარისხზე და სისწრაფეზე დიდ გავლენას ახდენს. გარდა ამისა, მსგავსი გზავნილები ყოველთვის შემოწმებას და სკანირებას მოითხოვს, რაშიც დიდი რესურსი იხარჯება. არა და ასეთი გზავნილები უმეტესად ინფიცირებული და მავნე კოდის მატარებელი იყო.

კონფერენციაზე ერთ-ერთმა გამომსვლელმა ხაზგასმით აღნიშნა: "მე შემიძლია Google-ს მეშვეობით ვნახო, თუ რა მდგომარეობაში რაიმე საიტი დღეს, ასევე მისი ძველი სახეც. ასეთი "ნაგავის" შენახვა მხოლოდ Google-ს შეუძლია, რაც არც ერთ საძიებო მონსტრებს არ გააჩნია".

საბოლოოდ, სპეციალისტები იმ დასკვნამდეც მივიდნენ, რომ Google-ს ტექნოლოგია გლობალურ ძებნაზე კარგიც არის და ამავე დროს საკმაოდ პოტენციური საფრთხეა.

მოდელს ორსულობა გაუტკბა

მისი ქალიშვილი, ლენი ჯერ სამი თვისაც არაა, და ჰაიდი კლუმი უკვე მეორე ბავშვზე ფიქრობს: "ჯერ კონკრეტული ვადები არ მომიფიქრებია, მაგრამ კიდევ ერთი შვილი რომ მინდა, ნამდვილად ვიცი," მოახსენა 31 წლის ტოპ-მოდელმა "ბილდ ამ ზონტაგს". ჰაიდის მომავალი ბავშვების რაოდენობა ჯერ დაზუსტებული არა აქვს, მაგრამ ერთი ბიჭი რომ უნდა - ეს დანამდვილებით იცის. "ჯერ ვნახოთ, როგორი ოჯახი მეყოლება," ბრძანა მან.

თავისი ქალიშვილის მამის, ფლავიო ბრიატოლეს შესახებ ჰაიდის არაფერი უთქვამს. მას ლენის "უმამობა" სულ არ ადარდებს. მისი თქმით, საზოგადოება შეიცვალა: "ადრე ყველაფერი სხვანაირად იყო. უწინ დედ-მამა ერთად ცხოვრობდა ხოლმე, ასე იყო მიღებული". ჰაიდის მიაჩნია, რომ ბავშვი ერთ ადამიანზე არ უნდა იყოს მიჯაჭვული, ამიტომ ფლავიო იქნება მისი მამიკო თუ სილი - ამას მშვენიერი ჰაიდისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

წამალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.